საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების
ფაკულტეტი

მარიამ ზარნაძე

მხატვრული აზროვნების განვითარების ტენდენციები იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: მანანა თავდგირიძე

ხიჭაური 2021

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია ჩემი ორიგინალი ნამუშევარი, ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ და ნააზრევ შეხედულებებს კონკრეტული საკითხის მიმართ. ნებისმიერი აქამდე გამოქვეყნებული სხვა ავტორების მიერ ციტირებული სიტყვები წარმოდგენილია ყოველგვარი წესების დაცვით.

თარიღი: 09.07.2021

სახელი-გვარი: მარიამ ზარნაძე

ანოტაცია

იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი განუზომელია ქართველთა ცნობიერებისა და ქვეყნის განვითარების საქმეში. ნაშრომში განხილულია მწერლის ცხოვრება და მოღვაწეობა, საზოგადოებრივი საქმიანობა, ბრძოლა არსებული უსამართლობის წინააღმდეგ.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, გააცნოს მკითხველს იაკობ გოგებაშვილის მისი ეპოქალური მნიშვნელობის შემოქმედება და ერის განვითარებაში შეტანილი წვლილი. მისი ღვაწლი დღესაც არ კარგავს აქტუალობას, პირიქით სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და გლობალური ეპოქის გამოწვევების კვალდაკვალ, გვეხმარება ეროვნული თუ პიროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად. დიდმა მამულიშვილმა თავი მიუძღვნა ბედკრული სამშობლოს კეთილდღეობას და შემოქმედებითი თუ საზოგადეობრივი მოღვაწეობით უდიდესი წვლილი შეიტანა ერის გამოღვიძებასა და ხალხის გაერთიანებაში. იაკობ გოგებშვილმა ქართულ სკოლას, ფაქტობრივად ახალი სიცოცხლე აჩუქა და ხელი შეუწყო საბავშვო ლიტერატურის განვითარებას.

Annotation

Iakob Gogebashvili's contribution to the Georgian consciousness and the development of the country is immeasurable. The paper discusses the life and work of the writer, public activities, the fight against existing injustices.

The aim of the master's thesis is to introduce the reader to the work of Iakob Gogebashvili of his epochal importance and his contribution to the development of the nation. His work does not lose its relevance today, on the contrary, it is vital and, in the wake of the challenges of the global era, helps us to maintain our national or personal identity. The great patriot devoted himself to the welfare of the miserable homeland and made a great contribution to the awakening of the nation and the unification of the people through creative or social activities. Iakob Gogebshvili actually gave a new life to the Georgian school and promoted the development of children's literature.

სარჩევი

1.ანოტაცია….....…….....…….……..…….…….…….გვ.3

2.შესავალი….....……..…….....….....….....გვ.6

3.თავი I.იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.....გვ. 8

4. თავი II.ისტორიული წარსული იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში.....გვ. 33

5. თავი III. იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობები - საძირკველი ქვეყნის ჯანსაღი მომავლის .....გვ. 70

6.დასკვნა .....გვ. 87

7. გამოყენებული ლიტერატურა .....გვ. 91

შ ე ს ა ვ ა ლ ი

იაკობ გოგებაშვილი ქართულ საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებაში განსაკუთრებული მოვლენაა. მან თავისი შემოქმედებით ნამდვილად მოახდინა გარდატეხა საზოგადოებრივ ცნობიერებაში. მისი ყოველი ნაბიჯი გადადგმული იყო ქვეყნის მომავალზე ფიქრით. იგი სასახელო მამულიშვილი გახლდათ, რომელიც თავისი კალმით დაუღალავად შრომობდა ჩვენი ერის სულიერი და ფიზიკური გადარჩენისთვის. უდიდესი მოღაწე და მწერალი ებრძოდა იმ ბორკილებს, რომელსაც საზაგადოება გაუცნობიერებლად ემორჩილებოდა, რაც საბოლოოდ ქვეყანას მონობას უქადდა. იაკობს კი მათ გონებაში ნათელ სხივად შეჰქონდა განათლება, სწორად აღზრდისა და სამყაროს რეალური შეცნობის პრინციპები და ასე ცდილობდა ერი განადგურებისგან ეხსნა. მას საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია, თუმცა მისთვის ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე მისი სულისა და ხორცის ნაწილი, მისი დიდი ოჯახის წევრი იყო და როგორც მამა, ცდილობს დაიცვას შვილები, ოჯახი, ასევე ევლებოდა თავს იგი საქართველოს. ვალდებულებად გაიხადა საზოგადოებისთვის ეჩვენებინა ის რეალობა, ის სიდუხჭირე, მანკიერებანი, რომლებშიც ცხოვრობდნენ, შეეხსენებინა მათთვის ვინ ვიყავით წარსულში და ასე შეეცვალა მძიმე რეალობა.

იგი დიდ იმედებს ამყარებდა მომავალ თაობაზე და ამიტომაც, საჭიროდ ჩათვალა საბავშვო ლიტერატურის შექმნა. ბევრს წერდა ბავშვთა აღზრდის შესახებ და გადაწყვიტა ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეში მასაც, თავისი შემოქმედებით მიეღო მონაწილეობა. მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული აზროვნება მის შემოქმედებაში სწორედ ამ კუთხით განვითარდა. იგი წერდა პუბლიცისტურ წერილებსაც მაგრამ მისი მოღვაწეობა მეტად დაეთმო საბავშვო ლიტერატურას და ისტორიულ ნაწარმოებებს.

მხატვრულ აზროვნებას მის შემოქმედებაში, არა მხოლოდ გასართობი, მკითხველისათვის სიამოვნების მიღების ფუნქცია დაეკისრა, არამედ რაც მთავარია მას გააჩნდა შემეცნებითი ფუნქცია.

იაკობ გოგებაშვილის მხატვრული აზროვნება იწყება და მთავრდება დიდაქტიკური საკითხებით. უმნიშვნელოვანესი ადგილი მის შემოქმედებაში სწორედ აღზრდას ეკუთვნის.

ჩემ მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომიც სწორედ ამ საკითხს ეთმობა. აქ ნათლად ჩანს თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა იაკობ გოგებაშვილისთის აღზრდას და მისი მხატვრული აზროვნება როგორ განვითარდა მოღვაწეობის დასაწყისიდან დასასრულამდე. ბიოგრაფიული ნაწილის გარდა აქ წარმოდგენილია ისტორიული ნაწარმოებები და საბავშვო პროზა, რომელსაც იაკობმა მთელი თავისი ცხოვრება დაუთმო, როგორც საწინდარს ერის უკეთესი მომავლის საქმეში. ბავშვებისთვის იგი წერს ძალიან მარტივად, მსუბუქად, რათა არ დააბნიოს აღსაზრდელი და მან თავად გამოიცნოს ნაწარმოების დედააზრი. წაიკითხოს და შეიმეცნოს რა არის დასაშვები, მისაღები და რა არის დაუშვებელი. პატარებისთვის განსაკუთრებით მცირე ზომისაა მისი მოთხრობები. ეს შეიძლება იყოს მხოლოდ სამი-ოთხი წინადადება მაგრამ ძალიან დიდი აზრის მატარებელი და ბავშვის ცნობიერებისთვის ძალიან სასარგებლო.

ისტორიულ ნაწარმოებსაც სწორედ ეს ფუნქცია აქვს. ახალი თაობის პატრიოტული გრძნობით დარაზმვა და ცნობიერების სწორად განვითარება. თუ ვიცით „რანი ვიყავით გუშინ“ იმის დასახვასაც შევძლებთ თუ რა უნდა ვიყოთ ხვალ და რა უნდა გავაკეთოთ დღეს ხვალინდელი დღისთვის.

იაკობს კარგად ესმოდა განათლებული თაობის მნიშვნელობა და ამიტომაც მისი მხატვრული აზროვნება მათი სწორად აღზრდისკენ მიმართა.

თავი I. იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვალდაკვალ

იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი ქართული ერის, ლიტერატურის დაცვისა და განვითარების საქმეში განუზომელია. იგი გახლდათ ქართველი ხალხის გამორჩეული პედაგოგი, აღმზრდელი, განმანათლებელი, ლიტერატურის კრიტიკოსი და საბავშვო მწერალი. მან საკმაოდ რთული და საინტერესო გზა განვლო და მოახერხა, ქართველთა შორის საკუთარი ადგილი დაემკვიდრებინა. იაკობმა მთელი თავისი სიცოცხლე ქართველი ხალხის განათლებას, აღზრდას და სწორი გზის ჩვენებას მიუძღვნა.

მწერალი დაიბადა 1840 წლის 27 ოქტომბერს, გორის რაიონის სოფ. ვარიანში. მამამისი სვიმონი მღვდელი გახლდათ. იგი იყო თავისი მრევლის დიდი მოამაგე და დამცველი. დედა მაგდან კალმახელიძე ძალიან პატიოსანი, კეთილშობილი და შვილებისმოყვარული ქალი იყო.

ფიქრობდნენ, რომ იაკობი მამის კვალს გაჰყვებოდა, თუმცა მისი ცხოვრება სხვანაირად წარიმართა. 9 წლის ასაკში იგი თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. 1855 წელსიაკობი წარჩინებით ასრულებს ამ სასწავლებლის სრული კურსს და თბილისის სასულიერი სემინარიაში შედის.

სემინარიაში ყოფნის დროს იგი მეტად დაინტერესებული ყოფილა საქართველოს ისტორიითა და ლიტერატურით, კლასგარეშე საკითხავი წიგნებით. სემინარიაში სწავლისას მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასწავლებლებზე წარმატებული სწავლით და ამხანაგებთანმეგობრული ურთიერთობებით.

სემინარიის კედლებშივე გაიგო მან ჩვენი ქვეყნის მძიმე მდგომარეობის შესახებ,შეიცნო ის მარწუხები, რომელშიც ქვეყანა იყო მოქცეული, გაითავისა თავისი სამშობლოს დაბეჩავებული კოლონიური მდგომარეობა, ქართული ენის მოსპობის მცდელობა, ჩვენი ხალხის სოციალური, ეროვნული და კულტურული შევიწროება

მეფის მთავრობის მიერ. მან ცხადად დაინახა, რომ საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო და ყველაფერი ქართული იდევნებოდა. სკოლებში ქართული ენის ხსენებაც იკრძალებოდა, არისტოკრატიას ქართულად საუბარი სირცხვილად მიაჩნდა, ინტელიგენციამ რუსულად დაიწყო აზროვნება, არსებობდა ორგვერდიანი ნაბეჭდი ანბანი ქართული ენის შესასწავლად, გეოგრაფია და ისტორია ვიღას აინტერესებდა. სკოლებში ჩამოყალიბდა ძალიან მკაცრი და უსამართლო წესები: მოსწავლეთა წკეპლით ცემა, მუხლებზე დაყენება და ა.შ. ამის შემყურე იაკობ გოგებაშვილმა გადაწყვიტა მთელი თავისი სიცოცხლე საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის მიეძღვნა.

მას იმ პერიოდში მოუწია მოღვაწეობა, როცა ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ეკონომიკური სტრუქტურის შეცვლის გამო არსებითი გარდატეხა მოხდა სოციალურ ფენათა განლაგებაში, რომელიც მკვეთრად აისახა იდეოლოგიურ ცხოვრებაში. მიუხედავად იმ ქარტეხილებისა, რომელიც ცხოვრების გზაზე მას თავს დაატყდა იგი არ უშინდებოდა არაფერს და კალმით მედგრად იბრძოდა თავისი შეხედულებათა დასაცავად. იაკობი ქართველებისთვის იქცა მტკიცე ფარად, რომელიც იცავდა ჩვენს ქვეყანას და ერს მოუწოდებდა გამოფხიზლებისკენ. იგი ამბობდა, რომ უკვე დრო იყო ყველას ეთაკილა, თავის წრეში უკანონო დაბრიყვება, შებრძოლებოდა ამ უმსგავსობას და ადამიანური ღირსება აღედგინა და დაეცვა. იგი თვლიდა, რომ აუცილებელი იყო გაეჩაღებინათ დაუღალავი, ნათელი და ფხიზელი ბრძოლა ჩვენი წართმეული უფლებების აღსადგენად. ქვეყნის გასაჭირი მიეტანათ სხვა ადამიანთა ყურამდეც და ყველა ღონე გამოეყენებინათ, რათა დარჩენილიყვნენ ჩვენი ეროვნული ღირსების, უფლებების მქონე პიროვნებებად, დარჩენილიყვნენ ხელშეუხებელნი.

1861 წელს მან დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია და იმავე წელს, უმაღლესი განათლების მისაღებად, გაემგზავრა კიევის სასულიერო აკადემიაში. აქ იაკობმა დიდი ინტერესი გამოიჩინა მეცნიერების სხვადასხვა დარგისადმი, განსაკუთრებით აინტერესებდა მას ფილოლოგიური და საბუნებისმეტყველო-ბიოლოგიური მეცნიერებანი. საფუძვლიანად გაეცნო ჰუმბოლტს, დარვინს, ბოკლს, ფოხტს, სპენსერს, შლოსერს, ასევე ფუნდამენტურად შეისწავლა პედაგოგიკის

კლასიკოსები (რუსო, კომენსკი, პესტალოცი, პიროგოვი, დისტერვეგი,) და პედაგოგიკის ისტორია. მას კარგად ესმოდა ჟურნალისა და ზოგადად პრესის მნიშვნელობა, გულმოდგინედ კითხულობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთს.

ნიკო ლომოური იაკობ გოგებაშვილის შესახებ დაწერილ ბიოგრაფიულ ცნობებში გვიყვება იმ პერიოდის კიევში არსებულ ცხოვრებაზე, რომ სწორედ იქ ჩქეფდა სიცოცხლე და აკადემიაშიც ფრიად განათლებული და სახელმოხვეჭილი ადამიანები კითხულობდნენ ლექციებს. იაკობ გოგებაშვილი ძალიან კარგი მსმენელი იყო. მუდამ ყურადღებით ისმენდა ლექციას და საჭირო ჩანაწერებსაც აკეთებდა. მუდმივად იმის ცდაში იყო, რომ აკადემიაში სწავლა მეტად ნაყოფიერი ყოფილიყო მისთვის და სათანადო ცოდნაც წამოეღო. ამ პერიოდში კიევს ხშირად სტუმრობდნენ - პიროგოვი და უშინსკი, რომელთა მოძღვრებებმაც დიდი გავლენა მოახდინა იმდროინდელ ახალგაზრდებზე და არც იაკობ გოგებაშვილი ყოფილა გამონაკლისი.

უნდა აღინიშნოს, რომ ი. გოგებაშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინეს, ერთი მხრივ, დარვინმა და დარვინისტებმა და, მეორე მხრივ, ჩერნიშევსკიმ, ბელინსკიმ, დობროლიუბოვმა და უშინსკიმ. იგი მთელი ცხოვრება მათი იდეებისა და მოძღვრების ერთგული იყო.

კიევის სასულიერო სასწავლებელში ი. გოგებაშვილმა დიდხანს დარჩენა ვერ მოახერხა. ამაში მას ხელი შეუშალა მისმა ჯანმრთელობის მდგომარეობამ. მან ვერ აიტანა კიევის ცივი ზამთრი. გაცივდა რამდენჯერმე, კიდევ უფრო დაუსუსტდა ფილტვები და ბოლოს ტუბერკულიოზით დაავადდა. ამ დროს იგი მესამე კურსზე იყო.

აკადემიის პროფესორები კარგად ხედავდნენ მის გონებრივ შესაძლებლობას და სურდათ კურსის დამთავრების შემდგომ სასწავლებელშივე დარჩენილიყო და პროფესორის წოდებაც მიეღო, თუმცა გართულებულმა ჯანმრთელობის მდგომარეობამ იაკობი, 1863 წელს, სამშობლოში დააბრუნა. თბილისის ჰავამ მის ჯანმრთელობაზე დადებითად იმოქმედა და მან მალევე დაიწყო სამსახური, თბილისის სასულიერო სასწავლებელში არითმეტიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლად.

საინტერესოა ასევე ამავე პერიოდში იაკობ გოგებაშვილის მიერ, უფროს კლასელთათვის, დაარსებული ხელნაწერი ჟურნალი „შრომა“, რომლის რედაქტორიც თვითონ იყო. ჟურნალისტურ საქმიანობაში მან მოწაფეებიც ჩართო. ჟურნალში იაკობი აქვეყნებდა სტატიებს, მოთხრობებს, კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს და სხვ.

იაკობ გოგებაშვილს მასწავლებლობა მეტად მნიშვნელოვან საქმიანობად მიაჩნდა და მას ამ პროფესიისთვის მაშინაც კი არ დაუნებებია თავი, როდესაც 1868 წლის დამლევს თბილისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად აირჩიეს. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ გეოგრაფიისა და მათემატიკის გაკვეთილების გარდა, მან აიღო რამდენიმე გაკვეთილი ქართული ენისა, რათა ამ საგნის სწავლების პრიორიტეტი კიდევ უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო სხვებისთვის და მისი გაკვეთილები ქცეულიყო სანიმუშოდ სხვა მასწავლებლებისთვის. თავად იგი შესანიშნავი პედაგოგი და აღმზრდელი იყო. ყოველთვის წინასწარ ამუშავებდა გაკვეთილის გეგმას, ყოველთვის ითვალისწინებდა გაკვეთილის მიზანს, გადასაცემ მასალას, შინაარს, მეთოდებს, რომლითაც უფრო მარტივად მიაწოდებდა ბავშვებს საინტერესო ინფორმაციას, ასევე ამუშავებდა დისციპლინის საკითხებს, რათა სწორად და სასიამოვნოდ წარემართა სასწავლო პროცესი.

იაკობისთვის ახალგაზრდობა ქვეყნის, ჩვენი ერის მომავალია და იმისთვის, რომ მერმისი უკეთესი და სასახელო იყოს აუცილებელია მოზარდთა სათანადოდ აღზდა, წინასწარ დასახული და შერჩეული გეგმებით. ამისათვის კი აღზრდის მიზანი და შინაარსი აუცილებლად თვალნათელი და გარკვეული უნდა იყოს. (გიორგი თავზიშვილი, 1990:40).

იაკობ გოგებაშვილს აღზრდისა და განათლების მთავარ დანიშნულებად მიაჩნდა ახალგაზრდობის ყოვლელგვარი მომზადება საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის. პედაგოგს მოსწავლეებისთვის უნდა გადაეცათ ისეთი ცოდნა და უნარები, რომლებიც ხელს შეუწყობდა მათ ღირსეულ პიროვნებებად ჩამოყალიბებას.

იაკობ გოგებაშვილი თავისი იდეეებითა და დამოკიდებულებებით აყენებს ახალი ტიპის ადამიანის ჩამოყალიბების პრობლემას. რადგანაც თვლის რომ მისი

პერიოდის, თანამედროვე ადამიანი აღარ არის ისეთი, როგორც წინათ. მას აკლია მხნეობა, ძალა, ღირსებანი და მხოლოდ იმ საქმისთვის მიუყვია ხელი რაც კანცელარიას და ჩინოვნიკობას უკავშირდება. (გოგებაშვილი,1940:313)

განათლებული ქართველის ასეთი წარმომადგენელი რუსეთის ჩინსა და ქრთამზე ცვლიდა საქართველოს ბედ-იღბალს და აშკარად ეწინააღმდეგებოდა ქართველთა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების პრინციპებს. იაკობ გოგებაშვილი ყველა ღონეს ხმარობდა ამ ტიპის განათლებული ადამიანის წინააღმდეგ საბრძოლველად. მას კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ ახალ ცხოვრებას შექმნიან ახალი ადამიანები და იგი მოითხოვდა ისეთი საგანმანათლებლო სისტემის შექმნას, რომელიც გამოძერწავდა და ჩამოაყალიბებდა ქვეყნის მომავლისთვის მზრუნველ ადამიანებს. ახალი ტიპის ადამიანი ძველისგან სრულიადგანსხვავებული უნდა ყოფილიყო. განათლებული პიროვნება, რომელსაც ექნებოდა მტკიცე მორალი და შესწევდა ძალა გაუკუღმართებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისა. იაკობი მიიჩნევდა, რომ საზოგადოებას სრულიად სხვა ცოდნა სწყურია, ისეთი, რომელიც ერთი მხრივ მას მოამზადებს ბუნებასთან ბრძოლისთვის და მეორე მხრივ სოციალური ცვლილებებისთვის.

ილია ჭავჭაძის მსგავსად, იაკობი თვლიდა, რომ მომავალი თაობის აღზრდა ევროპული მეცნიერული სწავლებით მეტად ნაყოფიერი იქნებოდა ჩვენი თაობისთვის, რადგანაც იგი განწმენდილი იქნებოდა იმ მოძველებული და უაზრო დოქტრინებისგან, რომლების ხელს უშლიდა მოზარდთა სწორ გონებრივ განვიტარებას და უმახინჯებდა ცნობიერებას. (თავზიშვილი,1990:46)

ეს რეალური სისტემა კი მისი აზრით იყო ერთადერთი ხსნა, რომელიც ჭეშმარიტ განათლებას აძლევდა მოსწავლეებს. რეალური განათლება მისთვის უფრო პროგრესულია, კლასიკური კი უკვე მოძველებული, ერთ-ერთი მიზეზი რისთვისაც იაკობ გოგებაშვილი ებრძვის კლასიკურ განათლებას არის ის, რომ იგი ყურადღების მიღმა ტოვებს ბუნებისმეტყველების შესწავლას, რომლის შესწავლასაც იგი დიდ საგანმანათლებლო მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი თვლიდა, რომ ბუნება მხოლოდ მას ემორჩილება, ვინც მისი კანონების ცოდნითაა აღჭურვილი. თეორიული ცოდნა კი

მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო ნამდილი თუ იგი პირდაპირ უკავშირდებოდა ცხოვრებას.

მართალია იაკობი ებრძოდა კლასიკურ განათლებას, თუმცა იცოდა რომ მისი ასე მოსპობაც არ შეიძლებოდა და გარკვეული ღირსებანი მასაც გააჩნდა. ასეთი იყო ფორმალური განათლების პრინციპი, რამდენადაც იგი გარკვეულ საგანთა სწავლებით ხელს უწყობდა ბავშვის ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ 1868 წელს იაკობ გოგებაშვილი თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა. აქ მას დახვდა ძალიან მძიმე მდგომარეობა, სრული უწესრიგობა და განუკითხაობა. როგორც თვითონ გვიყვება: „სასწავლებელი მე ჩავიბარე ყოველმხრივ აწეწილ მდგომარეობაშიო.. სასულიერო სემინარიასა და სასწავლებელში დამკვიდრებული იყო სწავა-აღზრდის მახინჯი სისტემა. საგნები ისწავლებოდა არამშობლიურ ენაზე, მასწავლებელთა უმრავლესობა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეებიდან იყო ჩამოსული. იაკობისავე სიტყვებით იყვნენ ისეთი მასწავლებლებიც, რომელთათვის გაკვეთილების გაცდენა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა, ხოლო გაკვეთილების ჩატარება გამონაკლისს“. (მახარაძე, 1973:66) კუვშკინსკის მიერ სასწავლებელი „სიმყრალის ყაზარმად“ გარდაქმნილიყო.

ვასილ ბარნოვი თავის ერთ-ერთ წერილში კუვშინსკის მოღვაწეობის შესახებ გვიყვება, რომ მისი მეთოდები აშკარად მიმართული იყო ქართველთა გადაგვარებისკენ. მან ჩვენ მომავალ თაობას დაუმახინჯა ცნობიერება. ყველაფერი ისე მოაწყო, რომ ქართველთა გულიდან აღმოეფხვრა, ქართული და საქართველო. (ბორცვაძე, 1991:25).

ბავშვებთა შორის ფეხი მოეკიდებინა გაუტანლობას, მაბეზღარობას, სემინარიის ადმინისტრაციაში ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული მექრთამეობა, ლოთობა, სხვადასხვა თანხების უკანონოდ მითვისება.

ყოველივე ეს კი რა თქმა უნდა ისეთი სამართლიანი და კეთილსინდისიერი პიროვნებისთვის, როგორიც იაკობ გოგებაშვილი იყო, ყოვლად მიუღებელი გახლდათ. სემინარიის სიბნელით მოცულ ცხოვრებაში და იმ სასტიკ ყოფაში იაკობ

გოგებაშვილმა სინათლის სხივივით შემოიტანა ქართული ენის თაყვანისცემა, ცოცხალი სიტყვა, ადამიანური და სწორი ქმედებანი. იგი შეეცადა სემინარიაში არსებული ძნელბედობის გამოსწორებას. მან გაატარა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად, იმ დროის პედაგოგიური მოთხოვნილებათა შესაბამისად. მან ბრძოლა გამოუცხადა სასწავლებელში არსებულ მკაცრ რეჟიმს, დასჯას, მოსწავლეთა ცნობიერების დამახინჯების მცდელობას და ფართო გასაქანი მისცა მოსწავლეთა შემოქმედებით მხარეს. მან თავისი მეთოდებით მოახერხა ბავშვებისთვის შეეყვარებინა დედაენა და მიაჩვია ისინი ქართულად აზროვნებას. თავდაუზოგავად იბრძოდა დედა-ენის უფლების აღსადგენად. მან კარგად იცოდა რომ ბრძოლა ქართული ეროვნულობის დაცვისთვის უნდა დაწყებულიყო ქართული ენის დაცვით, რადგანაც მთვარი ხაზი ეროვნულობისა სწორედ ქართულ ენაზე გადის. გააზრებული ჰქონდა,რომ ქართული ენის დამცავი და შემნახველი მნიშვნელოვანი ძალა იყო სახალხო სკოლა და სწორედ დედაენაზე სწავლების აუცილებლობის დამტკიცება და მისი პრაქტიკაში, სისრულეში მოყვანა წარმოადგენდა ი. გოგებაშვილის, როგორც საქართველოს ერთგული, მოყვასი პიროვნების, როგორც პედაგოგის უმთავრეს ამოცანას. მან მოახერხა და თავისი დამოკიდებულებებითა და სწავლების მეთოდებით მოსწავლეთათვის ყველაზე საყვარელი პედაგოგი გახდა.

ახალგაზრდების განათლების საკითხს იაკობი დიდი გულისყურით ეკიდებოდა და მას უდიდეს სახელმწიფოებრივ და სახალხო საქმედ თვლიდა. იგი მიიჩნევდა, ქვეყნის წარმატება და ქართველი ერის გაჯანსაღება სწორედ მომავალი თაობის მეცნიერულ აღზრდაზეა დამოკიდებული. იაკობის აზრით ახალგაზრდობა ეს „ერის ფესვებია“ და ამიტომაც, ერის კეთილდღეობის მოსაპოვებლად სწორედ ამ ფესვების გაჯანსაღება და განვითარებაა აუცილებელი.

სემინარიაში არსებულ მძიმე მდგომარეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაძლევს თავად იაკობ გოგებაშვილი წერილში „ჩემი მოღვაწეობის შესახებ სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად ყოფნის დროს“. ამ წერილში ავტორი ამბობს, რომ მან წინასწარ იცოდა სასწავლებელში არსებული მდგომარეობის შესახებ და კარგად ჰქონდა გაცნობიერებული თუ რა სიძნელეს წარმოადგენდა მისი

სათანადოდ მოწყობა, ამიტომაც თითქოს თავსაც არიდებდა ამ თანამდებობას მანამ, სანამ სასულიერო წოდების საოლქო ყრილობამ არ აირჩია მის ზედამხედველად (მახარაძე, 1973:166).

იმავე წელს ჩატარებულ მისაღებ გამოცდებში გამოჩნდა თბილისის სემინარიელთა განათლების დონე ორმოციდან მხოლოდ რვამ ჩააბარა გამოცდა რაც ქუთაისის სემინარიელებთან შედარებით ნამდვილად დაბალი მაჩვენებელი იყო. იაკობ გოგებაშვილმა მოიწადინა ძალ-ღონე არ დაეშურებინა და თბილისის სემინარიელთა განათლება ქუთაისის სემინარიის სიმაღლემდე აეყვანა, რომელსაც იმ პერიოდში ფრიად განათლებული ადამიანი, გერასიმე კალანდარიშვილი, ხელმძღვანელობდა. საბოლოო ჯამში იაკობმა თავის მიზანს ძალიან მალე მიაღწია, სულ რაღაც ორ წელში 1971 წელს გამოცდებზე თბილისის სემინარიის განათლების დონე არათუ ამაღლდა ქუთაისის სემინარიის დონემდე, არამედ გაუსწრო კიდეც მას და ეს რა თქმა უნდა მცირე დროში მიღწეულიუდიდესი წარმატება იყო.

ვასილ ბარნოვი იაკობ გოგებაშვილზე საუბრისას იხსენებს თუ როგორ ამოირჩია იაკობმა კლასში წარმატებული მოსწავლეები, დამატებით როგორ ავარჯიშებდა მათ, რათა შემდგომ ამ მოწინავეთა ჯგუფს შესძლებოდა სხვა ჩამორცენილი მოსწავლეების დახმარება. (ბორცვაძე,1991:96).

თბილისის სასულიერო სასწავლებელში იაკობ გოგებაშვილი 11 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა და ამ პერიოდში მან თავისი პედაგოგიური თუ ლიტერატურული საქმიანობით განსაკუთრებული ავტორიტეტი მოიხვეჭა. იგი ებრძოდა ყველას ვისაც ჩვენი ქვეყნის მხარედ გადაქცევა სურდა (ქართული ლიტერატურის ისტორია, 1974:345).

მეფის მოხელეებსაც რა თქმა უნდა არ მოსწონდათ მათ წინააღმდეგ მიმართული იაკობის ქმედებანი და იერიშიც მიჰქონდათ მასზე. თუმცა იაკობმა მოახერხა მათ წინააღმდეგ გამარჯვება. როდესაც ჩინოვნიკები მიხვდნენ, რომ პრინციპულ და პირდაპირ ბრძოლაში იაკობთან ვერაფერს გააწყობდნენ, ტაქტიკა შეცვალეს. ამის შემდეგ იყო დაბეზღება, ცილისწამება მცდელობა იმისა, რომ წმინდა სინოდის წინაშე იაკობი ათეისტად, ხოლო ხელისუფლების წინაშე მეამბოხედ

გამოეცხადებინათ, რათა ასე მოეშორებინათ თავიდან ქვეყნისთვის მებრძოლი, სამშობლოს ერთგული პიროვნება, რომელიც მათ გეგმებს განხორციელების საშუალებას არ აძლევდა და მათი ფარული განზრახვანი სააშკარაოზე გამოჰქონდა.

„გოგებაშვილმა კარგად იცოდა, რომ ერის განათლებისთვის მხოლოდ წიგნი საკმარისი არ იყო. მას სურდა სახალხო სკოლის შექმნა და მასზე ამყარებდა დიდ იმედებს. მას სახალხო განათლებისთვის, არც ძალა და არც თანხები არ დაუზოგავს.. (https://burusi.wordpress.com/2009/09/16/iakob-gogebashvili/)

მართალია იკობის მეშვეობით სემინარიის მდგომარეობა წინ-წინ მიდიოდა, თუმცა თავად ამ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდებოდა თავდაუზოგავმა შრომამ ისევ დააბრუნა ძველი სნეულება, რომელიც მას საქმიანობის განხორციელებაში ხელს უშლიდა. (ბორცვაძე, 1991:38) ასევე მუდამ ფხიზლობდნენ იაკობის მტრებიც, რომელთა ბოროტებაც მას მუდამ თან სდევდა.

იაკობს არ გასჭირვებია, მალევე მოეპოვებინა ქართველი მოწინავე საზოგადოების პატივისცემა და თავისი მოწაფეების გულწრფელი სიყვარული, თუმცა მან სასტიკად აიმხედრა სინოდის წევრები, კავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობა, სემინარიის ადმინისტრაცია და საერთოდ, მეფის ოფიციალური მოხელეები. იაკობს არც ერთი ნაბიჯით არ დაუხევია უკან მათ წინააღმდეგ დაპირისპირებაში. მტერთა გამო იგი სემინარიიდან გაანთავისუფლეს, მესამე მუხლის ძალით, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება. ამ უკანონობამ წარმოუდგენელი ტრამვა მიაყენა იაკობს. მას თანამდებობასთან ერთად ჩამოართვეს გადაცემული ბინაც. იგი საკუთარმა მეგობარმა შეიფარა.

აღნიშნული მოვლენების შემდეგ იაკობ გოგებაშვილმა გადაწყვიტა სამუდამოდ დაენებებინა თავი სახელმწიფო საქმისათვის. დაწვა ყველა დოკუმენტი, რომელიც სახელმწიფო სამუშაოსთვის აუცილებელი იყო.

ამავე პერიოდში მან თავის მოკვლაც კი სცადა. იგი მტკვარში გადახტა. თვითმხილველი, სახალხო სკოლის მასწავლებელი, ალექსანდრე ცხვედაძე სემინარიის თანამშრომლებს სწორედ ამ ამბავს უყვებოდა. მან შენიშნა კაცი, რომელიც წყალში შევიდა და მცირე ხანს წყალმა დაფარა. როცა ნაპირთან როგორღაც

გამოაღწია ალექსანდრემ სწორედ მაშინ ამოიცნო ამ კაცში გოგებაშვილი. მან ნიკოსთან ერთად იაკობი საავადმყოფოში წაიყვანა. (ბორცვაძე, 1991:38).

აქვე უნდა ვახსენოთ ისიც, რომ იაკობი თურმე მეტად ფრთხილი იყო და თავს ძალიან უვლიდა. ერთი პატარა მიზეზიც კი საკმარისი იყო, რომ ექიმთან კაცი გაეგზავნა. სწორედ ეს ზედმეტი თავის მოვლა, გაფრთხილება იყო მიზეზი, რომ მოუგონეს ჭორი, მომავალში ანეგდოტად ქცეული: თურმე იაკობი მტკვარში შესულა თავის დასახრჩობად, წყალში როდესაც შევიდა უეცრად ისევ უკან გამობრუნდა გავცივდები და ფილტვების ანთება დამემართებაო.

60-იანი წლების მეორე ნახევარში იაკობ გოგებაშვილი იოსებ მამაცაშვილის ლიტერატურულ სალონშია, სადაც იკრიბებოდნენ: ანტონ ფურცელაძე, გეგე მაღალაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, რუსი პედაგოგი სიმონოვიჩი თავისი მეუღლით, გიორგი იოსელიანი, ნიკო ცხვედაძე, ანა მუსხელიშვილისა და სხვ. სწორედ აქ განიხილავდნენ მეტად მნიშვნელოვან ლიტერატურულ და კულტურულ საკითხებს.

იაკობის ცნობით, სხვადასხვა საკითხი ხშირად ხდებოდა კამათის საგანი, აქ კითხულობდნენ სხვადასხვა რეფერატებს, ეცნობოდნენ ლიტერატურულ საქმიანობებს. იაკობის მეთაურობით, იოსებ მამაცაშვილის სალონი იმდენად განვითარდა და გაძლიერდა ყოველმხრივ, რომ მალევე შეუდგა სოფლად სკოლების გამართვას და საგამომცემლო საქმიანობასაც.

როგორც იაკობ გოგებაშვილი გვამცნობს, ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ის გხლდათ რომ სწორედ მ წრეში გაჩნდა იდეა ჩამოეყალიბებინათ „ქართვეთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“(ბორცვაძე, 1991:41), რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის ენობრივი და ეროვნული ღირსების დაცვის საქმეში. ეს ის პერიოდია, როცა ქართულ ენას დევნიდნენ, არისტოკრატიას ქართულად საუბარი სირცხვილად მიაჩნდათ და რუსული საუბრით თავს იწონებდა.

და როცა ვსაუბრობთ ქვეყნის წინაშე მდგარ სხვადასხვა პრობლემებზე, ეროვნული და ენობრივი საკითხების მოგვარების გზებზე, აუცილებლად

მოგვაგონდება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელსაც ამგვარი პრობლემათა მოგვარება დაეკისრა. მის შექმნაში იაკობ გოგებაშვილთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის: ილია ჭავჭავაძეს, დიმიტრი ყიფიანს, აკაკი წერეთელს, რაფიელ ერისთავს და სხვებს.

ამ ორგანიზაციის მთავარი მიზანი ქართველთა შორის ეროვნული სულისკვეთების გაღვივება იყო. საზოგადოებამ დიდი ამაგი დასდო ეროვნული პედაგოგიური აზრისა და განათლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბების საქმეს. იგი ფინანსდებოდა სხვადასხვა მეცენატთა და მწერალთა მიერ. ის კი აფინანსებდა სტუდენტებს, რომლებიც ევროპაში იღებდნენ განათლებას, ხელს უწყობდა ისეთი სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნას, როგორიც იყო: სკოლები, ბიბლიოთეკები და სხვა.

დაარსების დღიდანვე იაკობ გოგებაშვილი ფიქრობდა, თუ ვის უნდა ეხელმძღვანელა ამ საზოგადოებისთვის და აირჩიეს დიმიტრი ყიფიანი. იგი პერიოდისთვის დაფასებული, ავტორიტეტული პიროვნება იყო ქართულ საზოგადოებაში, მთავრობის წრეებში.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსების შემდეგ აუცილებელი იყო შეედგინათ წესდება, რომელსაც დაეფუძნებოდა და რომლითაც იმოქმედებდა ეს საზოგადოება. წესდებაში იაკობის მოთხოვნით შეიტანეს მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა, რომ ამ ორგანიზაციის მიერ დაარსებულ სკოლებში სწავლება აუცილებლად ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო.

იაკობი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ოფიციალურ წევრად 1879 წლის 15 მაისს გაფორმდა, როცა გაიმართა ამ საზოგადოების პირველი ოფიციალური სხდომა. იმავე წელს, იმავე კრებაზე იგი ხელმძღვანელობაშიც აირჩიეს. თავდაპირველად ამ ხელმძღვანელობაში სულ ათი კაცი იყო. აღნიშნული საზოგადოების საქმიანობა რაღა თქმა უნდა ქვეყნისთვის სასარგებლო იყო. იგი ინახავდა ქართულ სკოლებს, აარსებდა ბიბლიოთეკებს და

სხვადასხვა საგანმანათლებლო კერებს, თუმცაღა დაარსების პირველ პერიოდში მას ძალიანუჭირდა.

საზოგადოების საქმიანობაში წარმოშობილ სიძნელეებს ხედავდა არა მხოლოდ იაკობი, არამედ სხვა მოღვაწენიც და მუდმივად დაეძებდნენ წარუმატებლობის მიზეზებს, რათა ხარვეზები აღმოეფხვრათ. იაკობ გოგებაშვილი სხვა ავტორებისგან განსხვავებით ამ ორგანიზაციის წარუმატებლობას მხოლოდ გარეგან ფაქტორებში არ ხედავდა. მართალია, ჩინოვნიკები, ქვეყნის არაკეთილმოსურნენი გარკვეულად ხელს უშიდნენ მის საქმიანობას, თუმცა ავტორი ამბობს, რომ ამ საზოგადოებას არც ისეთ საქმეებში აქვს წარმატება, რომელთაც გარეგანი დაბრკოლება არ უშლის ხელსო. ასეთი იყო: წიგნების გამოცემა, სკოლების გახნა და სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებანი.(მახარაძე, 1978:179).

ამის მიზეზად ავტორი გამგეობის არასაკმარის მუშაობას ასახელებს. ი.გოგებაშვილის აზრით, ნამდვილი მიზეზი, რის გამოც წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ვერ მოიპოვა საკმარისი ნაყოფიერება, არის მართვის ის სისტემა, რომელსაც ცენტრალიზაცია ქვია. აქვე ამბობს იგი რომ ამ საზოგადოების ათივე წევრი თბილისელია, სხვა კუთხეებიდან არ გვყავს წარმომადგენლები ჩართულნი ანუ ამ საზოგადოებამ ჯერ კიდევ ვერ მოიცვა ფართო მასებიო. ამიტომაც, იგი რჩევის სახით ამბობს, რომ აუცილებელია რაღაც კონკრეტული კურსის არჩევა, რომლითაც მოხდებოდა კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობაში უფრო მეტი ქართველის ჩაბმა. იაკობი თვლის, რომ აუცილებელია სხვადასხვა მხარეში ამ საზოგადოების აგენტების არსებობა და სხვადასხვა საგანმანათლებლო კერების გაჩენა.

ასევე იმისათვის, რომ ამ საზოგადოებას ეარსება და საქმიანობა გაეგრძელებინა, აუცილებელი იყო სათანადო რესურსები, რომლებიც საწყის ეტაპზე ილია ჭავჭავაძის შეტევის შედეგად გადადო როგორც თბილისის, ასევე ქუთაისის საადგილმამულო ბანკმა. მიუხედავად ამისა ეს ყოველივე საკმარისი არ იყო და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები მუდმივად თანხებს ეძიებდნენ საქმიანობის წარსამართად.

აღნიშნულ საზოგადოებას მუდმივი და მნიშვნელოვანი საზრდო თავად იაკობ გოგებაშვილმა გაუჩინა თავისი სახელმძღვანელოების მეშვეობით. განსაკუთრებით „დედაენით“ და „ბუნების კარით“, რომლებიც იბეჭდებოდა ყოველწლიურად და დიდი რაოდენობით. განსაკუთრებით დიდი იყო იაკობის დამსახურება ამ საზოგადოების სკოლების დაარსებისა და მათი მოწესრიგების საქმეში.

იაკობ გოგებაშვილი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დიდ დახმარებას უწევდა. თავისი წიგნების შემოსავლიდან უმეტეს ნაწილს სწორედ ამ საზოგადოებას ახმარდა. ცნობილია ისიც, რომ ერთხელ მთელი მიღებული თანხა - ცამეტი ათასი მანეთის ოდენობით მთლიანად წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა. ეს საზოგადოება მისთვის მეორე ოჯახი იყო. საკუთარი ოჯახი კი იაკობს არ ჰყოლია. ცხოვრობდა სულ მარტო. ცოლის მოყვანაზე არც კი უფიქრია. რაკი ერთხელ სტუდენტობისას ფილტვების პრობლემა ჰქონდა და დიდმა ხანმაც გაიარა, ოჯახი აღარ შეუქმნია. თვლიდა, რომ ავადმყოფმა ავადმყოფები აღარ უნდა მოამრავლოსო. თუმცა ჯანმრთელი ადამიანის უშვილოდ ყოფნას დიდ დანაშაულად თვლიდა ერის მომრავლების საქმისთვის.

მწერალი ცნობილი გახლდათ მისი ქველმოქმედებითაც, რაშიც მას ხელს უწყობდა თავისი ეკონომიკური მდგომარეობა. როდესაც იაკობი ახალგაზრდა ყმაწვილს ნიჭიერებას შეატყობდა, რომ იგი მოწადინებული იყო განათლების მისაღებად, თუმცა ამისათვის საჭირო რესურსები არ გააჩნდა, იგი ყოველთვის ეხმარებოდა ასეთ ახალგაზრდას. ასევე ცნობილის ისიც, რომ მის სახლში შეკრებილ ახალგაზრდებს იგი ხშირად ასაჩუქრებდა წიგნებით. იგი ხშირად ურიცხავდა სტიპენდიას უცხოეთში სასწავლებლად წასულ მოაზროვნე ახალგაზრდებს. მისი სტიპენდიანტი გახლდათ ცნობილი მწერალი იოსებ მჭედლიშვილი. იგი ფინანსურად დაეხმარა ცნობილ მწერალს თედო სახოკიას, დიდ ფულად დახმარებას უწევდდა მის დისშვილს კონსტანტინე კასრაძეს. ბევრმა სწორედ, მისი შუამდგომლობითა და თხოვნით მიიღო სტიპენდია, მათ შორის ზაქარია ფალიაშვილმა. იგი ასევე ფულს რიცხავდა სახალხო მასწავლებელთა დასახმარებლადაც. სწორედ, მისი რჩევით შემოიღო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მასწავლებელთა დაჯილდოების

პრაქტიკა და ამ საქმისთვის თავად შეიტანა საწყისი თანხა ას ორმოცდაათი მანეთის ოდენობით.

მან თქვა: „ყველაფერი ხალხმა მომცა და ხალხსავე უნდა დაუბრუნდეს“ („ გიორგი თავზიშვილი, 1990:35) და მართლაც ასე მოხდა. მისი ცხოვრება ნამდვილად ეკუთვნოდა ქართველ საზოგადოებას და სწორედ, თავი და სიცოცხლე მთლიანად საქართველოს უძღვნა.

იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებით აქტიურად ეროვნულობისთვის ბრძოლის საქმეში 70-იანი წლებიდან ჩაერთო. ამ პერიოდიდან იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელად გვევლინება და ყველანაირად იბრძვის ქვეყნის ეროვნული თავისუფლებისთვის. ასევე მას უყურადღებოდ არ დაუტოვებია ბავშვთა აღზრდისა და სკოლაში სიტუაციის მოწესრიგების პრობლემები და აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად იგი ყველაფერს აკეთებდა. დიდი ილიას მსგავსად, მას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ენა სახე და ფუნდამენტია ეროვნულობისა და ამიტომაც ქვეყნის დაცვის და ხელშეუხებლობის პრობლემის მოგვარება სწორედ, ენის დაცვით უნდა დაეწყოთ. რუსეთის მთავრობას კარგად ესმოდა, რომ თუ სურდა ქვეყნის მოსპობა და განადგურება, ეს ყოველივე უნდა დაეწყო ეროვნული ენით და სწორედაც პირველი იერიში მათ ენაზე მიიტანეს. სწორედ, ამიტომ ქართველთა მთავარი საზრუნავი იყო, არ შეწყვეტილიყო სკოლებში ქართულად საუბარი და ქართველს არ დაევიწყებინა ქართული.

იაკობ გოგებაშვილმა ახლო ურთიერთობა დაიჭირა ქართველი ხალხის დიდ განმანათლებელ ილია ჭავჭავაძესთან, სამოციანელებთან. ილიას ხელმძღვანელობით აქტიურად ჩაება საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. კალამი მის ხელში იქცა ერთგვარ იარაღად, რომლითაც აღწერდა რეალობას, ეძიებდა უარყოფითი მოვლენების, ქვეყნის გაჩანაგების ნამდვილ მიზეზებს და მწერლობით ილაშქრებდა ქვეყნის ეროვნული უფლებების დასაცავად.

იაკობ გოგებაშვილი ჯერ კიდევ სემინარიის კედლებში გაეცნო ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ნაწარმოებებს. შემდეგ უკვე აქტიურად აკვირდებოდა „საქართველოს მოამბისა“ და „ცისკრის“ საქმიანობებს. თავის მხრივ, დიდი ილია და

აკაკიც ადევნებდნენ თვალყურს იაკობის ლიტერატურულ საქმიანობას და სათანადოდ აღიარებდნენ მას. 1868 წელს, როდესაც იაკობის „ბუნების კარი“ დაიბეჭდა, იგი საბოლოოდ იქცა ტიპურ სამოციანელთა, თანამოაზრედ და თანამებრძოლად. ილიასთან მას საკმაოდ ახლო ურთიერთობა დაუჭერია და როგორც ცნობილია, სხვა თანამოაზრეებთნ ერთად იაკობ გოგებაშვილი ხშირად იყო მიწვეული ილია ჭავჭავაძესთან ნადიმზე.

განსაკუთრებული, ერთობლივი ბრძოლა მაინც 80-იანი წლებიდან იწყება, ქათული ენის, კულტურის რუს ჩინოვნიკების ხელყოფისაგან დასაცავად. ისინი ერთობლივად დაუპირისპირდნენ გორის სემინარიის მასწავლებლის ნათიევის მიერ შედგენილ ქართული ენის სახელმძღვანელოს, რომელშიც ყოველივე წარმოდგენილი იყო რუსული ასოებით. ამ მოვლენას სხვადასხვა კრიტიკული წერილებით გამოეხმაურნენ იაკობი და ილია და მათ, რა თქმა უნდა დაგმეს ეს ქმედება. ილია ჭავჭავაძის წერილს ეწოდებოდა „ვიცინოთ თუ ვიტიროთ“, რომელმაც ძალიან გააბრაზა თურმე ნათიევი და ამ ყოველივეს მოჰყვა იაკობ გოგებაშვილის წერილი „სამწუხარო მოვლენა პედაგოგიკაში“. იაკობ გოგებაშვილის კრიტიკულ წერილში, ისევე როგორც ილიას წერილში ჯერ მხილებულია გორის სემინარიაში ქართულის სწავლებს უგულვებელყოფა, უხარისხო სწავლება და შემდეგ უკვე გაკრიტიკებულია ნათიევის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო. წერილში ნათიევის სახელმძღვანელო განხილულია იაკობისათვის დამახასიათებელი მეცნიერული სიღრმით და საკითხი გარჩეულია პედაგოგიური თვალსაზრისით.

იაკობს აშფოთებდა იმ სასწავლებელთა ყოფა, სადაც სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და სწავლების მეთოდებით ხელს უწყობდნენ ახალგაზრდა თაობის გონებრივ გადაგვარებას. ილიაც იზიარებდა იაკობისეულ შეხედულებას. ზემოთქმულიდან გამომდინარე სულაც არ ნიშნავს რომ ან ერთი, ან მეორე მწერალი რუსული ენის სწავლების წინააღმდეგი იყო. პირიქით, ისინი ემხრობოდნენ რუსული ენის სწავლებას, ოღონდ ეს ყველაფერი უნდა მომხდარიყო სწორად და არა საკუთარი, მშობლიური ენის უგულვებელყოფისა და დავიწყების ფონზე. მათი აზრით, რუსული ენის შეგნებით სწავლებისათვის მშობლიური ენის ფართოდ გამოყენება იყო აუცილებელი. თვლიდნენ, რომ რუსული ენის სწავლება

აუცილებელი იყო რუსეთთან ეკონომიკური და კულტურული კავშირებისთვის (ბორცვაძე,1991:67) ეს ის მოსაზრებები და მთავარი იდეებია, რომლებიც იაკობისა და ილიასშემოქმედებაში გამოიკვეთა.

იაკობ გოგებაშვილი ძალიან გონიერი და ღირსეული პუბლიცისტია. იგი წერდა ქვეყნითვის მნიშვნელოვან, ყოველდღიურ პრობლემატურ საკითხებზე და როდესაც ილიას არ ეცალა, ან ავად იყო, სწორედ ის წერდა „ივერიისთვის“ სხვადასხვა სტატიასა და სარედაქციო წერილებს.

იაკობ გოგებაშვილის პუბლიციტიკაში წარმოდგენილია არა მხოლოდ საჭირბოროტო საკითხი, არამედ ამ საკითხის მოგვარების გზებიც. იგი პატრიოტიზმს სახავს მთავარ ძალად, რომელმაც ჩვენი ქვეყანა განადგურებისაგან იხსნა. 1882 წელს ჟურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ „შინაურ მიმოხილვაში“ მან განიხილა სწორედ პატრიოტიზმი მისი ჩანერგვისა და ზრდის პირობები. იგი სვამს კითხვას თუ ვის ეწოდება პატრიოტი და თავად პასუხობს, რომ ეწოდება მას ვისაც სიცოცხლის მთავარ წყაროდ, საგნად სწორედ ქვეყნის ბედნიერება გაუხდია და თავდაუზოგავად იბრძვის მისი უკეთესი მომავლისთვის. მისი პატრიოტიზმი უშუალოდ უკავშირდებოდა ჰუმანიზმს და კაცთმოყვარეობას. (კ ა ნ დ ე ლ ა კ ი , 1 9 9 0 : 6 5) ამიტომაც მას განსაკუთრებული მოვლა სჭირდება.

ილიასა და აკაკის მსგავსად იაკობ გოგებაშვილსაც მთავარ მიზნად ჰქონდა დასახული, ქართველი ხალხის გამოღვიძება და მათი დარაზმვა ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს ადამიანები გახლდათ იმ პერიოდის საზოგადოების ნამდვილი ქომაგი და ჭირისუფალი. ერთი მხრივ, თუ რაიმე პოლიტიკური, პრობლემური საკითხი წამოიჭრებოდა ქვეყანაში და პასუხის გაცემა იქნებოდა აუცილებელი ყველა ილიას მიაპყრობდა თვალყურს, აინტერესებდათ თუ რა პასუხს გასცემდა იგი, მეორე მხრივ, კი თუ სწავლა-აღზრდის თვალსაზრისით რაიმე მოსაგვარებელ საკითხს წავაწყდებოდით, მაშინვე იაკობ გოგებაშვილს მივაპყრობდით მზერას და ისინიც დიდის ამბით და მთელი მონდომებით ცდილობდნენ ამა თუ იმ საკითხის ქვეყნის საკეთილდღეოდ მოგვარებას. ილიას და იაკობს კარგად ჰქონდათ გააზრებული

თავიანთი მძიმე ხვედრი და საზოგადოების უკეთესი მომავლისთვის თავდაუზო გავად იღწვოდნენ.

მე-19 საუკუნის წარმომადგენლებს, რომლებიც ბევრს ფიქრობდნენ საქართველოს ბედ-იღბალზე და ეძიებდნენ ქვეყნის განვითარების შესაძლებლობებს კარგად უწყოდნენ, რომ რუსეთთან შეერთებამ ქვეყანას მხოლოდ ფიზიკური, გადარჩენა მოუტანა და ახლა აუცილებელი იყო სახელმწიფო სულის დაცვა, რათა ქვეყანა შინაგანად არ მოსპობილიყო და გადაგვარებულიყო სწორედ, ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რისთვისაც იბრძოდნენ ჩვენი განათლებული, ქვეყნის ერთგული პიროვნებები სწავლის, ცოდნისა და მეცნიერების განვითარებისთვის.

ილიასთვის ცოდნა ეს იყო ხერხი, სიმდიდრე, რომელიც ადამიანს სულ თან ახლავს, ყოველგვარი ხარჯისა და ბარგის გარეშე. თანაც ისეთი სიმდიდრე, რომელსაც ვერავინ მოჰპარავს ადამიანს და ვერც ვერავინ გადაუდგება წინ. ძლიერი სწორედ ის ადამიანია, რომელსაც გონება და ჭკუა განათლებით უსაზრდოებია. (კანდელაკი, 1990:58)

იაკობ გოგებაშვილი იზიარებდა, ილიასეულ, ცოდნის ამგვარ განმარტებას. იგი ამბობდა, რომ სწორედ სწავლა, ცოდნა და მეცნიერება იყო ის მტავარი ძალა, რომელიც ერს გონებრივი, სულიერი და ფიზიკური გაჭირვებისგან იხსნიდა. (იკობის სამრეკლო, 1990:58). მისთვის ცოდნის ჩაუქრობელი კერა გახლდათ - თეატრი, პრესა, სკოლა, ლიტერატურა. ამ კერებს შორის კი განსაკუთრებული ადგილი სწორედ, სკოლას უჭირავს, რომელიც მნიშვნელოვანი ნათელი წერტილია ცოდნის მოპოვების საქმეში.

იაკობ გოგებაშვილი ილია ჭავჭაჭავაძესთან ერთად ღირსეულად მოქმედებდა ქვეყნისთვის სასიცოცხლო საკითხების მოსაგვარებლად. იგი გახლდათ მტკიცე, პრინციპული და თავგანწირვით იბრძოდა იმ იდეებისთვის, რომელიც სწამდა. იაკობი იმასაც აღნიშნავდა, რომ თუ მე რაიმე გავუკეთე ქართველ ხალხს, ეს ყოველივე გამომივიდა ილიას დახმარებით და ხელისშეწყობითო. როდესაც ვცდილობდი ჩვენი ქვეყნის შელახული უფლებების დაცვას, ყვავ-ყორნებივით შემომეხვივნენ საქართველოს მტრები, რომლებიც პედაგოგების ქურქში იყვნენ

გამოხვეულიო და სწორედ მაშინ, როცა ყოველმხრივ გარს მტრები მეხვია შემწეობა მხოლოდ ილიასგან მივიღეო. ილია ჭავჭავაძე, როგორც ლომი ისე ესხმოდა თავს იანოვსკის, კატკოვს და ყველა იმ პიროვნებას, რომლებიც ცდილობდნენ ტყუილი ჭორებით შეებღალათ საქართველოს წარსული, ჩვენი წმინდა ენა და კულტურა. იაკობი იმასაც აღნიშნავდა, რომ თუ დღეს ჩემს მიერ შექმნილ წიგნებს გასავალი აქვს ქართულ საზოგადოებაში ეს დიდწილად ილია ჭავჭავაძის დამსახურებააო.

და რაღა თქმა უნდა ასეთი გულთბილი ურთიერთობის ფონზე ილია ჭავჭავაძის გარდაცვალება თავზარდამცემი აღმოჩნდა იაკობ გოგებაშვილისთვის. მას დააკლდა კარგი მეგობარი, ნიჭიერი პიროვნება, თანამებრძოლი, ქვეყანას - მისი ერთგული, მოყვასი შვილი.

იაკობ გოგებაშვილს მოღვაწეობის პერიოდში, თავისი ცხოვრებისეული იდეალებიდან გამომდინარე ახლო კავშირი ჰქონდა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან, რომლებიც მის ცხოვრებისეულ იდეალებსა და მისწრაფებებს იზიარებდნენ და მათი მიზანიც მძიმე ყოფიდან საქართველოს გამოყვანა და გადარჩენა იყო. განსაკუთრებით ახლო კავშირი მას ჰქონია აკაკი წერეთელთან. მათი მიმოწერები ნათლად ადასტურებენ მათ გულწრფელ მეგობრობას. ყველა წერილში ჩანს ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობა და პატივისცემა. იაკობი მეტად აფასებდა აკაკი წერეთლის შემოქმედებას და მის მიერ შედგენილ „დედა ენაში“ ყველაზე მეტი ადგილი, ხალხურის შემდეგ, აკაკი წერეთლის ლექსებს ეკავა. აკაკის დამსახურება ამ წიგნის წინაშე მხოლოდ ორიგინალური ლექსების შექმნა როდია, მას იაკობის თხოვნით დიდი შრომა გაუწევია, მის მიერ რუსულიდან თარგმნილი ლექსების სარედაქციო სრულყოფისათვის. ასევე, როგორც ცნობილია იაკობი მატერიალურ დახმარებასაც უწევდა აკაკის. აკაკი ერთ-ერთ წერილში იაკობს მადლობას უხდის გაწეული დახმარებისთვის და ეუბნება რომ შენი მოსაკითხი სიცოცხლის წონად მოვითვალეო და მადლობაც აღარ არის უკვე საკმარისი შენი სიკეთისთვისო და ეპატიჟება მას თავისთან. ეგებ როგორმე მაინც ჩამოგიტყუო ჩემს მხარეში და ვამზადებინებ შენთვის საკადრის, შესაფერ ოთახსო.

აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი თანამებრძოლები იყვნენ. ორივეს სურდა ქართული ენის თვითმყოფადობის შენარჩუნება. როგორც ცნობილია, როცა იაკობი ცდილობდა, თავის სახელმძღვანელოებში მოქცეული ლექსიკური მასალა გაუგებარი არ ყოფილიყო სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთათვის, განსაკუთრებით ისეთი სიტყვები, რომელთაც დასავლურ დიალექტში მსგავსი შესატყვისი არ ჰქონდა ამაში მას დიდ დახმარებას უწევდა აკაკი წერეთელი. მისი მეშვეობით მან მთელ რიგ სიტყვებს მიუწერა დასავლური კილოების სინონიმები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ იაკობს და აკაკის გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთისმიმართ და როდესაც ამგვარ ურთიერთობას ვახსენებთ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ იაკობის წერილი „ნაციონალური საჩუქარი“, რომელშიც იგი საზოგადოებას აცნობს აკაკი წერეთლის ავადმყოფობას და მის ხელმოკლეობას, აქვე წამოაყენებს იდეას აკაკის ფონდის შექმნის თაობაზე, რომელსაც საზოგადოება დადებითად გამოეხმაურა.

იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის ახალი პერიოდი 80-იანი წლებიდან იწყება. ამ პერიოდიდან იგი უკვე აქტიურად წერს საბრძოლო ხასიათის პუბლიცისტურ წერილებს, რომლებსაც საზოგადოებაში უნდა გაეღვიძებინა ეროვნული თვითშეგნება, ასევე უნდა ყოფილიყო ერთგვარი მოწოდება საზოგადოებისთვის,რათა გაფრთხილებოდნენ ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალს.

განსაკუთრებით მძაფრად იგი ნაციონალურ-განმათავისუფლებელ საკითხებს ეხებოდა, რათა ეროვნული თავისუფლება გამხდარიყო უპირველესი მიზანი საზოგადოებისა. მწერლობის მეშვეობით იგი ამძაფრებდა პატრიოტიზმის გრძნობას ქართველთა შორის და ამხედრებდა მათ ბიუროკრატი ჩინოვნიკების და საზოგადოდ ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ, რომელთა უნიათო ქმედებანი საფრთხეს უქმნიდა ჩვენს ქვეყანას. მწერალი თავგამოდებით იცავდა ჩვენი მშრომელი ხალხის ინტერესებს და სჯეროდა მისი მომავლის. იაკობ გოგებაშვილი საერთო-სახალხო ენის ნიადაგზე დგას. იგი მხარს უჭერდა, როგორც ქართული ენის თვითმყოფადობის და განვითარების საკითხს ასევე ფიქრობდა ენის განვითარების შინაგან კანონებზე. ამბობდა, რომ ისეთი ენობრივი ფორმები უნდა გაბატონებულიყო ლიტერატურაში,

რომელიც გამოხატავდა პროგრესულ ცვლილებებს ენაში. ამდენად მისთვის სრულიად მიუღებელია ენობრივი სეპარატიზმი. როგორც მავნე გადახვევა საყოველთაო-სახალხო ენის პოზიციიდან. იგი პირდაპირ ამბობს თუ რა მძიმე შედეგის მომტანი იქნება ენის აჭრელება დიალექტური ფორმებით. მას კარგად ესმოდა, რომ ესა თუ ის ენობრივი მოვლენა სწორედ ლიტერატურის გზით ვრცელდება და მკვიდრდება ენის საგანძურში, ამიტომაც იაკობის აზრით მწერლების მიერ ისეთი სიტყვების გამოყენება, რომლებიც არ შეესაბამება ენის ბუნებას მიუღებელია. იგი თავდაუზოგავად შრომობდა და ამხელდა გაუმართავ ენობრივ ფორმებს. ერთი ასეთი მაგალითია აკაკი წერეთლის მიერ გამოყენებული სიტყვის „ჭკვიერი“ აღმოჩენა და გაკრიტიკება. ამ სიტყვას ფაქტობრივად ბრძოლა გამოუცხადა იაკობმა და ამბობდა, რომ ასეთი სიტყვების გამოყენებას უნდა ერიდოს მწერალიო, მით უმეტესს ისეთი სახელგანთქმული, როგორიცაა აკაკი წერეთელიო.

ლიტერატურული ენის ხალხურობისთვის ბრძოლა იაკობს ქართული ენის სრულყოფისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნდა. იაკობ გოგებაშვილი, როგორც პედაგოგი, წერდა ყველა აქტუალურ საკითხზე, რომელიც სახალხო განათლებას ემსახურებოდა. განსაკუთრებული ძალისხმევით იცავდა იგი სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების საკითხს, მოითხოვდა სკოლების ხალხურობას, გაძლიერებულიყო სკოლისგარეშე განათლება, ღარიბ ბავშვებს სახელმწიფო ფინანსურად დახმარებოდა, ასევე გაძლიერებულიყო რუსული ენის სწავლებაც, დამკვიდრებულიყო სწავლების ახალი მეთოდები, გაუმჯობესებულიყო მასწავლებელთა მდგომარეობა და ა.შ

მისი ნაწარმოებები ზნეობრივ-აღმზრდელობითი იდეების თავმოყრაა. იგი, როგორც პედაგოგი ბავშთა სათანადო აღზრდას, მათ გონებრივ, სწორ, ქვეყნისთვის სასიკეთო განვითრებას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ბავშვის აღზრდა და არა გაზრდა უნდა ყოფილიყო უპირველესი. თუ მათ თავიდანვე ჩაუნერგავდნენ პატრიოტიზმს და აღზრდიდნენ სამშობლოს სიყვარულით იგი აუცილებლად გამოადგებოდა ქვეყანას.

ამავე პერიოდში იაკობმა გადააკეთა თავისი სახელმძღვანელოები. ამ მხრივ მუშაობისას მან ყურადღება გაამახვილა მშობლიური ენის სწავლებისა და აღზრდის ახალ მეთოდებზე, ასევე გაითვალისწინა ყველა რეცენზია, რომელიც მის სახელმძღვანელოებზე დაიბეჭდა.

საყურადღებო ფაქტია ისიც , რომ იაკობი დიდ ყურადღებას უთმობდა საბავშვო პრესას და სწორედ მისი მეშვეობით 1883 წელს გამოვიდა საბავშვო ჟურნალი „ნობათი“, რომლის შესახებაც ვრცელი რეცენზია გამოაქვეყნა გაზეთ „დროებაში“. მისთვის სასიხარულო იყო პირველი ქართული საბავშვო ჟურნალის გამოსვლა, რომელიც ბავშვებს სიკეთესა და სიყვარულს, ჩაუნერგავდა, აღზრდიდა მათ ჰუმანური და პატრიოტული გრძნობებით, შესაბამისად საქართველოს ეყოლებოდა სწორად მოაზროვნე, ქვეყნის ერთგული თაობა. იაკობ გოგებაშვილს სწამდა რომ „ნობათს“ ბევრი მკითხველი ეყოლებოდა და სჯეროდა ამ ჟურნალის მომავლის.

მალევე, 1889 წელს გამოვიდა მეორე საბავშვო ჟურნალი, რომელსაც ი.გოგებაშვილი დიდი სიხარულით შეხვდა. ეს ჟურნალი იყო „ჯეჯილი“ რომლის გამოშვებასაც იაკობი „დიდი ნაკლის შევსებად“ თვლიდა. ამ ჟურნალსაც უძღვნა მან რეცენზია, რომელშიც ასევე არკვევდა საბავშვო ლიტერატურის ძირითად ამოცანებს, თემატიკას და მხატვრული ლიტერატურის თხრობის მანერას. იაკობი დარწმუნებული იყო, რომ ეს გამოცემა მეტად შეუწყობდა ხელს გონიერი და მხნე თაობის ჩამოყალიბებას. მისი აზრით თუ ბავშვი გარკვეული დროის განმავლობაში ეცნობა პერიოდულ გამოცემებს და რეგულარულად კითხულობს, აუცილებლად შეუყვარდება წიგნი და კითხვა. განათლების მიღება მისთვის გახდება სასიამოვნო პროცესი. იგი მწუხარებით აღნიშნავდა, რომ არც ისე კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდა ქართული პერიოდული ლიტერატურა. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს იგი ხედავდა სწორედ ქართული საზოგადოების გულგრილობაში.

როგორც უკვე ვახსენეთ იგი ერთ-ერთი დამფინანსებელი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“, იაკობ გოგებაშვილმა სწორედ ამ საზოგადოებას გადასცა განსაკუთრებული უფლება „დედა ენისა“ და

„ბუნების კარის“ გამოცემა-გავრცელებისთვის. მთელი ქონება საბოლოო ჯამში მან სწორედ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა. გარკვეული თანხა მან ასევე დაუტოვა სომეხთა და მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებას, ეკატერინე გაბაშვილის სახელობის ქალთა სკოლას, ქართულ საბავშვო ბარს და სხვა. ასევე დატოვა ანდერძი, რომელშიც ითხოვდა, რომ თავისი წიგნების გაყიდვიდან შემოსული თანხით შექმნილიყო სახალხო განათლების ფონდი, რომლითაც უნდა გამოზრდილიყო სახალხო სკოლა დამთავრებული ნიჭიერი ყმაწვილები, ასევე ღარიბი მოსწავლეები, რომლებსაც არ ჰქონდათ განათლების მიღების შესაძლებლობა. იმავე შემოსავლიდან უნდა დახმარებოდნენ ჟურნალ „განათლებას“, რათა გაეგრძელებინა არსებობა და „დედა ენაში“ დაბეჭდილი ლექსების გამო, გადაეხადათ შესაბამისი თანხა აკაკი წერეთლისთვის. მისი ქმედებები ნამდვილად მისაბაძი იყო საზოგადოების წევრებისთვის. მისი მებრძოლი და მგზნებარე გული მუდამ საქართველოს სიყვარულით ძგერდა.

მომავალი თაობის მეცნიერულად აღზრდის მცდელობით და სურვილით გაილია მისი ცხოვრება. იგი გარდაიცვალა 1912 წლის 1 ივნისს. მისი ცხედარი დიდებითა დაპატივით დაასაფლავეს დიდუბის პანთეონში.

იაკობ გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედების სიღრმისეულ განხილვას თუ მივმართავთ პირველ რიგში უნდა ვახსენოთ, რომ იგი დიდაქტიკურ ხასიათს ატარებს და დიდაქტიკურ ლიტერატურას მიეკუთვნება. მისი შემოქმედებითი მეთოდი პუბლიცისტურ-მხატვრულია. მისი პროზის მიზანსაც სწორედ რომ გარკვეული აღმზრდელობითი საკითხის თუ ამოცანების მხატვრულად გადაჭრა წარმოადგენს. სწორედ ეს ამოცანებია, რომლებიც განსაზღვრავენ მის იდეურ სამყაროს და მხატვრულ აზროვნებას.

იაკობი ლიტერატურის მეშვეობით ცდლობს, რომ გარკვეული აღმზრდელობითი გავლენა მოახდინოს აღსაზრდელზე. აღზარდოს იგი, გაარკვიოს ცხოვრების ავ-კარგში და აღჭურვოს საკმარისი ცოდნით გარე სამყაროს შესახებ. საბავშვო ლიტერატურის უქონლობა იგრძნობოდა არა მხოლოდ საქართველოში არამედ რუსეთშიც კი. სწორედ ამ პერიოდში იაკობმა გადაწყვიტა შეექმნა ისეთი

საბავშვო ლიტერატურა, რომელიც ხელს შეუწყობდა ბავშვთა ცნობიერების გაფართოებას და ეს მოახერხა კიდეც. პირველ რიგში, იგი ცდილობდა მის მიერ ჩინებულად შედგენილი სახელმძღვანელოებით მჭიდრო კავშირი ჰქონოდა ქვეყნის ფართო მასებთან. მისი წიგნების მეშვეობით მან ეს ნამდვილად შეძლო. მოახერხა თავისი ნაწარმოებებით ესაუბა ყვალა ასაკთან.

დიდმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ ცხოვრების მეორე ნახევარში სახელი გაითქვა, როგორც დიდმა მწერალმა და კრიტიკოსმა. მისი სიცოცხლის პერიოდში „დედაენა“ გამოიცა ოცდაცამეტჯერ, „ბუნების კარი“ - ოცდაერთჯერ, „რუსკოე სლოვო“- თექვსმეტჯერ. 1865-1876 წლებში მან შეადგინა და გამოსცა სახელმძღვანელოები: „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის”, „დარიგება, თუ როგორ უნდა წაიყვანოს მასწავლებელმა სწავლა ქართულ ანბანში პირველ საკითხავ წიგნში”, „დედა ენა”. ამ სახელმძღვანელოების გარდა, იაკობ გოგებაშვილს, როგორც საბავშვო მწერალს, ეკუთვნის აგრეთვე საყმაწვილო მოთხრობათა და ლექსთა კრებულები: „აკიდო“, „კუნწულა”, „კოკორი”, „ხომლი“ და „მოსავლის მცველნი”. იგი 150-ზე მეტი საბავშვო მოთხრობის ავტორია. როდესაც იგი სამწერლობო ასპარეზზე გამოვიდა. სარგებლობდა ფსევდონიმით - ვარიანელი.

იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილ „ბუნების კარში“ იბეჭდებოდა ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“ და თავად იაკობის წერილი სათაურით: „შოთა რუსთაველი და სხვა მგოსნები თამარის დროისა“, რომელიც ხელს უწყობდა რუსთაველისა და მისი პოემის პოპულარიზაციას. წერილის დასაწყისშივე მკითხველი ეცნობოდა შოთა რუსთაველის, როგორც დიდებული მწერლის ღვაწლს და აღნიშნული წერილისა და პოემის ნაწყვეტების „ბუნების კარში“ გამოქვეყნებით ახალგაზრდების გულში ბავშვობიდანვე ღვივდებოდა ამ პოემის მიმართ სიყვარული და ინტერესი.

მარტო „დედა ენა” და „ბუნების კარი” კმარა იაკობის სამარადისო ძეგლად ქართველი ხალხის ისტორიაში. ეს სახელმძღვანელოები ატარებდა ენციკლოპედიურ ხასიათს. ახალგაზრდებს ამ წიგნების მეშვეობით საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ:

ბუნებისმეტყველებას, ისტორია, ლიტერატურას, გეოგრაფიას, ეთნოგრაფიას. ანუ ეს წიგნები მრავალმხრივი, სასარგებლო ინფორმაციით იყო შეიარაღებული. ეს რა თქმა უნდა შემთხვევითი არ ყოფილა. იმ პერიოდში დაბალ კლასებში ასწავლიდნენ მოსწავლეებს ქართულ ენაზე, მაღალ კლასებში კი სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ამიტომაც საჭირო იყო სახელმძღვანელოს თავიდანვე გადაეცა მოსწავლისთვის რელური ცოდნა და აუცილებლად მშობლიურ ენაზე. ეს საკითხი პირებს, რომლებიც საქართველოში რუსიფიკაციას აწარმოებდნენ, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. მათ გააკრიტიკეს იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, მაგრამ ავტორი თავგამოდებით იცავდა სახელმძღვანელოთა უფლებებს.

იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელოა ქართველთა ისტორიაში. იგი შედგენილია ანალიტიკურ-სინთეტური მეთოდით: გარკვეული წესების მეშვეობით ბავშვი ჯერ საგანთა არსს იგებს, ეცნობა მას და სწორედ ამის შემდეგ იწყებს ასო-ბგერების შესწავლას. ეს ღირებული და მეტად მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო გახლავთ შემოქმედის მრავალი დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგი.

დემნა შენგელაია იაკობ გოგებაშვილის დედაენას არსებით მნიშვნელობას ანიჭებს. იგი წერს, რომ „დედაენასთან“ შეხება, მისი წაკითხვა ადამიანისთვის ხელმეორედ დაბადების ტოლფასია. ის დიადი იდეა, მიზანი, მწერლის სული და გული, ადამიანის უმანკო ცნობიერების შენაჩუნების იმედი, რომელიც ამ წიგნში დევს, ადამიანის ხელმეორედ, სულიერი შობის საფუძველია(„იკობის სამრეკლო“, 1990:5)

იაკობი ისევე, როგორც დიდი პედაგოგი უშინსკი ფიქრობდა, რომ დედა-ენა გამოხატავს არა მარტო ხალხის სიცოცხლეს, არამედ ის თავადაა სიცოცხლეო. ის იდეები, ნააზრევი, ის მიზანი, რასაც ეს სახელმძღვანელო ემსახურებოდა, ნამდვილად ახალი სიცოცხლის შთაბერვის საშუალებას იძლეოდა საზოგადოებაში. ახალგაზრდებს ქმნიდა უკეთესს და შესაბამისად მომაალი ცხოვრებაც, განათლებული თაობის ხელში, იქნებოდა უკეთესი. თავად ავტორი ფიქრობდა, რომ

ბავშვის ბუნებასთან „დედა-ენას“ შეეძლო ახლო კავშირის დამყარება და შესაბამისად მისი სწორი განვითარება.

„დედა-ენას“ ადამიანს გულსა და ტვინში ღრმად გაუდგამს ფესვები. იგი უმნიშვნელოვანესი იარაღია ადამიანის ხელში და თითქოს მას დაბადებიდანვე თან ახლავს „დედა-ენის“ შესწავლის, შესისხლხორცების უნარი. (https://www.helloblog.ge/story/SABA-Iakob-Gogebashvili)

იაკობ გოგებაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნული ფოლკლორის შეკრებასა და დაცვაში. მან ზეპირსიტყვიერების მნიშვნელოვანი მასალა უმთავრესად სოფელ ვარიანში შეკრიბა, საუკეთესო ნიმუშები ფოლკლორული შემოქმედებისა მან თავის წიგნშიც შეიტანა და ამით დიდი საქმე გაუწია ხალხური მეტყველების დაახლოებას ლიტერატურულ ენასთან. იაკობი თვლიდა, რომ მშობლიური ენის შესწავლა ბავშვისთვის მხოლოდ და მხოლოდ დადებითი შედეგის მომტანია. იგი მოზარდს აკავშირებს მშობლიური ქვეყნის წარსულთან და მომავალთან, ახედებს მის გულსა და სულში.

იაკობ გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოებს გააჩნდა სამი ძირითადი წყარო. ეს გახლდათ: თავად იაკობის მხატვრული შემოქმედება, ავტორის შეკვეთით ან თავიანთი ნებით ქართველი მწერლების მიერ შექმნილი საბავშვო ნაწარმოებები და ქართველი ხალხის ფოლკლორული საგანძური. სწორედ იაკობ გოგებაშვილის მეშვეობით შეგვიყვარდა „დედა-ენა“ . მან მიგვაჩვია დედა-ენაზე აზროვნებას. მას ჩვენი ენისთვის ბრძოლა უმთავრესად ბრძოლად მიაჩნდა ერის არსებობისთვის ბრძოლაში.

იაკობს ძალიან უყვარდა ჩვენი ხალხი და მათი მგზნებარე სიყვარულით იყო მისი გული გამთბარი, სწორედ სიყვარული იყო ის უმთავრესი ძალა რომელიც მუდამ წინ ახედებდა და ერთი ნაბიჯითაც კი არ დაუხევია მას უკან ჩვენი ქვეყნისა და ხალხის დაცვისა და შენარჩუნების საქმეში. მან ბევრი იშრომა იმისათვის, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბევრი სახელოვანი ფურცელი ჩაგვეწერა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, გამოეჩინა გმირული სიმტკიცე და შეუპოვრობა თავისი კულტურის აღდგენისა და განვითარებისათვის ბრძოლაში.

თავი II. ისტორიული წარსული იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში

დიდი პედაგოგი და გამოჩენილი ადამიანი იაკობ გოგებაშვილი მთელი ცხოვრება სამშობლოს სამსახურში იდგა. მისი ყოველი ნაბიჯი ჩვენს ქვეყანაზე ფიქრით იყო გადადგმული და მაშინ, როცა მამულს ძალიან უჭირდა და ჩვენი მომავალი სიბნელით იყო მოცული, იგი მოგვევლინა მხსნელად და ერთგულ მცველად. მისი სახელმძღვანელოები ნამდვილად წარმოადგენდა ხსნას იმ პერიოდში, მისი ნაწარმოებები კეთილ და ქვეყნისათვის სასარგებლო გრძნობებს აღვიძებდა საზოგადოებაში. ის თემები, რომელზეც ავტორი თავის ნაწარმოებებში საუბრობს, დღესაც აქტუალურია. ესაა პატრიოტიზმისკენ მოწოდება, ქვეყნის ერთიანობის საკითხი, ავ-კარგის გარჩევა და სხვა.

განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ისტორიული ნაწარმოებები, რომელშიც კარგად გამოიკვეთა ავტორის დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის მიმართ, ასევე მთავარი მიზანი საზოგადოების ცნობიერების გაფართოება, ქვეყნისა და ეროვნულობის დაცვისკენ მოწოდება. იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში ნათლად ჰპოვებს გამოხატულებას მწერლისდროინდელი საერთო საზოგადოებრივი მდგომარეობა. წარსულ ამბავთა მოგონებით, მოხმობით ავტორს სურს, საზოგადოება დარაზმოს და ქვეყნის ერთგულ მცველად აქციოს, ისეთად, როგორებიც გახლდათ უძველესი მეფეები, გმირები, რომელთა ამბებიც ახლა ლეგენდებად ქცეულა და

ისეთად, როგორიც ჩვენთვის იაკობ გოგებაშვილია. ახლა მტერი არ მოდის ხმლით, მტერი მოდის ცოდნით, ჭკუით, გონებით და თუ მას არ დავხვდებით გონებრივად, სულიერად სათანადოდ მომზადებულნი ჩვენ ამ ომს წავაგებთ, მე ვფიქრობ, ეს იყო მთავარი საზრისი გოგებაშვილის შემოქმედებისა, ხმლის ქნევა შევცვალოთ საღი აზრების ქნევით, მათი სწორად გამოყენებით. მტრის იარაღი, მისი ხმალი ახლა ჭკუაა და თავის მზაკვრული გეგმებით ცდილობს ჩვენი ქვეყნის ერთიანობის განადგურებასა და მოსპობას, დროა ჩვენც სათანადოდ მოვემზადოთ, გონების თვალსაც მივცეთ ხედვის საშუალება. სხვაგვარად დამარცხებულები ვართ. სწორედ, ეს იდეა ასაზდოებს იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებას. იდეა, გონებრივად ჯანსაღი, ქვეყნის მოყვასი, პატრიოტი ქართველობისა.

იაკობ გოგებაშვილს კარგად ესმოდა თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიულ ნაწარმოებებს ბავშვთა აღზრდის საქმეში. იგი თვლიდა, რომ საკუთარ ბედნიერებაზე და კეთილდღეობაზე ფიქრის მაგივრად ერის წინსვლაზე და განვითარებაზე ფიქრი მეტად მნიშვნელოვანია და სწორედ ეს უნდა ჩავუნერგოთ ბავშვებსო. იაკობი მოუწოდებდა მწერლებს, ეპიზოდურად მოეთხროთ სხვადასხვა საინტერესო ამბები, რომლებიც უმთავრესად საქართველოს ისტორიიდან იქნებოდა მოხმობილი (ბორცვაძე, 1990:151).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1912 წელს იაკობ გოგებაშვილმა, თავის „ბუნების კარს“ ახალი განყოფილება დაუმატა, რომელსაც „საქართველო“ ეწოდებოდა. რომლის მნიშნელობაზეც იგი წერდა, რომ ამ განყოფილებას მიზნად დაეკისრა მოსწავლეებში გაეღვიძებინა პატრიოტული გრძნობა, გაეცნო მათთვის ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი, ის დაბრკოლბები თუ წარმატებანი, რაც წარსულში განვიცადეთ. ეს უნდა მომხდარიყო არა უბრალოდ ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით, არამედ მოსწავლეების და მათი მშობლების გამოფხიზლების, წარსულის შეხსენების მიზნით. იგი ისტორიას ერის მოძღვარს უწოდებს და როგორც მოძღვარს მას დიდ მისიას აკისრებს. ეს მისია კი საზოგადოებისთვის, წარსული ამბებით, ეროვნული თვითშეგნების გაღვივებასთან იყო დაკავშირებული. (ბორცვაძე, 1990:152)

ზოგადად ქართველ მოღვაწეებთან ეროვნული მოტივი ყოველთვის

დაკავშირებული იყო ქვეყნის თავისუფლებისა და თანასწორობის იდეასთან, ასე აგვარებდა ამ საკითხს ილია, ვაჟა, აკაკი. ასე განიხილავს იაკობიც (გოგებაშვილი,1955: 226).

იაკობ გოგებაშვილი ძირითადად ისტორიულ ვითარებას გვიხატავს, ისტორიულ გმირებზე გვესაუბრება, თავდაცვით ომებზე, ცალკეული პიროვნებისა თუ ჯგუფის გმირულ ბრძოლაზე, მტერთა წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში და ამით იგი ცდილობს, გააღვივოს კეთილშობილური პატრიოტიზმი. ის ამას ახერხებს ძალიან ბუნებრივად. მან იცის თუ როგორი სიკეთის მომტანია ეროვნული თვითშეგნებით აღზრდილი შთამომავლობა.

იაკობის აზრით, პატრიოტიზმი, როგორც მთავარი პრინციპი ზნეობრიობისა, ჩვენი ქვეყნის მკვიდრთა ბრძოლას, რომელიც უკავშირდებოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეას, მუდამ თან სდევდა. იგი გახლდათ სულიერი ცვლილებებისთვის განსაკუთრებული რამ.

ხალხის ისტორიებს ავტორი იყენებს მისი ეპოქის სახელმწიფოებრივ პრობლემათა აღმოსაფხვრელად. მთავარ ხერხად აქცია მან ჩვენი ქვეყნის წარსულიდან საინტერესო და საგმირო მოვლენათა ან ცნობილ და თავდადებულ პიროვნებათა, როგორც საზოგადოებრივი, ისე ცალკეულ თვისებათა წარმოჩენა, საინტერესო სურათთა შექმნა, რაც რიგ შემთხვევაში იდეალიზაციის სახეს იღებდა. ისტორიულ მოთხრობებში აღწერილი მოვლენა ან ცალკეულ პიროვნებათა შესახებ ცნობა ხშირად რეალურზე გადაჭარბებული იყო, თუმცა ამასაც თავისი მიზეზი და მიზანი გააჩნდა. ეს კეთდებოდა სრულიად გააზრებულად იმისათვის, რომ ქართველ კაცის ცნობიერებაში უფრო ღრმად გაედგა ფესვები ქვეყნისთვის სასარგებლო თვისებებს. მას გაეაზრებინა თუ რას წარმოვადგენდით გუშინ და ხმა აღემაღლებინა იმ ჩაგვრის წინააღმდეგ, რომელსაც მეფის რუსეთის მხრიდან განვიცდიდით. შეეხსენებინა ქართველი ხალხისთვის ჩვენი გმირული წარსული, რომ ქართველს ისევ გმირული სული ჩაედგა და თავისი უფლებისთვის ებრძოლა. აკაკი ამბობს " სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი". სწორედ ამ იდეას ემსახურებოდა ჩვენი ძვირფასი ქვეყნის მოამაგე იაკობ გოგებაშვილი. აკაკის მიერ

ნათქვამი სიტყვები იაკობის მიერ ისტორიული მოთხრობებით ჩაწვეთებული აზრი ისე უნდა გაესიგრძეგანებინა ქართველ ერს, რომ ვერავის შესძლებოდა ჩვენი ქვეყნის სულიერი და ეროვნული დამონება.

სწორედ, ეროვნულობის დაცვის იდეით და ერში პატრიოტიზმის გაღვივების სურვილითაა დატვირთული იაკობ გოგებაშვილის ისეთი მოთხრობები, როგორიცაა: „მამასახლისების დრო", „პირველი მეფე საქართველოსი ფარნაოზი", „ვახტანგ გორგასლანი", „არაბთა შემოსევა საქართველოში", „დავით აღმაშენებელი" და სხვა.

ქვეყნის ერთიანობის საკითხს ეხება **იაკობ** გოგებაშვილი თხზულებაში „მამასახლისების დრო", სადაც იგი საუბრობს ქართველთა წინაპარებზე, შემდეგ მოყვება საუბარს, თუ როგორ ვაწყობდით ცხოვრებას და რა იყო მთავარი მიზეზი იმისა, რის გამოც მამასახლისთა მმართველობა ერთმა მეფემ შეცვალა და ხალხმა ქვეყანას ერთი მმართველი დაუდგინა. " ხალხი ფიქრობდა: ერთი მბრძანებელი, სწრაფად იმოქმედებს, საჩქაროდ შეკრებს ჯარსა, მტერს საზღვარზედვე დაუხვდება და არ შემოუშვებს ჩვენს ქვეყანაში, ამასთან საქართველოს ერთობასაც გააძლიერებს“. (გოგებაშვილი, 1982:298) მართალია ამის შემდეგ ხალხს იგივე უფლებები აღარ ჰქონდა, რაც მანამდე, თავად მეფე ადგენდა კანონებს და იღებდა გადაწყვეტილებებს, მაგრამ, რაც მთავარია ერთმმართველობამ მოგვიტანა ერთობა და ქვეყნის სიმტიკიცე. აი მთავარი რამ ამგვარი ფორმაციისა.

ავტორი ამბობს, რომ მთავარია ერთიანი ეროვნული სული, თუნდაც ამას მოყვეს ხალხის უფლებათა შევიწროებაო. მთავარია ვიქნებით თავისუფალნი. უფლებების მთლიანად წართმევას მტერთა მხრიდან და მონობას, გარკვეულ უფლებათა შეზღუდვა ჯობიაო.

ბოლოს იაკობი იმასაც დასძენს, რომ ქართველი ერისთვის სადიდებელი და საამაყო მხოლოდ ის მეფეები არიან, რომლებსაც თავისი გმირობებით დიდი სახელი მოუხვეჭიათ. ისინი ზრუნავდნენ ჩვენს ქვეყანაზე და კეთილგანწყობილნი იყვნენ ჩვენი საზოგადოების მხრიდან, ცდილობდნენ ნაკლებად შეევიწროებინათ ხალხი და მათ შორის განათლებას მოეკიდებინა ფეხი. „ასეთები იყვნენ: პირველი მეფე საქართველოსი ფარნაოზი, ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე,

დიმიტრი თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე და ერეკლე მეორე“ (გოგებაშვილი, 1982:299).

ამ თხზულებაში იაკობ გოგებაშვილი წამოაყენებს ერთიანობის იდეას, განათლების მნიშვნელობას, თავისუფლების საზღაურსა და ქართველ გმირ მეფეთა საზრისებს.

დამოუკიდებლობის იდეასთანაა დაკავშირებული მისი ნაწარმოები '„პირველი მეფე საქართველოსი ფარნაოზი''. მასში მოთხრობილია მეფე ფარნაოზის ისტორია, თუ რა გზა გაიარა მან, სანამ საქართველოს დამოუკიდებლობას მოუტანდა. სტრატეგიული და გონივრული გათვლებით როგორ გააძევა საქართველოს არემარედან მაკედონელთა ჯარი. მან ნადირობისას გამოქვაბულში მიაგნო დიდძალ ძვირფასეულობას, რამაც დიდი დახმარება გაუწია მას ჯარის შეკრებასა და მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ მას მაკედონელთა წინაარმდეგ მარტო არ ულაშქრია. მან საშველად მოიწვია სხვა მამასახლისები და ერთიანი ძალით შეუტიეს მტერს. მადლიერმა ერმა,სწორედ ფარნავაზი აღიარა მათ მეფედ.

ამ თხზულების ბოლო აბზაცი წარმოადგენს მთავარ იდეას ამ ნაწარმოების შექმნისა. ავტორი ამბობს: „დამოუკიდებელმა ცხოვრებამ ქართველი ხალხი ფეხზე დააყენა, წელში გამართა, განათლების წყურვილმაც იმატა, ქართული მწიგნობრობა აღორძინდა" (გოგებაშვილი, 1982:300) ანუ აქაც ავტორმა წინ წამოწია დამოუკიდებელი ცხოვრებისა და განათლების მნიშვნელობა.

თხზულებაში "ვახტანგ გორგასლანი'' ავტორი გვიყვება მნიშვნელოვან მოვლენებს მეფე ვახტანგის ცხოვრებიდან. ისეთებს, როგორსაც ნათლად დააკავშირებს საქართველოს თანადროულობასთან. ისეთებს, რომელშიც გამოიკვეთა გონიერი მმართველის როლი და მნიშვნელობა, რომ ქვეყნის სათავეში აუცილებლად უნდა იყოს სწავლული, ღვთისმოსავი და გონიერი პიროვნება. ავტორი ამბობს თუ როგორი დიდებული გამარჯვება მოიპოვა მეფემ ოსებთან, სპარსელებთან და დიდი გამარჯვების შემდეგ პირველი, რაც მან გააკეთა იყო იერუსალიმში წასვლა და ღვთისათვის მადლობის შეწირვა. ამით იაკობი ერთგვარად შეახსენებს ჩვენს

საზოგადოებას სარწმუნოების მნიშვნელობას, რომ უფლის სიკეთე განუზომელია.

ამ ნაწარმოებით ავტორი ხაზს უსვამს ახლის და სასარგებლოს შენების უპირატესობას. ამავე ნაწარმოებში ხაზგასმულია განათლების მნიშვნელობა. " ჩვენი მხნე და დაუღალავი მეფე, ერთსა და იმავე დროს ეკლესიებსა და მონასტრებს აშენებდა და სწავლის მოფენაზედაც ზრუნავდა. ყოველს მონასტერთან ეკლესიასთან მართავდა სკოლას, სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას, საღვთო წერილს, საქართველოს ისტორიას და ზოგს უცხო ენასაცა. ამასთან ცდილობდა, რომ ჩვენს ენაზე გადმოთრგმნილი ყოფილიყო უკეთესად და უნაკლულოდ დაბადება, სახარება და ყველა საეკლესიო წიგნი" (გოგებაშვილი, 1982:302).

დიად ბრძოლებთან და ქვეყნის გამარჯვებებთან ერთად გაშლილია განათლების მნიშვნელობის საკითხი ნაწარმოებში „დავით აღმაშენებელი" მასში ავტორი გვიხატავს ძლევამოსილი მეფის დიად სახეს და გვიყვება მის სახელოვან საქმეებზე, რომელმაც საქართველოს გამარჯვება და წინსვლა მოუტანა. ასეთია: ოსმალების ქვეყნიდან გაყრა, აღმშენებლობა ქალაქებისა და ტაძრებისა. აქაც წინა პლანზე წამოწეულია მეფის ღვთისმოსავობა " ხშირად წირვა ლოცვაზე დადიოდა და მის მოწყალებას საზღვარი არა ჰქონდა" (გოგებაშვილი,1982:311).

ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ყოველივეს გარდა ქვეყნის წინსვლა მეტად განაპირობა მეფის მიერ განათლების ხელშეწყობამ. მან დააარსა მრავალი სასწავლებელი, დახმარებას უწევდა წარმატებულ სტუდენტებს საბერძნეთში სწავლის მისაღებად და რაც მთავარია, თვითონ გახლდათ უმნიშვნელოვანესი მაგალითი განათლებამოწყურებული ადამიანისა " იგი კითხულობდა ყოველთვის, როცა სამეფო საქმეებისგან მოცლილი იყო" (გოგებაშვილი, 1982:311).

ეროვნულობის, მამულის და სარწმუნოების დაცვისა და შენარჩუნების მაგალითებითაა სავსე მის მიერ შედგენილი ეს თხზულება.

იგივე აზრს ატარებს მისი ნაწარმოები „თამარ მეფე", რომელშიც წარმოჩენილია ქალი მეფის მნიშვნელობა, მისი დიადი საქმეები და მოყვანილია ისეთი მაგალითები მისი მოღვაწეობიდან, რომლებმაც ქართველებს უნდა გაუღვიძოს

პატრიოტიზმის, ქვეყნის დაცვის გრძნობა და სურვილი, ჩაუნერგოს განათლებისა და სარწმუნოების სიყვარული და გააცნოს მისი მნიშვნელობა. მის თხზულებაში ვეცნობით, თუ როგორი დიდებული ადამიანი იყო თამარი, როგორი სიყვარულით იზრდებოდა იგი და როგორც ავტორი ამბობს: „მთელი სიცოცხლე თამარისა იყო განხორციელება სახარების სწავლის" (გოგებაშვილი, 1982:317). სწორედ. ამის გამო, იგი ქართველმა ერმა წმინდანად შერაცხა.

ავტორი შეგნებულად მის ისტორიულ თხზულებებში გვიყვება ქართველთა წარმატებული ბრძოლების შესახებ, ჩვენს გამარჯვებებზე, რათა გვახსოვდეს რანი ვიყავით და კვლავ აღვიმაღლოთ ხმა ჩაგვრის წინააღმდეგ. იაკობ გოგებაშვილი გვეუბნება, რომ "ქართველები გამარჯვებულნი გამოდიოდნენ ყველა ომიდან"(გოგებაშვილი, 1982:315) და თუ ადრე ვიყავით დაუმარცხებელი ერი, ქვეყანა, რომელიც არავის ემონებოდა, საეკლესიო საკითხებს სამართლებლივად აგვარებდა, ტაძრებს აშენებდა, განათლებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, ახლა რა გვჭირსო, ფიქრობდა იაკობი და სხვა აღარაფერი იყო დარჩენილი გარდა იმისა, რომ წარსული დიდება შეეხსენებინა ქართველი ხალხისთვის, მომავლის გამოსწორების იმედით.

„სარწმუნოების შემდეგ თამარი ყველაზე მაღლა აყენებდა განათლებასა და ძალიან ხელს უწყობდა მწერლობისა და მწიგნობრობის გაძლიერებასა. მას ჰყავდა ცალკე მინისტრი განათლებისა, რომელსაც ერქვა მწიგნობართუხუცესი. ყველა ნიჭიერ მწერალს იახლოვებდა თავისთან, აქეზებდა და ნიშნავდა მოხელედ წარჩინებულს ადგილზე. საზოგადოების თვალში მწერალს მაშინ დიდი სახელი და პატივი ჰქონდა, ამიტომ ქართველების ნიჭმა ფრთა შეისხა და ჩვენი ლიტერატურა გაამდიდრა მრავალი ახალი თხზულებით. თამარის მეფობას ამშვენებდა თვით უკვდავი მგოსანი შოთა რუსთაველი, რომელმაც დასწერა "ვეფხისტყაოსანი" (იგოგებაშვილი, 1982:316) ავტორის ამ სიტყვებში გარდა იმისა, რომ გამოკვეთილია განათლების მნიშვნელობა, ასევე ვხედავთ მის გულისტკივილსაც "მწერალს მაშინ დიდი სახელი და პატივი ჰქონდა" ამბობს იგი და ამით გვატყობინებს, რომ ახლა მწერლები დაუფასებელნი არიან, სწორედ იმიტომ, რომ დაფასება არ აქვს ვეღარაა ქართველთა ნიჭი ისეთი ფრთაშესხმული და განსხივოსნებული როგორც ადრეო.

ხალხის დაფასების, მათი მწერლის მიმართ კეთილგონივრული დამოკიდებულების მნიშვნელობაზე საუბრობს სწორედ ავტორი და შეიძლება ვთქვათ, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც აღარ იბადება შოთა რუსთაველი, არის სწორედ, ხალხის გულგრილი და არასათანადო დამოკიდებულება.

ისტორიული წარსულია წარმოდგენილი იაკობ გოგებაშვილის თხზულებაში " სხივი წარსულისა", რომელშიც გაშლილია თამარ მეფის მოღვაწეობის შემდგომი პერიოდი. ნაწარმოები დაყოფილია რამდენიმე თავად და მასში საუბარია მონღოლებისა და საქართველოს ურთიერთობაზე, თამარის წინაპრებზე და ქვეყნის არასწორ პოლიტიკაზე.

პირველ თავში ვიგებთ, რომ საქართველოს თამარის სემდეგ მძიმე პერიოდი დაუგა. ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ: დიდს ბედნიერებას მოჰყვა დიდი უბედურება მისი შვილების მეფობის ჟამსა" (გოგებაშვილი, 1982:321). საქართველოს მონღოლები დაესხნენ თავს და ჩვენი ქვეყანა დაიმორჩილეს. მთავარ მიზეზად, მტრების მხრიდან ჩვენი დამონებისა, ავტორი ასახელებს მტკიცე ერთობის უქონლობას და ამით კიდევ ერთხელ შეახსენებს ქართველ ერს ერთიანობის და სიმტკიცის მნიშვნელობას. რომ გაერთიანებულ ქვეყანას, ერთი მიზნისთვის მებრძოლ ერს ვერავინ და ვერაფერი მოერევაო. აქვე მახსენდება ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილი "ზოგიერთი რამ", რომელშიც ნათლადაა წარმოდგენილი თუ როგორი დაყოფილია ერი და საზოგადო სიტყვა მამული როგორ გადაქცეულა კერძო მნიშვნელობის სიტყვად, რომ საზოგადოების წევრებს საერთო აღარაფერი აქვთ, არც ჭირი, არც ლხინი. ისინი ერთმანეთს გაუუცხოვნენ. აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ ეზოპეს იგავი „ძალა ერთობისა", რომელშიც კარგად ჩანს თუ რა ძალა აქვს ერთმანეთის გვერდში მდგომ ადამიანებს და როგორი უსუსური და განწირულია ცალკე მყოფი ადამიანი.

ხედავდა ქართველთა შორის ამგვარ ყოფას იაკობ გოგებაშვილი და სწორედ ეს აძლევდა საბაბს ისტორიული წარსული გაეხსენებინა და „სხივი წარსულისაში" ამგვარი წინადადება ეთქვა: „მართალია ქართველმა ჯარმა ძლიერ გაუჭირა მონგოლებს საქმე, ყოველი ნაბიჯის წინ წამოდგომა მტერს ძვირად უჯდებოდა,

ბრძოლის ველზე ბევრი მონგოლი ეთხოვებოდა წუთისოფელს, მაგრამ მტერს ახალ-ახალი ჯარი ემატებოდა, ქართველებშიაც მტკიცე ერთობა არ იყო და ამის გამო ბოლოს საქართველო იძულებული შეიქმნა ქედი მოეხარა“. (გოგებაშვილი, 1982:322).

პირველი თავის ბოლოს ავტორი ამბობს რომ მონგოლებმა ქართველთა ჯარი იძულებული გახადეს, ყოველთვის თან გაჰყოლოდა მათ, რადგან შიშობდნენ ქართველთა აჯანყების გამო. შესაძლოა „ჩვენები ამოჟლიტოს, ჩვენი მფლობელობა და ბატონობა გააუქმოს და საქართველო გაათავისუფლოსო" (გოგებაშვილი, 1982:322). ეს სიტყვები ქართველთა შესაგულიანებლად თქვა ბოლოს გოგებაშვილმა, რადგან ქართველებისთვის დაენახვებინა თუ რა ძალა აქვს ერთად ბრძოლას, ერთად დგომას, ამას შეუძლია ქვეყანა მონობისაგან იხსნას. თუ ძლევამოსილი, დაუმარცხებელი მონღოლთა ჯარი შიშობდა ჩვენი აჯანყების გამო, უთუოდ ახლანდელ მტრებსაც შეეშინდებათ და თუ ერთმანეთის გვერდში დავდგებით და თავის დახრის მაგივრად ვიბრძოლებთ, მტრებისგან გავთავისუფლდებით.

ნაწარმოების მეორე თავში წარმოდგენილია ალმუთის ქვეყანა, რომლის დაპყრობა სურდათ მონღოლებს, თუმცა ვერ ახერხებდნენ. ამ ქვეყნის წარმომადგენლებიც შეაწუხა მონღოლთა შემოსევებმა და გადაწყვიტეს მზაკვრული გეგმით ქართველებისა და მონღოლების სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდება. ისინი მოკლავდნენ მონღოლთა ნოინს ისე, რომ ამას ქართველებს დააბრალებდნენ. ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს ამოხოცავს და ჩვენ გავთავისუფლდებით. ასეთი იყო ალმუთელების გეგმა. ანუ ამ თავში ვხვდებით სხვისი გაწირვით, უდანაშაულოს დამნაშავედ ცნობით, საკუთარი თავის გადარჩენის ფაქტს, რაც, რა თქმა უნდა, მიუღებელია.

იმ პერიოდში, როცა იაკობ გოგებაშვილი ამ ნაწარმოებებს წერდა ქართველთა შორის გავრცელებული იყო სწორედ ამგვარი თვისებები: დაბეზღება, სხვისი დადანაშაულება საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით, ტყუილი, მოღალატეობა და სხვა... ავტორმა მისი ნაწარმოებები თანამედროვეობას შეუფარდა.

მესამე თავში აღწერილია თუ როგორ განახორციელეს ალმუთელებმა თავიანთი მზაკვრული გეგმა, მოკლეს მონგოლთა ნოინი და ქართველები კიდევ

უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. აქვე ვეცნობით, რომ ავტორი ამ ისტორიას წერს „ქართლის ცხოვრებაზე" დაყრდნობით. რთულ მდგომარეობაში მყოფ ქართველებს ვერ გადაეწყვიტათ შებმოდნენ მტერს თუ უმოქმედოდ ყოფილიყვნენ. მათ ელოდათ განადგურება, თუმცა მხსნელად ღვთისმშობელი მოევლინათ.

შემდეგ თავში გამოჩნდება გმირი, რომელიც ხალხს სწორი გადაწყვეტილებისკენ მიუთითებს. ეს გახლავთ გრიგოლ სურამელი, ქართლის ერისთავი და მთავარი წინამძღოლი ქართველი ჯარისა. იგი დააშოშმინებს ხალხს და იტყვის, რომ შებმით ახლა ვერას გახდებოდნენ, ქვეყანა მტრის ხელში დარჩებოდა. "არა ძმებო ჩვენ ბრძოლა მონგოლებთან სხვა დროისთვის უნდა გადავდოთ ახლა ქვეყნის სიკეთე მოითხოვს, რომ ვაჟკაცური გული შევიკაოთ, ხელი არ გამოვიღოთ და არ შევებათ მტერსა. მაშინ მტერი თავის ჯავრს იყრი ჩემზე და იქნება ზოგიერთს სხვა უფროსებზედა, ჩვენ დაგვსჯის იგი დაგვხოცავს, მაგრამ თვითონ ჯარი კი, ეს ძალა და ბურჯი ქვეყნისა, გადარჩება და იგი თავის შორის აირჩევს ახალ სარდლებსა, უპატრონებს ქვეყანასა და თავის სამაგიეროს გადაუხდის ურჯულოებს. მხოლოდ თავდადებულობა სარდლებისა იხსნის ჯარს ამოჟლეტისაგან და ქვეყნის აოხრებისაგან" (გოგებაშვილი, 1982:325).ამ თავში ავტორმა კარგად დავიხატა გმირის სახე. ადამიანის, რომელიც მზადაა თავი გასწიროს ქვეყნისთვის, თავდადებულობისა და ერთგულების მაგალითია გრიგოლ სურამელი და სწორედ ასეთი ადამიანების თავგანწირვაზე და გმირობაზე იდგა ქვეყანა.

მეხუთე თავში საუბარია ქართველთა გადარჩენის შესახებ. „უცნაური დედაკაცი", როგორც მკვლელი მულიდი ღვთისმშობელს უწოდებს, მხსნელად მოევლინა ქართველებს. მისი ძალით, მეოხებით ქართველი ერი კვლავ გადარჩა, მკვლელმა თავად აღიარა დანაშაული და მონღოლებმაც ქართველებს ცილისწამებისთვის ბოდიში მოუხადეს. ამ ნაწარმოებით ავტორი კიდევ ერთხელ შეახსენებს ქართველ ერს, რომ ჩვენ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ და მისი კალთა მუდამ გვიცავს განადგურებისგან, ჩვენ არ გვიწერია საბოლოო მოსპობა, რადგან თვით დედა ღვთისას მადლი გვმფარველობს.

ნაწარმოებში „საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა“ ავტორი

გვიყვება თამარის შვილების და შვილიშვილების ამბავს. ეს ნაწარმოები დაყოფილია რამდენიმე თავად და თითოეულ თავს მოთხრობილი ამბის შესაბამისი სათაური აქვს.

პირველ თავს ეწოდება „დედოფალი და მემკვიდრე ტახტისა“, რომელშიც საუბარია მეფე ლაშა-გიორგის გარდაცვალებაზე, დედოფალ რუსუდანზე და ქვეყნის მომავალ მმართველზე. ავტორი ამბობს, რომ ლაშა-გიორგი და რუსუდანი ქვეყანას და-ძმური სიყვარულის კარგ მაგალითს უჩვენებდნენ და ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. ძმის გარდაცვალების სემდეგ, მისი ანდერძისამებრ, ქვეყნის მმართველობა რუსუდანს დარჩა. რა თქმა უნდა მანამ, სანამ ლაშა-გიორგის ვაჟი დავითი წამოიზრდებოდა. თავიდან რუსუდანს ძალიან უყვარდა მისი ძმისწული მაგრამ შემდეგ, როცა გათხოვდა და მასაც გაუჩნდა მემკვიდრე, იგი შეიძულა. ანუ ძალაუფლების წყურვილმა სიყვარული ბოროტებად აქცია. ამის შემდგომ ავტორი გვიჩვენებს თუ რისი გაკეთება შეუძლია ძალაუფლებაზე შეყვარებულ ადამიანს.

სიძულვილის შედეგს ვხედავთ შემდეგ თავში, რომელსაც „საზარელი წადილი დედოფლისა“ ეწოდება და რომელშიც საუბარია რუსუდანის ბოროტ ჩანაფიქრზე, თუ როგორ ცდილობს იგი შექმნას ისეთი სიტუაცია , რომ დავითი მოკვდეს. მას არაფერი ადარდებს გარდა იმისა, რომ თავისი მდგომარეობა და ძალა არ დაკარგოს, ძალაუფლების სურვილს სწირავს ყოველივეს. მის შვილსაც კი სწამებს სცილს და სულთანთან აბეზღებს, თითქოს დავითი უყვარს. აქვე ავტორი გვაძლევს ცნობას რუსუდანის ასულის თამარის შესახებ, რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავდა ბებიას და აქვე წამოწეულია ქრისტიანული სარწმუნოების მნიშვნელობა, თუ როგორ სურს თამარს სულთნის საკუთარ სარწმუნოებაზე მოქცევა და მის საბრძანებელშიც მაცხოვრის სჯულის მოფენა.

ქრისტიანული სარწმუნოება და ლოცვის მნიშვნელობაა წამოწეული მომდევნო თავშიც „მემკვიდრეს ზღვაში აგდებენ“. დავითმა თავისი გულწრფელობით ცოტა მოალბო განრისხებული სუთანი და მოკვლის მაგივრად მან დავითის ზღვაში გადაგდება ბრძანა. დავითმა მხურვალედ ილოცა სანამ ზღვაში ჩააგდებდნენ. აქვე ავტორი გვიყვება თათართა გულკეთილობაზეც. ნავში მსხდომებმა, სანამ დავითს

ზღვაში გადააგდებდნენ, მათ ნება მისცეს მხურვალედ ელოცა და ფიცარიც გაატანეს. ანუ მტერიც კი შესაძლებელია, არ იყოს ბოლომდე სასტიკი და დაუნდობელი. აქ ჩანს, რომ ახლობელი ადამიანი, ქართველი, ამ შემთხვევაში ძალაუფლებით შეპყრობილი რუსუდანი, მეტად დაუნდობელია, უფრო მტერია, ვიდრე თათრები.

დავითი სასწაულებრივად გადაურჩა ტალღათა ღელვას და ამ ამბავს ავტორი გვაცნობს შემდეგ თავში „მემკვიდრის გადარჩენა“. ის რომ ცოცხალი დარჩა ეს ნამდვილად ღვითასაგან მომადლებული სასწაული იყო. ღვთისმშობელი მფარველობს დავითს. მისი ლოცვა ზეცამ შეისმინა. „ყმაწვილი კი ფიცრითურთ აჰქონდა და დაჰქონდა აღელვებულ ზღვას, ჩაძირვით კი არ სძირავდა. ყმაწვილიც სასოწარკვეთილებას არ ეძლეოდა, რადგანაც იმედი ჰქონდა ღვთის-მშობლისა, რომლის ხატი ყელზე ეკიდა“ . (გოგებაშვილი, 1982:331).

დავითს გადაარჩენს ვაჭარი, რომელიც შვილივით უფრთხილდება მას და მოგვიანებით სულთანიც გაიგებს მისი გადარჩნის ამბავს. ღვთსმშობლის შემწეობას და დავითის ღვთისმოსაობას ეხება შემდეგი თავიც „მემკვიდრეს ხაროში მარხავენ“. როცა სულთანი ხაროში ჩააგდებს დავითს, იგი არ მოითხვს არაფერს, გარდა ღვთისმშობლის ხატისა. მისთვის ყველაზე ძვირფასი ესაა. იაკობ გოგებაშვილი ნათლად გადმოგვცემს თუ როგორი მორწმუნე იყო დავითი, რომ მას ჰქონდა მუდამ ღვთისმშობლის შემწეობის იმედი და დედა ღვთისაც განსაცდელის ჟამს ყოველთვის ეხმარებოდა მას.

შემდეგ თავში „ტანჯვა და სიკვდილი დედოფლისა“ კარგად ვეცნობით თუ რაოდენ მომაკვდინებელია სინდისის ქეჯნა. თუ რა შედეგი მოჰყვება ბოროტ და უსამართლო ქმედებებს. გააცნობიერა რუსუდანმა თავისი დანაშაული უფლის, მისი ქვეყნის, ძმის, ძმისწულის წინაშე და იტანჯებოდა ცოდვის ამ შეგრძნებით. მოკვდა ისე, რომ თავისი წადილი ვერ აისრულა - თავისი შვილი დავითი ვერ გაამეფა და ძმისშვილის მოკვლაც ტანჯვად ექცა. დანაშაულის შეცნობა, სინდისის ქენჯნა, შვილის უგზო-უკვლოდ დაკარგვა სასჯელად იქცა რუსუდანისთვის.

VII თავში „ქართველთა კათალიკოზი და მონგოლთა მბრძანებელი“ საუბარია დედოფალ რუსუდანის გარდაცვალების შემდეგდროინდელ ამბებზე - ქვეყანას აღარ

ჰყავს მეფე, ყოველი მხრიდან შევიწროებულია მტრისაგან. ამ თავში კარგად იკვეთება განათლებული, ღირსეული, დიპლომატი პიროვნების როლი. ასეთ ადამიანად ავტორს წარმოდგენილი ჰყავს მცხეთის კათალიკოზი ნიკოლოზი, რომელიც ვარძიის მონასტრის წინამძროლთან ერთად შეეცდება ქვეყნის ხსნას და ამ უდიდეს საქმეში დიდ წარმატებასაც მიაღწევს. მისმა შეხედულებებმა, დამოკიდებულებებმა, თავდაჭერილობამ და სიბრძნემ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თვით ურწმუნოებზეც კი. აი აქ ნათლად ჩანს განათლებისა და სწორი დიპლომატიის ძალა. ისინი მოიხიბლნენ სხვა ქვეყნისა და სარწმუნოების წარმომადგენლით აუსრულეს მას ყოველი თხოვნა, დაასაჩუქრეს ის და დიდი პატივითაც გამოისტუმრეს.

VIII თავში მოხმობილი ამბავიც კარგად ეხმიანებოდა იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის პერიოდს. ამ თავის სათაურია „თავდადდბული პატარა გლეხი“ და მასში წარმოდგენილია, თუ როგორი უანგარო და გულწრფელი დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეთ თვით მეფესა და ყმას ანუ ბატონსა და გლეხს. დაბალი ფენის წარმომადგენელი სოსანა, სულსაც კი არ დაიშურებდა მეფე დავითისთვის, როცა უფლისწული მკვდარი ეგონა ცხარე ცრემლებით ტიროდა მის გამო. მოგვიანებით, როცა გაიგო მისი გადარჩენისა და ბნელ ხაროში ჩაგდების ამბავი, ექვსი წელი პატრონობდა გლეხი ბიჭი უფლისწულს. იმ პერიოდში, როცა იაკობი მოღვაწეობდა ბატონყმური ურთიერთობა, ჩაგვრა ჯერ კიდევ არსებობდა საზოგადოებაში, თავადს სძულდა გლეხი და გლეხსაც რაღა თქმა უნდა, მათ შორის ხიდი იყო ჩატეხილი და შუაგულში უზარმაზარი უფსკრული. არ შეეძლოთ ერთმანეთთან მისვლა, ერთმანეთის ჭირისა თუ ლხინის გაზიარება. ეს მდგომარეობა მაშინაც კი არ გამოსწორებულა, როცა 1864 წელს ბატონყმობა გაუქმდა. რეფორმა მხოლოდ ფურცლზე აისახა და არა უშუალოდ ცხოვრებაში. ამ ნაწარმოებში მოხმობილი ამბით კი ავტორი შეახსენებს საზოგადოებას თუ როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ მათ და ერთმანეთის გვერდში დგომა როგორ წაადგება ქვეყანას.

თავი „დამარხული მემკვიდრის მოვლინება“ ეხება ტყვეობისგან დავით ულუს დახსნას. მისი ამბავი სწორედ მაშინ შეიტყვეს ქართველებმა, როცა მეფე არ ჰყავდათ და არ იცოდნენ რა მოემოქმედებინათ. მათ ჩაგრავდნენ, ავიწროებდნენ და

აოხრებდნენ ყოველი მხრიდან. მაშინ კი ერთგულმა სოსანამ გააგებინა ქართველთ დავითის ამბავი. ქართველები დიდ სიხარულს მიეცნენ და მეფეც მალევე დაიხსნეს ტყვეობიდან. თვით მონღოლთა ნოინსაც კი არ სჯეროდა თუ დავითი ცოცხალი იქნებოდა, მაგრამ ერთგული ყმის, მომავლის იმედით და ღვთისმშობლის შემწეობით უფლისწული გადარჩა.

X თავი „მემკვიდრე დავითი ყარაყუმში“ ეხება ლაშა-გიორგს ძის ყარაყუმში წასვლას, რათა მისთვის დაემტკიცებინათ მეფობა. აქ იგი ხვდება რუსუდანის ძეს. ამ თავში კარგად ჩანს მონღოლთა ნოინის მანგუ-ყაენის ზრახვები. იგი არც ერთ დავითს არ აძლევს მეფობს, რადგანაც პირადი მიზნები აქვს. მას სურს უმეფოდ დარჩნილი ქვეყნის დასუსტება და განადგურება. რამდენიმე წელში იგი გარდაიცვლება და მის მზაკვრულ გეგმებსაც მისი უფროსი შვილი აგრძელებს. გარკვეული პერიოდი იგი ორივე დავითს აჩერებს თავისთან იგივე მიზეზით, შემდეგ კი თავის უმცროს ძმასთან ერთად ცვლის ტაქტიკას და საქართველოში ორმეფობას ამკვიდრებს.

იაკობ გოგებაშვილის პერიოდის საქართველოს გარეშე მტრები სწორედ, ამ ტაქტიკით მოქმედებდნენ. მათ სურდათ ქართველთა შორის შუღლის ჩაგდება. „ციხე შიგნიდან ტყდებაო“ ნათქვამია და რადგანაც ქართველებს გარედან ვერაფერს აკლებდნენ შიდა დაპირისპირებებით, სურდათ ქვეყნის დამონება და არც არის გასაკვირი, რომ ისტორიული მოთხრობების წერისას იაკობი ამ პერიოდს იგონებს.

„ორი მეფე ერთ ტახტზე“ სათაურიდანაც იგებთ, რომ საქართველოს ერთდროულად ორი მეფე ჰყავდა. გამეფდა ორი დავითი, თავდაპირველად ყველაფერი შესანიშნავად მიდიოდა, თუმცა თვით ხალხმა არია ყოველივე. ამიერ და იმიერ საქართველო გამოეყო ერთმანეთს და აქამდე თუ ტახტი გვქონდა ორი მეფისთვის, ახლა გაჩნდა ორი ტახტი და ორი მეფე. აღსრულდა მტერთა წადილი ქვეყანაში ჩამოვარდა შუღლი, ქართველი დაუპირისპირდა ქართველს. ძმათა შორის მტრობა სწორედ გარეშე მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს.

საქართველოში ორმეფობასა და ქართველთა შორის არეულობას კიდევ უფრო ნათლად ვეცნობით ისტორიულ მოთხრობაში „ცოტნე დადიანი“. მასში აღწერილია მონღოლების მიერ ქართველთა ამოძირკვის მცდელობა. მტრებმა იცოდნენ, რომ

ქართველთა დაუმარცხებლობის მიზეზი სწორედ მათი ერთიანობა და თავგანწირულობა იყო და რადგანაც ძალით ვერაფერს გახდნენ ხერხს მიმართეს. ეს ხერხი იყო ქართველთა შორის მეფის სახელის გათახსირება და შუღლის ჩაგდება. ასეც მოხდა ქართველები დაჰყვნენ მონღოლთა სურვილს, თანაც ისე, რომ ამას ვერც კი აცნობიერებდნენ. იაკობი იგონებდა რა ამ ამბავს, იმედი ჰქონდა წარსული ნათელ მაგალითად ექცეოდა ქართველს აწმყოსა და მომავალში.

მონღოლთა მხრიდან ამგვარი შევიწროების და ქართველთა შორის ასეთი მდგომარეობის გამო აჯანყება ჩაიშალა და აჯანყებულები მონღოლთა ნოინმა დასაჯა - მათ ტანზე თაფლი წაუსვა და და მზეზე დასვა, უნდოდა, ხვეწნით ეთხოვათ მისთვის გათავისუფლება. აქ კარგად ჩანს ქართველთა სიმტკიცე, მათი ბუნება. მიუხედავად იმისა, რომ მათ მწერები დაესივნენ, მაინც არ გატყდნენ და დარჩნენ ქვეყნის ერთგულნი. ამ ნაწილში ერთმანეთს უპირისპირდება ორი სახის პიროვნება. ერთი ქვეყნის მოღალატე, რომელსაც სამშობლოს ბედი საერთოდ არ ადარდებს და სწირავს მას და მეორე, ერთგული მამულიშვილი, რომელიც სწირავს თავს საქართველოსთვის. კარგად ჩანს რა მოუტანა ღალატმა ერს და თავდადებამ ქვეყანას. თვით ნოინზეც კი მოახდინა შთაბეჭდილება ცოტნე დადიანის გმირულმა ქმედებამ. მან არ მიატოვა თავისი მეგობრები გასაჭირში, თავადაც შეიკრა ხელები, ტანზე თაფლი წაისვა და თანამოაზრეთა გვერდით, მატი ტანჯვის გასაზიარებლად მზეზე დაჯდა. აი, რას ნიშნავს იყო ქართველი. ეს არ არის უბრალო საზოგადო სახელი და გამომხატველი ხალხისა. ესაა ერთიანობა პატრიოტიზმის, ვაჟკაცობის, სამართლიანობის სიკეთის და იაკობი შეახსენებდა ხალხს, რომ თუ ქართველი ხარ, ამ თვისებებითაც უნდა იყო შემკული.

ისტორიული თხზულება „დიმიტრი თავდადებული“ გვიყვება მეფე დემეტრეს შესახებ. მასში დემეტრე წარმოდგენილია, როგორც იდეალური მეფის სახე. იგი სანიმუშო თვისებებითაა შემკული: „მეტად კაცთმოყვარე, ღვთისმოსავი შეიქმნა და დაუღალავად ზრუნავდა ხალხის კეთილდღეობისთვის. იმდენად გულკეთილი იყო, რომ ღამ-ღამით გადაიცვამდა ხოლმე უბრალო ტანისამოსსა და ჩუმად დაიარებოდა ხალხში, რათა თავისი თვალით ენახა მისი გაჭირვება, თავისი ყურით მოესმინა მისი

ჩივილი და საკუთარი ხელით ეძლია შემწეობა ღარიბთათვის“. (გოგებაშვილი, 1982:347).

ხშირად ერის გადარჩენა ითხოვს ცალკეული პიროვნებების თავშეწირვას. მეფე დემეტრეს ეს ყოველივე კარგად ჰქონდა გააზრებულ-გაცნობიერებული. მან კარგად იცოდა თუ რა პასუხისმგებლობა ჰქონდა ერის წინაშე და მოიხადა კიდეც თავისი ვალი. მან თავისი სიცოცხლით იხსნა ქვეყნის სიცოცხლე. მეფე დიმიტრის გმირობის და ღირსების შესახებ სწორედ, მაგიტომაც წერს იაკობ გოგებაშვილი. მან უნდა შეახსენოს საზოგადოებას ჩვენი პასუხისმგებლობები და მოუწოდოს მათ ამის გაცნობიერება-განხორციელებისკენ. ერის სამსახურში მყოფმა აუცილებლად უნდა დადო შენი აგური ქვეყნის შენების, თავისუფებლის და გადარჩენის სადარაჯოზე.

საინტერესო ნაწარმოებია იაკობ გოგებაშვილის „გიორგი ბრწყინვალე“. რომელშიც საუბარია, როგორც გიორგის მშობლებზე, ასევე მის საქმიანობაზე, რომელიც მან ქვეყნის სათავეში მოსვლისას განახორციელა. ეს გახლავთ: საქართველოდან ოსების ალაგმვა, თავგასული ერისთავებისთვის თანამდებობების ჩამორთმევა, ზოგის სიკვდილით დასჯა და მათ ადგილას ნიჭიერი და ერთული ახალგაზრდების დანიშვნა. ავტორს მცირე მიმოხილვა აქვს გაკეთებული, თუმცა ამ მცირე მიმოხილვიდანაც კარგად ვეცნობით მეფე გიორგის ღვაწლს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ, როცა იგი ქვეყნის მართვის სათავეში მოვიდა ჯერ სრული წესიერება დაამყარა ქვეყანაში და შემდეგ შეუდგა ქვეყნის ერთიანობის აღდგენის საკითხს.

ამ მოთხრობაში ნათლად ჩანს თუ რა ძალა და მნიშვნელობა აქვს აღზრდას. გიორგი ბრწყინვალესნაირ დიდებულ პიროვნებას ვერ აღზრდიდა, უნიათო, ქვეყნის მოღალატე, ურწმუნო, უჭკუო ადამიანი. დედამისი ნათელა, როგორც ავტორი გვეუბნება, „იმ დროს პირველ ქალად ითვლებოდა მთელს საქართველოში მაღალი ჭკუით, მტკიცე ხასიათით, კაცთმოყვარე გულით, მამულიშვილობითა და განათლებით. ამიტომ მან თავისი ვაჟი გიორგი ჩინებულად აღზარდა. მასში განხორციელდნენ იშვიათი ღირსებანი მამისაცა და დედისაცა, როგორც თამარ მეფეში“(გოგებაშვილი, 1982:348). ავტორის მიერ მოყვანილ ამ ცნობაში აშკარად იკვეთება იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულება აღზრდის შესახებ - მთავარი

ფუნდამენტი მომავალი, სწორად მოაზროვნე თაობისა არიან სწორედ მშობლები და მთავარი მიზეზი, რის გამოც ახალგაზრდებში გამეფებულია უღირსი თვისებანი, ისევ მშობლებში უნდა ვეძიოთ. ავტორი ამბობს, ნათელა რომ ასეთი ღირსეული იყო, ამიტომაც აღზარდა თავისი შვილი ასე ღირსეულ პიროვნებადო. აქ უნდა მივაქციოთ ყურადღება სიტყვა „ამიტომს“, რომელიც გულისხმობს, რომ ერთიდან გამომდინარეობს მეორე. თუ მშობლებს, წინაპრებს არ აქვთ კარგი თვისებები, თუ ისინი არ იქცევიან სწორად და არ არიან კაცთმოყვარენი, ვერც ამ თვისებებს ჩაუნერგავენ ბავშვებს. ისინი აღზრდიან მათ იმ შეხედულებებით, რაც გააჩნიათ. შეუძლებელია ჩამოაყალიბო კარგი პიროვნება თუ შენ თვითონ არ ხარ ასეთი. ამიტომაც აღზრდა მშობლების გამოსწორებით უნდა დაიწყოს. ბავშვი სუფთაა, წმინდა ფურცელია, რომელშიც მშობლებზე, აღმზრდელზე დაკვირვებით იწერება და ყალიბდება პიროვნება.

ქვეყნის ერთობის, თავისუფლებისათვის თავდაუზოგავი ბრძოლის საკითხს ეხება იაკობ გოგებაშვილის კიდევ ერთი ისტორიული თხზულება „ლანგ-თემურის შემოსევა საქართველოში“ . მასში მოთხრობილია თუ როგორ უტევდა მტერი ქვეყანას, რამდენჯერ შეძლო ჩვენი დამარცხება და მაინც უამრავჯერ წამოვდექით ფეხზე ისევ იმედით. ყოველ ნგრევას მოსდევდა შენება. თემურ-ლენგის შემოსევა დაემთხვა ბაგრატ V-ის მეფობას, რომელსაც მადლიერმა ხალხმა, თავისი ღვაწლის გამო „ბაგრატ დიდი“ უწოდა. მან მოჩვენებით მიიღო მაჰმადიანობა, რათა უპატრონოდ დატოვებულ ქვეყანაში დაბრუნებულიყო და მტერთა თარეში აელაგმა. თემურ-ლენგის შემოსევები მეფე ბაგრატის ვაჟის გიორგის გამეფების დროსაც გრძელდებოდა. მტერს უნდოდა მიწასთან გაესწორებინა საქართველო მაგრამ რამდენჯერაც აგვაოხრს, იმდენჯერ უფრო მეტი მონდმებით დავიწყეთ ქვეყნის აღდგენა და განახლება. მთავარი საზრისი ამ ისტორიული მოთხრობის დაწერისა ავტორს ბოლო აბზაცში აქვს გაცხადებული: „ეს ხანგრძლივი ბრძოლა საქართველოსი უძლიერესის მტრის წინააღმდეგ ცხადად გვიჩვენებს, რაოდენი ძალ-ღონე ტრიალებდა კიდევ მასში. ამ ძალ-ღონის მიზეზი იყო მტკიცე ძმობა, მჭიდრო კავშირი და ერთობა იმერ-ამერთა“ (გოგებაშვილი, 1982:352).

იმ პერიოდში, როცა იაკობი მოღვაწეობდა და ერი დანაწილებული იყო, როცა ადამიანებს შორის უკიდეგანო ბნელი დერეფანი არსებობდა, როცა „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“ მნიშვნელობაგამოცლილ უბრალო წინადადებად იქცა, სხვა რაზე უნდა დაეწერა ავტორს თუ არა ქვეყნის ერთობაზე. თუ ერს დაუვიწყებია რას წარმოვადგენდით წარსულში იაკობს არ ავიწყდება იგი და შეახსენებს ხალხს, რომ ქვეყანაში ძმობა აღარაა, არც მჭიდრო კავშირია და არც ერთობა იმერ-ამერთა. არადა სწორად ეს მთავარი ძალ-ღონეა ერის სულის ჩამდგმელი და მისთვის სიცოცხლის მიმნიჭებელი. რა გზა აქვს ავტორს გარდა იმისა, რომ კალამი აქციოს იარაღად საზოგადოებაში გამეფებული უღირსობის დასამარცხებლად. ეგებ გამოიღვიძოს ერმა, რომელსაც საღათას ძილით დაუძინია და ქვეყნის ბედი სანაგვეზე მიუგდია.

იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნის მოთხრობა „საშინელი სასჯელი მოღალატისა“. ავტორი გვიყვება მეთექვსმეტე საუკუნის ამბებს, როცა თბილისის სამხრეთით საქართველო მტკიცედ იბრძოდა სპარსელებისა და ლეკების წინააღმდეგ და რომ არა საშინელი ღალატი ქართველისა ქვეყნისა წინაშე, გამარჯვება უცილოდ ჩვენი იყო. იმ პერიოდში მეფობდა სვიმონი, რომელიც მოღალატის მეშვეობით მტერმა დაატყვევა და მეფის გარეშე დარჩენილმა ხალხმა ბრძოლაც წააგო. ამ ნაწარმოებში გამცემის გარდა, ვხვდებით ასევე ორ სრულიად საპირისპირო აზროვნების ადამიანს, რომლებიც მართალია ძმები არიან, თუმცა სრულიად სხვა ღირებულებები და სურვილები გააჩნიათ. ერთია მეფე სვიმონი, ლომივით ვაჟკაცი, რომელიც არ ღალატობს არც ერს, არც სარწმუნებას და საპყრობილეში ამოჰყოფს თავს. მეორე კი არის მისი ძმა დავითი, მოგვიანებით დაუთხანად წოდებული, რომელსაც არაფერი არ აინტერესებს გარდა ძალაუფლებისა და საკუთარი ტყავის გადარჩენისა. იგი დაუფიქრებლად ტოვებს ქრისტიანულ სარწმუნოებას და სპარსეთის შაჰის გულის მოსაგებად იღებს მაჰმადიანობას. ცუდი, მოღალატე ადამიანები რა თქმა უნდა მაშინაც არსებობდნენ, თუმცა არც იმდენი, როგორც ეს შემდეგ წლებში იყო. მოღალატეს მთლიანად ერი უპირისპირდებოდა და სრულად განკვეთდა მათგან. ახლა კი აღარ არის ის ერთიანობა, რაც ადრე გვქონდა.

ყორღანაშვილი მოღალატეა, რომელსაც ქონება და სიმდიდრე იზიდავს, მისთვის მატერიალური კეთილდღეობა ქვეყნის კეთილდღეობაზე მაღლა დგას. თუმცა მან მიიღო თავისი საზღაური. იგი ისე შეიძულა ხალხმა, რომ ყველა მის მოკვლას ნატრობს. საბოლოოდ ბარათაშვილი ხრამში გადაჩეხავს მას. იგი ყორღანაშვილს იუდად მოიხსენიებს და ფიქრობს, რომ მას სწორედ ისეთი დანაშაული და შეცოდება აქვს ქვეყნის წინაშე, როგორც იუდას იესო ქრისტესთან. მანაც ფულზე გაყიდა სამშობლო. აი უბედურება, აი ტრაგედია. ავტორი ამბობს, რომ მოღალატეობა იმდენად საშინელი, უპატიებელი დანაშაულია, რომ მგლის ხროვამ მოღალატის ლეშსაც კი არ დააკარა პირი. იმდენად წაბილწული იყო იგი.

და ბოლოს ამ თხზულებას ავტორი ასრულებს კითხვით - „ახლა?“

იაკობი ამ კითხვაზე პასუხს უტოვებს მის მკითხველს, საზოგადოებას. რათა გადახედოს მან თავის ირგვლივ არსებულ ყოფას და ეგებ ასე მაინც შეიცნოს, რა ხდება მის ირგვლივ, რა ხდება ახლა. მანკიერებათა აღმოჩენისა და გაცნობიერების შემდგომ კი შეეცადოს არსებულის გამოსწორებას. ავტორი კი აფრთხილებას ადამიანებს, თუ რა ბედი ელის მოღალატე პიროვნებას.

იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნის ისტორიული ამბავი „ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად“, რომელშიც აღწერილია მდგომარეობა საქართველოსი, მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს. ასევე აღწერილია ქართველთა შიდა დაპირისირებები და მათ ფონზე წინ წამოწეულია გლეხის როლი და მისი შინაგანი სამყარო. როგორც ავტორი ამბობს, რომ ამ პერიოდში საქართველო უკვე აღარ წარმოადგენდა ძლიერ სახელმწიფოს და იგი დაყოფილი იყო რვა ნაწილად: სამ სამეფოდ და ხუთ დამოუკიდებელ სამთავროდ. ცალკეულ სამეფოთა მთავრებს ხშირად მოსდიოდათ ერთმანეთში უთანხმოება. ავტორი შეგვახსენებს, რომ ქვეყნის დაუძლურების მიზეზი არის სწორედ შიდა დაპირისპირება, შიგნით არსებული უთანხმოება, გაუტანლობა. ეს საკითხი იაკობის მოღვაწეობის პერიოდშიც ძალიან აქტუალური იყო. მაშინაც ერი დაქსაქსული, დანაწევრებული და ღონეწართმეული გახლდათ. ქართველთა დამარცხების ერთადერთი გზა სწორედ ეს შინაარეულობა იყო და მტერიც სათავისოდ, კარგად იყენებდა ამ სიტუაციას. ამიტომაც ისმის

იაკობის ისტორიულ მოთხრობაში მარად აზრი იმის თაობაზე, რომ მთავარი ერთიანობაა და ძმათა შორის შუღლი ქვეყნისთვის უბედურების მომტანია.

ამ ნაწარმოებში ავტორი გვიყვება ქართლის მეფის სვიმონის დაპირისპირებაზე, იმერეთის მეფის როსტომის და მისი სიმამრის სამეგრელოს მთავრის დადიანის წინააღმდეგ. დაპირისპირებაში იმერეთის და სამეგრელოს მთავრებმა გაიმარჯვეს. მეფე სვიმონს სიამაყემ სძლია, ზავს არ დასთანხმდა და საბოლოოდ ბრძოლის ველიდან გაქცევა მოუწია.

აქვე ვეცნობით ღარიბი გლეხის ოჯახს, რომელიც შეიფარებს მისთვის უცნობ ადამიანს, გულთბილად მიიღებს და კარგადაც გაუმასპინძლდება. მათ არ იციან ვინ არის მათი სტუმარი. ეკითხებიან ბრძოლის ამბებს, ამბებს მეფისას, თუმცა სვიმონი ამბობს, რომ თითქოს არაფერი იცის. დიასახლისი თავის ქმარ-შვილზე მეტად, რომელიც ბრძოლის ველზე გაუშვა, ღელავს მეფეზე და ცხარე ცრემლებით ტირის. ჩანს ამ გლეხმა დიასახლისმა კარგად იცის მეფის როლი და რა მნიშვნელობა აქვს მეფეს ხალხის ერთობისთვის. მისთვის ქვეყანა უმთავრესია და ქვეყანა სწორედ გონიერ მმართველზე დგას. აქ საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მეფეს, სოფელ კავთისხევში მისვლისას, შეეძლო თავადებთან ან აზაურებთან შეეფარებინა თავი ყველა სიამოვნებით მიღებდა, თუმცა ალბათ მას გლეხი ადამიანის გულწრფელობის მეტად სჯერა და არ თაკილობს ღატაკთა ოჯახში მისვლას. პირიქით, როცა დიასახლისისგან ისმენს მეფის სადიდებელ სიტყვებს, როგორც ავტორი ამბობს „ასეთი გულწრფელი და გულუბრყვილო სიყვარული მეფისადმი სტუმრის ნაღვლიანს გულს სწორედ მალამოდ დაედო და მოეფინა მასში იდუმალი სიხარული“ (გოგებაშვილი, 1982:359). გლეხის ოჯახი მადლიერმა მეფემ ძვირფასი ნივთებით დაასაჩუქრა და ასევე უბოძა მამული, ყმები და აზნაურის წოდება.

ამ ნაწარმოებით ავტორი ცდილობს, საზოგადოებას დაანახოს გლეხის სახე, ჩაუნერგოს მათი სიყვარული, რომ წოდება არ განსაზღვრავს ადამიანს, მთავარი აღზრდა, შეგნება და გულწრფელობაა.

თუ რა შედეგი მოჰყვა ქვეყნის დაყოფას და ძმათა შორის შუღლს, უფრო ნათლადაა აღწერილი ისტორიულ თხზულებაში „დანაწილება საქართველოსი და

მისი დაქვეითება“. აქაც ავტორი განიხილავს საქართველოს დანაწევრებას სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ და ამბობს, რომ ამ ყველაფერს მოჰყვა მტერთა მხრიდან ჩვენი ჩაგვრა და მონობა. დასავლეთ საქართველოზე ოსმალეთს ეჭირა თვალი, აღმოსავლეთზე სპარსელებს და ვიყავით ასე გაბნეულნი მტერთა შორის. ეს იყო ერთგვარი საზღაური ერთობის მოსპობისა და ერთმანეთისგან განდგომის. ამ ნაწარმოებში იაკობ გოგებაშვილი კიდევ ერთხელ ავითარებს აზრს თუ რა ელის ცალ-ცალკე მყოფ ხალხს. ერთობა და თავისუფლება, დანაწევრებამ და მონობამ შეცვალა. მტერთა ზეწოლა სარწმუნოებასაც შეეხო, სპარსელები ქართველებიდან მხოლოდ იმათ აძლევდნენ წოდებებს, ვინც მაჰმადის რჯულს მიიღებდა. ხერხითა და ღონით ცდილობდა ჩვენში ქრისტეს რჯულის მოსპობას. მაგრამ გვყავდა ისეთი დიადი პიროვნებები რომლებმაც, თავი გასწირეს სარწმუნოების გამო. ასეთი იყო მეფე ლუარსაბი, ქეთევან დედოფალი, შალვა, ელიზბარ და ბიძინა ერისთავები. მათ სიკვდილი დაითმინეს მაცხოვრისათვის.

საქართველოს გადარჩენისა და მღვდელი თევდორეს გმირობის ამბავს ეხება იაკობ გოგებაშვილის თხზულება „თავდადებული მღვდელი თევდორე“. ნაწარმობს აქვს ქვესათაურებიც, რომელშიც ესა თუ ის ამბავია გადმოცემული. პირველი ქვესათაურია „მტრის შემოსევა საქართველოში“, რომელშიც საუბარია ყირიმის ძლევამოსილი ჯარის საქართველოსკენ გამოლაშქრებაზე. ავტორი გვიყვება, რომ მტერი მაშინ შემოესია საქართველოს, როდესაც სრული სიმშვიდე სუფევდა ქვეყანაში და არსაიდან ველოდით თავდასხმასო. რადგანაც ეს შემოსევა მოულოდნელი იყო, რა თმა უნდა ქართველი ჯარი არ იყო მზად მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, მეფე ლუარსაბიც დასასვენებლად იყო წასული სოფელ ცხირეთში და ხიფათს არსაიდან არ მოელოდა. პირველივე თავში ჩნდება გიორგი სააკაძე, რომლის უდიდესი დამსახურებაა ქართველთა თათართაგან ხსნა. იგი მეფის გვერდითაა.

როცა ვსაუბრობთ ქვეყნის გადარჩენის მხრივ უდიდეს დამსახურებაზე, ამ შემთხვევაში, პირველ რიგში აუცილებლად უნდა გაგვახსენდეს მღვდელი თევდორე, რომლის თავგანწირვამაც იხსნა ქვეყანა მძიმე განსაცდელისგან. ის იყო მთავარი ფუნდამენტი, ძალა. მან მოაგებინა დრო ქართველთ, თავი გასწირა სამშობლოს

ხსნისთვის. მისი თავდადება კარგადაა აღწერილი შემდეგ ქვეთავში, რომელსაც ეწოდება „თავდადება თევდორე მღვდლისა“, რომელშიც საუბარია, თუ როგორ დაატყვევეს მღვდელი თევდორე, როგორ აიძულებდნენ მას ორგულობას, მოღალატეობას და როგორ აჯობა ჭკუით მან მტერს. თევდორემ კარგად გააცნობიერა თუ რა მოელოდა მას, მის ოჯახს და მის სამშობლოს. ქვეყნის ტანჯვას მისი სხეულის ტანჯვა არჩია. მიუხედავად იმისა, რომ იცოდა წამებით ამოხდიდნენ სულს, მაინც არ შედრკა, მტრები სხვა გზით ატარა და კარგა მანძილით მოაშორა მეფის სამყოფელს. ამ პერიოდში კი მეფემ გაიგო მტერთა შემოსევის ამბავი და ჯარის შეკრებაც დაიწყო. „ბოლოს თათრები მიხვდნენ, რომ თევდორე მღვდელმა ისინი მოატყუა, გზას ააცდინა და ცხირეთს დააშორა. მაშინ ისინი საშინლი სიბრაზით აივსნენ. გაშმაგებულნი მისცვივდენ საწყალს თევდორეს და დაუწყეს წამება. აწვალეს, სტანჯეს, ბოლოს მოჰკლეს, დაჩეხეს და გადააგდეს ერთ დიდს ხრამში“. (გოგებაშვილი, 1982:367).ასეთ მძიმე წუთებშიც კი, თევდორე ლოცულობდა. იგი უფალს ევედრებოდა ჩვენი ქვეყნის ხსნას და მისი იმედი საბოლოოდ გამართლდა კიდეც.

შემდეგი ქვეთავი ქართველებისა და თათრების ბრძოლას ეხება და სათაურიც შემდეგნაირი აქვს - „ბრძოლა ქართველებისა და თათრებისა“. პირველი მათი შერკინება ახალქალაქთან მოხდა. აქ თათრებს დაუხვდათ ქართველთა ჯარი. თავდაპირველად მტრის რიცხოვნობის გამო ქართველებს ბრძოლა უჭირდათ მაგრამ მათ თანდათან ემატებოდნენ ვაჟკაცები სხვადასხვა სოფლებიდან და რაც მთავარია წინ უძღოდათ დიდებული მეომარი, ვაჟკაცი გიორგი სააკაძე.

ახლა თათრებმა გორისკენ იბრუნეს პირი. სურდათ, იქეთ გადასულიყვნენ, თუმცა გორი გადაურჩება თათრებს და ამას ვიგებთ ქვეთავიდან „გორი გადაურჩება თათრებს“. აქვე იკვეთება მეორე გმირი მღვდლის სახე. სომხის მღვდელი სააკაშვილი, რომელიც დაინახავს გორისკენ მომავალ თათრებს ცხენს მოაბრუნებს და ადგილობრივ გლეხებთან ერთად ხიდს ჩაშლის. ამ საქციელმა ქართველთა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. თათრებმა გაანალიზეს მათი უსუსურობა და გადაწვიტეს ქართველთა დაპყრობაზე ხელი აეღოთ, დასავლეთისკენ ევლოთ და

ახალციხის გზით სათათრეში დაბრუნებულიყვნენ.

ამ დაპირისპირების საბოლოო შედეგს ვეცნობით ბოლო ქვეთავში „თათრის ჯარის ამოჟლეტა“, რომელშიც საუბარია თუ როგორ გაანადგურა ქართველთა ჯარმა თათრები. მათ ისე მოიმწყვდიეს მტერი, როგორც ჩიტი გალიაშიო ამბობს ავტორი. საბოლოოდ თათრები დამარცხდნენ, ქართველები კი გადარჩენილები და ბედნიერები საკუთარ მიწა-წყალზე დარჩნენ. ნაწარმოების ბოლოსაც ავტორი ისევ უბრუნდება თავდადებული მღვდელი თევდორეს საგმირო საქმეს და ამბობს, რომ სწორედ მის გმირობაზე იდგა საქარველოს გამარჯვება, რომ არა ის, უეჭველად დავმარცხდებოდით.

„თევდორე მღვდელმა მოიპოვა იმისთანა სახელი, რომელიც ქებით, დიდებით და კურთხევით იხსენიება ყველა ქართველისაგან, ვიდრე დედამიწის ზურგზე ჩვენი ერი იცოცხლებს.

საქართველოს გმირი ადამიანები ნამდვილად არ აკლდა და ის ფაქტი, რომ ჩვენ, ასეთი პატარა სახელმწიფო მტერთა თარეშს გადავურჩით და დღემდე მოვედით სწორედ ამ პატრიოტი ადამიანების დამსახურებაა. ასეთები გახლდათ ცხრა ძმა ხერხეულიძე, რომლის ამბავსაც ავტორი მცირე თხზულების სახით გვიყვება. ნაწარმოებს ეწოდება „ცხრა ძმა ხერხეულიძე“ და მასში მოთხრობილია მარაბდის ბრძოლაში ძმების თავგანწირვაზე. ყველა ერთმანეთზე უკეთესნი იყვნენ სიმამაცით, მამულიშვილობით. ისინი არ შეუშინდნენ სიკვდილს.

ნაწარმოების დასაწყისში ავტორი მცირე ცნობას გვაძლევს ხერხეულიძეთა საცხოვრისის და მშობლების შესახებ. სოფელ მარაბდაში ცხოვრობდა თურმე მოხუცი აზნაური ხერხეულიძე, რომელიც აქ ზემო ქართლიდან ჩამოსახლებულა და მას ცხრა ვაჟი ჰყავდა. იაკობი ამბობს: „მამა ამ ცხრა ვაჟისა იყო ერთგული, მოყვარე თავისი ქვეყნისა და მხურვალე მამულიშვილი; ცოლადაც მას ჰყავდა ყოვლად ღირსეული ქართველი მანდილოსანი. ამის გამო ცხრა ძმანი ერთი ერთმანეთზე უკეთესი ვაჟკაცები და მამულიშვილები დადგნენ“ (გოგებაშვილი, 1982:375). ავტორის ამ დახასიათებაში კარგად იკვეთება აღზრდის როლი და მნიშვნელობა, იგი ამბოს, რომ რადგანაც ძმების მშობლები ასეთი ღირსეული პიროვნებები იყვნენ, ამის გამო ეს

ვაჟები აღიზარდნენ ვაჟკაცებად და საუკეთესო მამულიშვილებად. მშობელს თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდის, აზროვნების, ცნობიერების ჩამოყალიბებს საქმეში, აქაც ნათლად ჩანს. იაკობი ბავშვთა აღზრდის საკითხს უყურადღებოდ არასდროს არ ტოვებს და მათი ცნობიერების შეფერხების ან სწორი გზიდან გადახვევის გზებს მუდამ ეძიებს და ძირითად შემთხვევაში მშობლებში ჰპოვებს.

ნაწარმოებში საუბარია სპარსეთის მეფის შაჰ-აბაზის საქართველოში შემოჭრასა და ქართველებისა და სპარსელების დაპირისპირებაზე. ცხრა ძმა ხერხეულიძის დედის ღირსების ნათელსაყოფად ავტორს მოაქვს თქმულებაც, რომლის მიხედვითაც „დედაც ბრძოლის ველზე იყო, ამხნევებდა მათ და როცა ერთს მის ვაჟს, სასიკვდილოდ დაჭრილს, ქართული დროშა ხელიდან გაუვარდა, დედამ აიღო დროშა და მეორე თავის შვილს მისცა ხელშიო“ (გოგებაშვილი,1982:375). ცხრა ძმის გმირულ სულზე მეტყველებს ავტორის მიერ მოყვანილი შემდეგი ეპიზოდი: „დაღალულ-დაქანცულმა ქართველმა ლაშქარმა ვეღარ შეიკავა მტერი. ამ საშინელი წამის დროს ძმანი ხერხეულიძენი არამცთუ არ შედრკენ, არამედ ლომებად გადაიქცნენ და უფრო მომეტებული თავის განწირვით იბრძოდნენ. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ან გაემარჯვათ, ან ბრძოლის ველზე დახოცილიყვნენ ყველანი. და რადგანაც ქართველმა ჯარმა ვერ გაიმარჯვა, თავდადებულნი ძმანი ერთი ერთმანეთზე ზედ შეაკვდნენ მტერსა და თავისი გმირული სული დალიეს ბრძოლის ველზე“ (გოგებაშვილი, 1982:375).

აი, ვინ არის ნამდვილი გმირი, აი როგორი უნდა იყოს პატრიოტი, ქვეყნის მოამაგე ადამიანი. აი ასეთი პიროვნებას ელოდა ისევ ქვეყანა და იაკობიც, იმის ფიქრში იყო, რომ ისევ გამოჩნდებოდა და ჩვენშიც კვლავ აღიზრდებოდა, სამშობლოს ერთგული ჭირისუფალი, სანიმუშო მამულიშვილი. იაკობ გოგებაშვილს სწორედ იმ პერიოდში მოუწია ცხოვრება, როცა ქვეყანა ერთგული მამულიშვილის ნაკლებობას განიცდიდა.

განთლების მნიშვნელობაზე და მწიგნობრობის აღორძინებაზე საუბრობს ავტორი ისტორიულ თხზულებაში „განათლების აღორძინება და ვახტანგ მეექვსე“.

იაკობ გოგებაშვილი ამ ნაწარმოებში ერთიანობის დაშლის და მოსპობის მიზეზად სწორედ სწავლა-განათლების დაბალ დონეს ასახელებს. მეთვრამეტე საუკუნის მოვლენას, საქართველოში მწიგნობრობის გაღვიძებას, იგი „ნათელ სხივს“ უწოდებს. თითქოს ამდენი ხანი ქართველები ბნელ ოთახში ისხდნენ და ახლა ვიღაცამ სინათლის სხივი შეიტანა მათთან. განათლება, წყვდიადიდან გამოსვლას, გონების განათებას გულისხმობდა. აქ ნათლად ვხედავთ თუ როგორ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ავტორი ამ საკითხს. მწიგნობრობის გაღვივება მისთვის ერთადერთი უებარი წამალია, რომელმაც უნდა უმკურნალოს ცნობიერებადაკარგულ, მრავალ ჭირგამოვლილ ერს.

ამ თხზულებაში კარგად ჩანს ვახტანგ მეექვსის ღვაწლი და დამსახურება, საქართველოში მწიგნობრობის აღორძინების საქმეში. სწორედ მან დააარსა თბილისში სტამბა და დაბეჭდა მრავალი წიგნი. პირველ რიგში საეკლესიო წიგნები, შემდეგ „ვეფხისტყაოსანი“ და სხვები. იაკობ გოგებაშვილი მეფე ვახტანს ამ ქმედებას უდიდეს დამახურებად უთვლის ქართველი ხალხის წინაშე და ამიტომაც, სწორედ ეს ეპიზოდი მოაქვს მისი ცხოვრებიდან.

ამავე თხზულებაში ავტორი ასახელებს სხვადასხვა განათლებულ პიროვნებას, რომელთაც დიდი ღვაწლი აქვთ ქართველთა განათლების საქმეში. ესენია: ვახტანგ მეექვსეს ვაჟი ვახუშტი, რომელიც მამას მუდამ გვერდში ედგა და მისი მარჯვენა ხელი იყო. მას რუსეთში გადასახლების შემდეგაც არ შეუწყვეტია წიგნების წერა და ბეჭდა; მეფე თეიმურაზ პირველი, რომელმაც დაწერა პოემა „ვარდ-ბულბულიანი“და საკუთარი დედის ქეთევანის წამება, არჩილ მეფე თავისი „არჩილიანით“, რომელშიც აღწერა მეფე თიმურაზის ცხოვრება; სეხნია ჩხეიძე და ფარსადან გორგიჯანიძე, რომლებმაც დაწერეს ისტორია; სულხან-საბა ორბელიანი და მისი „სიბრძნე-სიცრუისა“; მიტროპოლიტი იოსებ თბილელი, რომელიც წერს „დიდმოურავიანს“ და მასში საუბრობს გიორგი სააკაძის შესახებ, მის საგმირო საქმეებზე; იასე ქსნის ერისთავი, რომელმაც დაწერა „მოწამეობა ელიზბარ, ბიძინა და შალვასი“; ამავე პერიოდს განეკუთვნება დავით გურამიშვილი თავისი შესანიშნავი თხზულებებით.

აქვე იაკობ გოგებაშვილი ასახელებს მიზეზებს, რამაც ფრთები შეკვეცა ვახტანგ

მეექვსის მიერ დაწყებულ ამ დიდებულ საქმეს. ამ პერიოდიდან უკვე იკვეთება თუ როგორ იხლიჩება საქართველო რუსეთსა და სპარსეთს შორის. ერთმორწმუნეობის გამო ვემხრობით რუსეთს, თუმცა ბრძოლას მაინც ვაგებთ. მეფე ვახტანგს მოუწია გადასახლება. მას ვერ დაივიწყებს ქართველი ერი, რადგანაც სწორედ მან მიაწოდა ლამპარი წყვდიადში მყოფ ხალხს და ეცადა მათ გონებაში ნათელი შეეტანა. მისი დამსახურება ჩვენი საზოგადოების მიმართ განუზომელია და ეს იაკობ გოგებაშვილმაც კარგად იცის.

ჩვენს დიდებულ მეფე ერეკლეს და მის ცხოვრებისეულ ეპიზოდს ეხება იაკობ გოგებაშვილი თავის ნაწარმოებში „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“. საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ მას ცალკე აქვს დაწერილი ისტორიული თხზულება „ერეკლე მეფე“, რომელიც მის მეფობას, გმირულ სულისკვეთებას, სამშობლოს ერთგულებას, ქვეყნის ხსნის გზის ძიებას, რუსეთთან შეერთებას, აღა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრებას, კულტურულ აღმშენებლობას და განათლების მნიშვნელობას ეხება და ცალკე ნაწარმოებად აქვს პატარა ინგილო გოგონასთან შეხვედრის ამბავი.

ისტორიულ თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებთაგან, ეს იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია. თხზულება იწყება 1795 წელს, მეფის მიერ ჭარის ლეკების დამარცხებით და საინგილოს გზით სამფლობელოში დაბრუნების ამბავით. მეფე თავის ჯართან ერთად საინგილოს გზით მოდიოდა, როცა მას ერთ-ერთი ორღობე უნდა გამოევლო. თერთმეტი-თორმეტიოდე წლის გოგონამ თავზე ქლიავი გადმოაყარა. აქ საგულისხმო ფაქტია ის, რომ გოგონა ხილს აყრის არა თავის სადიდებელ და სათაყვანებელ მეფე ერეკლეს, არამედ ვიღაც სპარსს, ქვეყნის მტერს. მან მეფე, მისი სპარსული ქუდის გამო ვერ იცნო და მტრად მონათლა. როცა ჯარისკაცებმა უბრძანეს გოგონას ქვემოთ ჩამოსვლა და მეფისთვის ბოდიშის მოხდა, გაოცდა, არ სჯეროდა სპარსულქუდიანის ქართველობა. „რას ამბობთ? ეგ რომ ჩვენი სახელოვანი მეფე ერეკლე იყოს, განა სპარსულ ქუდს თავზე დაიხურავდა? არა, ეგ ტყუილია. მე ქლიავი თავზე გადმოვაყარე სპარსელს, ჩვენს მოსისხლე მტერსა და არა მეფე ერეკლეს, რომელიც ყველა ქართველს ღმერთივით გვიყვარს, და თქვენ სულ ტყუილად მემუქრებით. არც ძირს ჩამოვალ და არც ბოდიშს მოვიხდი“ (გოგებაშვილი,

1982:383). გოგონას ამ სიტყვებიდან გამოსჭვივის არა მხოლოდ უდიდესი პატრიოტიზმი და სიყვარული ქვეყნისა და მეფის, არამედ ხასიათის სიმტკიცეც. მას ჰგონია, რომ მის წინ სასტიკი მტრები, სპარსელები არიან, მაგრამ მაინც უშიშრად აყრის ქლიავს თავზე. ადიდებს მეფეს და არც ბოდიშის მოხდას აპირებს მისი ქმედებისთვის. იგი მზადაა, მტერს შეეწინააღმდეგოს და დაიცვას საკუთარი დამოკიდებულებანი.

აქვე იკვეთება მეფის დიდსულოვანი და საღად მოაზროვნე დამოკიდებულება, მას შეეძლო შეურაცხყოფილად ეგრძნო თვი. ასეთ დიდებუულ ადამიანს, ქვეყნის მოამაგეს თავზე ხილი დააყარეს და მწარედაც გაკიცხეს, მაგრამ მან სხვა მხრივ შეხედა ამ საკითხს, მოიხადა ქუდი და გოგონას საქციელი მოუწონა. „ყოჩაღ, ქალო! სრულიად მართალი ხარ. სპარსული ქუდი სწორედ, რომ არ უნდა მეხუროს მე. ქართველი მეფე გარეგნობითაც, ტანისამოსითაც ქართველი უნდა იყოს. კარგი, ჩინებული დარიგება მომეცი შენ მაგ ქლიავის სროლითა, ბარაქალა შენს ქართველ ქალობასა!“. (გოგებაშვილი, 1982:384).ერეკლე მეფე პატარა გოგონასგანაც არ თაკილობს შენიშვნის მიღებას და იგი დარიგებად იღებს ყოველივეს. ამ საქციელის გამო ჯიბიდან მთელი ბღუჯა ფული ამოიღო და მხლებლებს მისცა, რათა გოგონასთვის გადაეცათ. აი, ახლა მიხვდა ინგილო ქალი, რომ შეცდა და გარეგნობამ მოატყუა. არ თანხმდებოდა ფულის აღებას, თუმცა მხლებლებმა დააძალეს. ბოლოს მეფეს თავი დაუკრა და გადმოსძახა: „მეფე ერეკლეს გაუმარჯოსო“. „ქართველ ქალსაც გაუმარჯოს!“ ასეთი იყო სახელოვანი მეფის პასუხი. ინგილო ქალი დიდი ხანი ადევნებდა თვალს მეფესა და თავის ჯარს, მანამ, სანამ თვალს არ მოეფარნენ.

მომდევნო თავში საუბარია ამ ინგილო გოგონას ქორწილის დღეზე. აქ კიდევ უფრო მეტად იკვეთება მეფე ერეკლესადმი საზოგადოების დამოკიდებულება, ლხენა იწყება მეფის დიდებით, ყველა სიყვარულით, გულთბილად მოიხსენიებს მას. შუა ზეიმის დროს შემოვა უცნობი კაცი, რომელიც პატარძალს მეფისგან გამოგზავნის მზითევს უბოძებს. როგორც ჩანს ერეკლე მეფეზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ამ გოგონას ქმედებამ. წლების გასვლის მერეც კი არ დაუვიწყებია იგი და საზღაურიც მიუზღო თვისი პატრიოტული სულისკვეთებისათვის. აი როგორი იყო მეფე ერეკლე

და როგორი იყო მაშინ საზოგადოება. ავტორი ამბობს, რომ ნეფე-პატარძლისათვის გამოგზავნილი საჩუქარი ისე მიიღო ხალხმა, თითქოს მათთვის გამოეგზავნათ და კიდევ უფრო გულმხურვალედ ადიდებდნენ მეფე ერეკლესო.

მესამე თავში საუბარია კრწანისის ბრძოლაზე. ამბავი ხდება ოცდახუთი წლის შემდეგ, მეფე მოხუცებულია. ინგილო ქალი ნამდვილად ამტკიცებს თავის ქვეყნისადმი უსაზღვრო სიყვარულს, იგი ზრდის შვილებს გმირებად. მისი ორი ვაჟკაცი, რომელთა ნათლიაც მეფე ერეკლე გახლდათ, თავგამოდებით იცავდნენ მეფეს. თავი გასწირეს მის გამო. წარმოუდგენელი სულიერი სიძლიერე და ქვეყნისათვის თავდადება იკვეთება ინგილო ქალის სიტყვებში, როცა იგი გაიგებს თვისი შვილების დაღუპვის ამბავს „ვმადლობ, მხურვალედ ვმადლობ უფალსა, რომ მან აღირსა ჩემს შვილებს გმირული სიკვდილი, სიკვდილი სახელოვანი მამულიშვილებისა“. (გოგებაშვილი, 1982:386).მას რა თქმა უნდა გული შესტკივა მისი შვილების სიკვდილის გამო, თუმცა ბედნიერია, რომ ასეთი გმირები და ქვეყნის მოამაგენი აღზარდა.

საოცარია ბოლოს ნათქვამი მისი სიტყვები: „მაგრამ, ნუ გაუხარდებათ მტრებსა“, - განაგრძო სამაგალითო დედამ: - ღვთის წყალობით, მე კიდევ მყავს ოთხი ვაჟი და ორი ქალი. მე მათ დავზრდი უფრო უკთესს, უფრო გუმხურვალე მამულიშვილებად და ისინი სხვა ქართველი დედების აღზრდილ მამულიშვილებთან ერთად გადაუხდიან მტერს სამაგიეროსა და ჩვენს საქართველოს დააყენებენ ბედნიერ გზაზე“. (გოგებაშვილი, 1982:387). აი მთავარი მიზანი ქვეყნის ჭირისუფალისა, აი როგორი უნდა იყოს ნამდვილი აღმზრდელი. ინგილო ქალი სიმტკიცის, პატრიოტიზმის, აღმზრდელის საუკეთესო სახეა.

როგორც ცნობილია, ეს ნაწარმოები გააკრტიკა გიორგი წერეთელმა და აღნიშნა, რომ ის შეცდომები, რომელიც ამ ნაწარმოებშია დაშვებული, ისეთ დიდ მწერალს, როგორიც იაკობ გოგებაშვილია, არ ეკადრებაო. ასეთ შეცდომად მან დაასახელა თერთმეტ-თორმეტი წლის ინგილო გოგონას მიერ მეფის თავზე ქლიავის გადმოყრა. ვინ მისცა ამ ასაკის ბავშვს ასეთი სიმტკიცეო. ეს ფაქტი ახალგაზრდებს ცრუ ინფორმაციას მისცემს ჩვენი ქვეყნის წარსულზეო. იაკობ გოგებაშვილი კი

თავისი ნათქვამის დასამტკიცელად პედაგოგიურ მოსაზრებებს და ბავშვის ფსიქოლოგიას მოიშველიებს. იგი ამბობს, სწორედ ამ ასაკის გოგონაა ასეთი გამბედავი. ცხოვრების ამ ეტაპზე მას არც ბავშვური შიში აქვს და არც ქალწულებრივი სიმორცხვე გააჩნიაო. (ბორცვაძე, 1991:165).

გ. წერეთელმა ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ გოგონამ ქლიავი გადმოაყარა არა მეფეს, არამედ მოსისხლე მტერს, სპარსელს. ამ გოგოს ჩვენებით ავტორმა დაგვიხატა პატრიოტი ბავშვის სახე, რომელსაც უყვარს თავისი ქვეყანა და სძულს მტრები.

გიორგი წერეთელი იმ მოსაზრებასაც გამოთქვამს, რომ ამ ნაწარმოებში გამოყვანილი ინგილო ქალი უბრალო მოლაპარაკე ტიკინად გვეჩვენება, რომლის მეშვეობითაც ავტორი გამოთქვამს საკუთარ აზრებს. არც ის სჯერა, რომ უბრალო გლეხის გოგოს შეიძლება ასე ძლიერად უყვარდეს ჩვენი ქვეყანა. ნეტა რომელ პატრიოტულ სკოლაში აღიზარდაო, ახლანდელ დროშიც ბევრია პატრიოტულ სასწავლებლებში აღზრდილი მანდილოსნები და პატრიოტიზმზე წარმოდგენაც არ აქვთო. ამ მოსაზრებას იაკობი სამართლიანად პასუხობს. ახლანდელ დროში სკოლებში სწავლება არ მიმდინარეობს ისე, როგორც უნდა იყოსო, აქ არ ისწავლება მამულიშვილობა, ერთიანობა და შესაბამისად ვერც წარმოდგენა ექნებათ პატრიოტიზმზე. ინგილო გოგონას სასწავლებელი კი თავად ცხოვრებაა, ის ტანჯვაა რასაც ქვეყანაში ხედავს, ის წყალობაა რაც მეფისგან ესმის. მან სხვანაირი ცხოვრებისეული წვრთნა გაიარა და აი მიზეზი მისი სულიერი სიმტკიცისა.

იაკობ გოგებაშვილმა გ. წერეთლის ამგვარი შეხედულებანი „უძლურ ბოროტებად“ მიიჩნია. წერეთელმა კი მას „ტეტიათა მოტრფიალე“ უწოდა, თანაც სრულიად დაუმსახურებლად, რადგანაც იაკობი შორს იყო ხალხოსნური მსოფმხედვეობისაგან.

ისტორიული მოთხრობა „ასპინძის ომი“ გვიყვება ერთ ბრწყინვალე პერიოდზე საქართველოს ისტორიიდან. აქაც მეფე ერეკლეს მოღვაწეობის ეპიზოდებს ვეცნობით, მის საგმირო საქმეებს. დიდი სიამაყითაა აღწერილი 1770 წლის 20 აპრილს, როგორ დაამარცხა ქართველთა მცირერიცხოვანმა ჯარმა ოსმალეთის მრავალრიცხოვანი

ლაშქარი. მეფის ვაჟკაცობამ თვით სახელგანთქმული პრუსიის მეფე, ფრიდრიხ დიდიც გააოცა. ნაწარმოებს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს გრიგოლ ორბელიანის სიტყვები:

„მამული ვეღარ იხილავს

ირაკლის ხმალსა მღელვარეს

დიდება ივერიისა

მასთან მარხია სამარეს“

(გოგებაშვილი, 1982:388).

ლექსი აზრობრივად რა თქმა უნდა დაკავშირებულია ტექსტთან. ნაწარმოების ბოლოს, მეფე ერეკლეს გარდაცვალების ამბავიცაა მოხმობილი.

ნაწარმოები დაყოფილია თავებად. პირველი თავი არის „შესავალი“, რომელშიც ბუნების აღწერა და ვარსკვლავთა მიერ ბნელის განათებაზეა საუბარი. „გუმბათი მოჭედილია ბრწყინვალე ვარსკვლავითა და ესენი განუწყვეტლივ ებრძვიან ღამის სიბნელესა და ჰფენენ დაუსრულებელ სივრცეში სინათლესა და ლხენასა“. (გოგებაშვილი, 1982:388). ეს ნათქვამი, რა თქმა უნდა მეტაფორულად უნდა ჩავთვალოთ, მანათობელ ვარსკვლავებში უნდა ვიგულისხმოთ ის საგმირო საქმეები, რომლებსაც ქვეყანა წყვდიადიდან გამოჰყავს და ფეხზე წამოდგომაში ხელს უწყობს. ავტორი გამოარჩევს ორ მნათობს, რომესაც იგი „ცისკარს“ და „ხარისთვალას“ უწოდებს. მოგვიანებით ამბობს, რომ მათში მოიაზრებს ერევნისა და ასპინძის ომს. სიხარულისა და სინათლის მომფენს საქართველოსთვის.

ერევნის ომში სამი ათასიანი ლაშქრით თვრამეტ ათას სპარსელს ვებრძოდით და საშინლად დავამარცხეთ მტერი, ხოლო ასპინძის ომში მეფემ ისეთი სამხედრო ხელოვნება გამოიჩინა, რომ მთელი ევროპა გააოცა. რომ არა მეფის გამჭრიახობა მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ უთუოდ დამარცხებულები ვიყავით. აქ კიდევ ერთხელ იკვეთება გონიერი მმართველის როლი.

მეორე თავს ეწოდება „იმპერატრიცა ეკატერინე და ერეკლე მეფე“. აქ საუბარია რუსეთისა და ოსმალეთის დაპირისპირებაზე. რუსეთმა ომი გამოუცხადეს ოსმალებს. იმპერატრიცამ დასახმარებლად ქრისტიანული ქვეყნები მოიხმო, მათ შორის ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე და იმერეთის მეფე სოლომონი. მოწვევას მხლოდ ჩვენები დასთანხმდნენ, რადგანაც სურდათ ოსმალებისგან განთავისუფლება და მათ მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნება.

მესამე თავი გახლავთ „ერეკლე მეფე და ტოტლებენი“, რომელშიც ნათლად დაიხატა რუსი გენერლის სახე. მას სურდა რუსეთ-საქართველოს გაერთიანებული ჯარისთვის ეხელმძღვანელა, თუმცა ერეკლე მეფე ამის ნებას არ აძლვდა. აი აქედან დაიწყო ქიშპი, რომელიც რუსთა ჯარის მიერ საქართველოს მიტოვებით დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ მეფე დასთანხმდა ტოტლებენის გეგმას. აწყურის და ახალციხის ციხის აღების გამო მათ მაინც ვერ მიაღწიეს წარმატებას. ციხის კედლები მტკიცე აღმოჩნდა, ტოტლებენმა კი გეზი შეიცვალა, ჩვენი მეფე დაედევნა და თხოვა რომ დარჩენილიყო, გაერთიანებულ ჯარზე მმართველობასაც დაჰპირდა, თუმცა გენერალი ცივ უარზე იდგა. იგი ქართლისკენ გამოეშურა. ერეკლემ კი მისი საქციელი ასე ახსნა: „ალბათ მას იმედი აქვს, რომ მე ვითაკილებ უკან დახევასა, შევებრძოლები ოსმალთა ჩემი მცირე ჯარითა, დავმარცხდები, ჯარს დავკარგავ, მეც დავიღუპები ჩემი მემკვიდრითურთ და მაშინ ჩემს სახელმწიფოში ბურთი და მოედანი მას დარჩებაო“. (გოგებაშვილი, 1982:391).

შემდეგი თავი „ნაყოფი ტოტლებენის ღალატისა“ გვიჩვენებს თუ როგორი ცუდი გავლენა მოახდინა ქართველებზე ტოტლებენის ქმედებამ. ქართველები საგონებეში ჩაცვივდნენ, ეტყობა სპარსებს დიდი ჯარი ჰყავთ და ამიტომ შეეშინდათო, მაგრამ ამგვარი გაჭირვების, მძიმე პერიოდის დროს, ერეკლე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენდა ჯარზე და მათ გმირული სულისკვეთებით ავსებდა. მათ მოუწოდა წინ წასულიყვნენ და ებრძოლათ მტერთა წინააღმდეგ. თავზე ლაფდასხმული ჩვენს ოჯახთან ვერ დავბრუნდებითო.

მეხუთე თავი ეხება როკეტის გზაზე ჩვენი ჯარის გასვლას და სათაურიც შემდეგნაირი აქვს „ქართველი ჯარი როკეტის გზაზე“. ეს საკმაოდ მიუვალი და

რთულად მისადგომი გზა იყო, მაგრამ მეფემ გაიგო, რომ ასპინძამდე მისვლას მტერი სწორედ ამ გზით აპირებდა. აქ კი მრავალრიცხოვანი მტრის მოგერიება ბევრად მარტივი ინებოდა ჩვენი მცირერიცხოვანი ჯარისთვის.

„ქართველი ჯარის განსაცდელი იდუმალასთან“ ამ თავში კიდევ ერთხელ იკვეთება ერეკლე მეფის სახე, როგორც გმირის და საუკეთესო მებრძოლის. როცა აწყურის ციხიდან გამოსული მტერი, იდუმალასთან თავს დაესხა წინ მიმავალ ქართველთა ჯარს, ჩვენი ხალხი დაიბნა, აირია და მტერს ზურგი აქცია. ამ დროს კი მეფემ აჩვენა მათ სამაგალითო ქმედება. იგი რამდენიმე ვაჟკაცთან ერთად სწრაფად გაექანა მტრისაკენ, როდესაც ჯარმა დაინახა თუ როგორ იბრძოდა მეფე, ისევ შეგულიანდნენ და ეკვეთნენ მტერს. ამ ნაწილში ავტორი ერეკლე მფეს ადარებს იულიუს კეისარს. როცა პომპეუსის შვილების ჯარმა კეისრის ჯარი დააფრთხო და გამოაქცია, კეისარი თავად შეებრძოლა მტერს. როცა მისმა ჯარმა დაინახა კეისრის ქმედება დაბრუნდნენ უკან და მასთან ერთად იბრძოლეს. საუკეთესო მაგალითს, საუკეთესო შედეგი მოჰყვება ხოლმე. მეფე უნდა იყოს არამხოლოდ მთავარსარდალი ქვეყნისა არამედ მისთვის მაგალითის მიმცემიც.

მეშვიდე თავი „დაბანაკება ჩვენი ჯარისა ასპინძის სერებზე“ გვიამბობს, რომ მეფეს შეატყობინეს მათ წინააღმდეგ ახალციხიდან მომავალი ოსმალ-ლეკების ჯარის ამბავი. მეფეც შეუდგა მზადებას. უშუალოდ ომის ფაქტებზე გვიყვება მერვე თავი „ასპინძის ომი“. ბრძოლა გათენებისას დაიწყო. ქართველთა ჯარს კარგი პოზიცია ჰქონდათ შერჩეული, მაღლობზე იდგნენ და მტრის ამოხოცვა მათთვის უფრო მარტივი იყო. დაინახეს თუ არა მტრებმა ჩვენი ხალხი მაშინვე დაიწყეს სროლა, მაგრამ ვერაფერი დაგვაკლეს, ერეკლემ, სანამ ახლოს არ მოვიდოდა ოსმალ-ლეკები, ჩვენებს გასროლის უფლება არ მისცა. მტერმა ეს ქმედება ქართველებს შიშში ჩაუთვალეს, თუმცა რა იცოდნენ, თუ ესეც ერთგვარი გეგმა იყო. მოუახლოვდა თუ არა მტერი ქართველთ, მეფემაც ნიშანი მისცა. გაისროლეს და ერთიც კი არ აუცილებიათ. ჯერ წინა რიგები დაეცა, მერე მეორე, მესამე და მტრის ჯარში შფოთვამ დაისადგურა. მათ უკან დახევა გადაწყვიტს, თუმცა ქართველები შურდულივით დაეშვნენ მთებიდან და ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა.

მეცხრე თავს ეწოდება „კოხტა ბელადის მოკვლა ერეკლეს მიერ და საშინელი განადგურება მტრისა“. რომელშიც საუბარია თუ საბოლოოდ ჩვენმა მცირერიცხოვანმა ჯარა როგორ სძლია მტერს. თავად მეფე ერეკლემ მოკლა კოხტა ბელადი, როგორც ავტორი ამბობს „პირველ ბელადად ცნობილი დაღესტანში“. გაქცევა უნდოდა მტერს თუმცა მტკვარზე ხიდი ჩაშლილი დახვდათ. სისხლით შეიღება მდინარე და უამრავი გვამი ჩაითრია. მთავარი დამსახურება, ღირსება და გამოხატულება ერეკლეს გონიერებისა არის მცირე დანაკარგი. იგი იბრძოდა და გეგმას ადგენდა ისე, რომ ნაკლები ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა. მაგალითად ასპინძის ომში ოცდაათი ადამიანი დაიღუპა და ასი დაიჭრა. დაღუპულთა შორის არ იყო არც ერთი გამოჩენილი გვამი.

მეათე თავი ეხება საშინენელ ტყუილს, ჭორს, რომელიც ქვეყანაში გავრცელდა. სათაურიც შემდეგნაირია „შემაძრწუნებელი ჭორი“. როცა ქართლში რუსთა ჯარი შენიშნეს ხალხმა ივარაუდა, რომ მეფე დაიღუპა და ქართველთა ჯარიც ამოწყდაო. გაისმოდა ეს ჭორი ყოველმხრივ და რუსებიც კიდევ უფრო ამძაფრებდნენ სიტუაციას: „ერეკლე, მარტოდ დატოვებული მტრის ქვეყანაში, დაღუპვას ვერ ასცილდებაო“. (გოგებაშვილი, 1982:399) ეს ამბავი დედოფლის ყურამდეც მივიდა. იგი ფეხშიშველი გაემართა სიონისკენ და მხურვალედ ილოცა ქართველთა გამო. ამ დროს მათ შენიშნეს სისხლად შეღებილი მტვარი და მათი ეჭვი კიდევ უფრო გაძლიერდა. დედოფალმაც ლოცვასა და ტირილს უმატა. მაგრამ, როცა მტკვარმა ჩამოიტანა გვამები, იქ არც ერთი ქართველი არ ერია და მაშინ კი მწუხარება სიხარულად შეეცვალათ. მალე სოლოლაკის მთაზე, ოსმალთა ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხიც შენიშნეს, თავიდან მტერი ეგონათ, თუმცა, როცა მოისმა ქართული სიმღერა:

„ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს ნადირსა შავი ტყისასა;

ვინც დახვდა იგი დახვდება გულდაგულ რაზმსა მტრისასა!“

(გოგებაშვილი,1982:400)

კიდევ უფრო მეტად გაიხარეს.

ბოლო მეთერთმეტე თავის სათაურია „ტოტლებენის ბოლო. ერეკლესა და

სოლომონ მეფეთა ბრწყინვალე ლაშქრობა ოსმალეთში“. ტოტლებენმა გაიგო ერეკლეს გმირობის ამბავი და გადაწყვიტა სურამიდან დუშეთისაკენ წასულიყო. იგი შეჩერდა ანანუში, იფიქრა აქ ქართველთა მეფე რუსეთში გადასასვლელად გზას ვეღარ შემიკრავსო და როგორც ავტორი გვეუბნება, ისევ ბრიყვულად მოიქცა. გარეშე სოფლის მცხოვრებლებს დაერია და აიძულებდა რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე ფიცის დადებას და მეფე ერეკლეს უარყოფას. ვინც არ ემორჩილებოდა, მას სასტიკად აწამებდა. აი ეს იყო რუსი გენერლის სახე. იგი მოღალატე და ბრიყვია. ერეკლე მეფემ შეიტყო ტოტლებენის ქმედების ამბავი, ჯერ კიდევ როდის მიუხვდა იგი გენერალს გეგმას, თუმცა მას ყველაფერი აპატია, ეკატერინეს დიდი ხათრი ჰქონდა. მან არ იცოდა, რომ იმპრატრიცასაც ჩვენი ქვეყნის შემოერთების სურვილი ჰქონდა და ამიტომაც კარგი გული უჩვენა.

ამის შემდეგ რუსთა ჯარი სოლომონ მეფის დასახმარებლად გაეშურა, რომელიც ერთი მხრივ, ოსმალებს ებრძოდა, მეორე მხრივ, კი გურიისა და სამეგრელოს მთავრებს. მაგრამ ტოტლებენმა სრული უსუსურობა გამოავლინა ბრძოლაში, თვეობით იდგა ციხესთან და ვერ აიღო. ნაწარმოებიდან ჩანს, რომ იგი არა მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ექცევა ცუდად, არამედ საკუთარ ჯარსაც. აქ იგი ჩანს, როგორც ანგარებიანი და სრულიად უნიათო პიროვნება. ჯარისკაცებს შიმშილით და უტანისამოსოდ ხოცავდა. თითქმის მთელი ჯარი დაავადდა. ბოლოს იმპერატრიცამაც შეიტყო ყოველივე და ტოტლებენი სუხოტინით შეცვალა, მაგრამ კარგი მმართველი ვერც ის აღმოჩნდა.

საბოლოოდ სოლომონ და ერეკლე მეფე გაერთიანდნენ და ერთიანობამ, ერთიანი ძალით ბრძოლამ ქვეყანას სიკეთე მოუტანა. მათ მტრები გაყარეს ჩვენი ტერიტორიებიდან და არზრუმამდე მიაღწიეს. მაგრამ, სწორედ ამ წარმატების დროსმ 1774 წელს რუსეთმა და ოსმალეთმა დადო ზავი, რომლითაც რუსებმა უფრო იხეირეს. ოსმალებმა კი მაინც შეირჩინეს მათ მიერ ადრე დაპყრობილი საქართველოს ტერიტორია.

ამდენად, იაკობ გოგებაშილის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ისტორიული ხასიათის მოთხრობებს. ამ ნაწარმოებთა მიზანია პატრიოტიზმის

გაღვიძება ერში, სიყვარულის ჩანერგვა, გმირული სულის ჩადგმა, არა საკუთარ პრობლემებზე, არამედ საზოგადოზე ფიქრი. ქვეყანას სჭირდება შველა და ითხოვს გმირებს. იაკობი კი თავდაუზოგავად შეახსენებს ამას ქვეყანას და მიძინებულ ერს გამოღვიძებისკენ მოუწოდეს. აი ვინ ვიყავით გუშინ და ვისი ამბების მოგონებით უნდა აღიზარდოს თაობა.

თავი III. **იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობები, როგორც საძირკველი ქვეყნის ჯანსაღი მომავლისა**

იაკობ გოგებაშვილის პიროვნება და მისი ისტორიული ნაწარმოებები უკვე განვსაზღვრეთ და განვიხილეთ. ახლა კი დროა მის საბავშვო მოთხრობებს შევეხოთ, რომლებიც აზრობრივი თვალსაზრისით და იმ მიზნით, რაც ავტორმა მათში ჩააქსოვა, მეტად საინტერესოა.

მწერალს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ბავშვებისთვის სულიერი საზრდოს შექმნას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იმ პერიოდში, როცა ჩვენი ქვეყნის ეროვნულობის მოსპობის მსურველნი ყველა მხრიდან გვიტევდნენ, ცდილობდნენ მშობლიური ენა, ქართულ ენაზე აზროვნება, ამოეძირკვათ ახალგაზრდების გონებიდან, სწორედ მაშინ ქმნიდა იაკობი საბავშვო მოთხრობებს. როგორც მიწაში ჰყრიან თესლს ნაყოფის მისაღებად, ასევე თესდა იგი ახალგაზრდების გონებაში, მშობლიურ საწყისებს, აღვივებდა დადებით გრძნობებს და სწამდა, რომ მიღებული ნაყოფი ქვეყანას ბნელი აწმყოდან გამოიყვანდა.

შემოქმედი ფიქრობდა, რომ ადამიანის აღზრდა იწყება ბავშვობიდან და თუ გვინდა ისინი კარგ პიროვნებებადად ჩამოვაყალიბოთ, თავიდანვე უნდა ვაჩვენოთ ამის სწორი მაგალითი. იგი აღზრდის თვალსაზრისით ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლებს, ოჯახს, რომლებაც უნდა შეუწყონ ხელი ბავშვის განვითარებას.

იაკობ გოგებაშვილის კალამს ეკუთვნის ას ორმოცდაათზე მეტი საბავშვო ნაწარმოები. ეს ნაწარმოებები დაწერილია პატარებისათვის გასაგები, სადა ენით. იგი უნდა წაიკითხოს ბავშვმა და თავად გამოიტანოს დასკვნა, გაეცნოს ცხოვრების ავ-კარგს. ავტორი ბავშვს აძლევს საშუალებას დამოუკიდებელი აზროვნებისა, ლოგიკური მსჯელობისა და გარე სამყაროს გაცნობისა. მისი შემოქმედების მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა ჩვენი ერის სულიერი ძალა, გონებრივი შესაძლებლობანი და სიბრძნის სალარო. იგი მთელი თავისი ცხოვრება ხალხის სამსახურში იყო და ეს შრომა მან მართლაც ღირსეულად გასწია.

საბავშვო ლიტერატურას იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ყოველთვის და სწორედ მას მიიჩნევდა მთავარ ფუნდამეტურ ძალად, მთავარ საძირკვლად, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა ხალხისა. საბავშვო მოთხრობებია ის საწყისი, რომლითაც პირველ ეტაპზე ბავშვი ცხოვრებაში გარკვევას იწყებს.

იაკობი ამბობდა, რომ თუ ბავშვს სხვადასხვა ნაწარმოებნი თავისკენ მიიზიდავენ, კიტხვის სურვილს გაუჩენენ და იგი გონებას გაავარჯიშებს, მაშინ ასეთი ყრმა მომავალში აუცილებლად გამოიჩენს სიბეჯითეს სწავლისადმი და კიტხვა,

გონების განვითარება მისთვის სასიცოცხლო აუცილებლობა იქნებაო (ბორცვაძე, 1991:146).

ავტორს ღრმად სწამს საბავშვო ნაწარმოებთა კეთილი ძალის, რომ მას შეუძლია საძირკველი შუქმნას განვითარებული, საღად მოაზროვნე თაობის ჩამოყალიბებას და ამიტომაც არ იშურებს თავის შესაძლებლობას, ქმნის საბავშვო მოთხრობებს, იმ იმედით რომ ეს წაადგება ჩვენს ახალგაზრდებს და მოგვიანებით ისევ და ისევ ჩვენს სამშობლოს. ქვეყნის მომავალს ხომ საღად მოაზროვნე ადამიანები ქმნიან, ისინი რომლებსაც კარგად გაუაზრებიათ თავისი მისია და როლი, ამ ცხოვრებისა და იმ ქვეყნის წინაშე, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს.

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების მთავარ მიზანს მაინც წარმოადგენდა ხელი შეეწყო საბავშვო სკოლისთვის ბავშვის სწორად აღზრდის საქმეში. იგი მხატვრული შემოქმედებას აღმზრდელობითი დანიშნულებით იყენებს და ცდილობს ასე ჩაუნერგოს ბავშვებს სხვადასხვა ღირსებანი. იგი ხედავდა, რომ ქართული ლიტერატურა, საბავშვო ნაწარმოებთა ნაკლებობას განიცდიდა და ამ საქმეს მან მჭიდროდ მოჰკიდა ხელი. მან მოახერხა შექმნა ნაწარმოებები. გამოსცა წიგნები და ქართველი ერი მიაჩვია დედა-ენაზე აზროვნებას, ეს კი ქვეყნის წინაშე უდიდესი დამსახურებაა და მის სახელს დღესაც დიდი მოწიწებით და მადლიერებით იხსენიებენ.

იმისათვის, რომ საბავშვო მოთხრობები ადვილად გასაგები ყოფილიყო მოსწავლეთათვის, იაკობი მას წერდა მარტივი ენით და გაკვეული სურათების გამოყენებით. ისე ადგენდა იგი ამ ნაწარმოებებს, რომ ყოფილიყო მოსწავლეებისთვის სახალისო, საინტერესო, თუმცა არა მხოლოდ გასართობი. მას მეტად დიდი ფუნქცია ეკისრებოდა. თან უნდა დაეინტერესებინა ბავშვი, დიდი სიხარულით წაეკითხა და თან გაკვეულიყო, რა არის ცუდი და რა კარგი, რას წარმოადგენს ცხოვრების ესა თუ ის წევრი და რა თვისებებით უნდა იყოს ადამიანი შემკული. იაკობს კარგად ესმოდა, რომ დაბალი ასაკის ბავშვებისთვის, წასაკითხად, უფრო მეტად საინტერესო იქნებოდა თუ აალაპარაკებდა ცხოველებს, ფრინველებს სხვადასხვა საგნებს და მათი პირით გადასცემდა მათ შესახებ ცნობას. იაკობ გოგებაშვილი სხვებსაც მოუწოდებდა,

საბავშვო ნაწარმოებების წერისას ძალიან ფრთხილად მოქცეულიყვნენ, მარტივად, საინტერესოდ და გასაგებად დაეწერათ. მხოლოდ ასე შეიძლებოდა ბავშვის დაინტერესება და მისთვის ცოდნის გადაცემა.

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და საზოგადოებაში გავრცელებული ნაწარმოებია „იავნანამ რა ჰქმნა?“, რომელიც არა მხოლოდ პატრიოტული თემატიკისაა, არამედ ფსიქოლოგიურია. ამბავი მოგონილია და ქვეყნის მდგომარეობის გარდა, იაკობი გვაცნობს სამი წლს გოგონას ამბავს, რომლის ცნობიერებაშიც მოხდა საოცარი გარდატეხა. აქვე ნათლად ჩანს, ქართული კულტურის, ქართული ხმის ძალა. თუ რა შეუძლია დედის სიმღერას. ავტორს სათაური კითხვის სახით აქვს მოცემული - რა ჰქნა იავნანამო, მან გააკეთა ის, რომ იდენტობამივიწყებული გოგონას ცნობიერებაში გააღვიძა დამარხული წარსული.

ნაწარმოებს მთავარი სათაურის გარდა გააჩნია ქვესათაურებიც. პირველი ქვეთავი „სამშობლო ღვინისა“ გვაცნობს კახეთს და მის სილამაზეს, იმ კუთხის აღწერით იწყება ნაწარმოები, რომელშიც ხდება მოქმედება. შემდეგ იგი გადადის კონკრეტული სოფლის ვაშლოვანის აღწერაზე და გვაცნობს არა მხოლოდ ამ სოფლის ბუნებას, არამედ მასში მცხოვრებ ხალხსაც. ამ ქვეთავს ეწოდება „სოფელი ვაშლოვანი“. როგორც იაკობ გოგებაშვილი ამბობს, სოფელს დასავლეთით ვენახები ერტყა, აღმოსავლეთით ტყე, აქვე ამოჩუხჩუხდებოდა ანკარა წყარო. სახლები ქვითკირის გახლდათ და საკმაოდ შეძლებული სოფელიც ყოფილა. აქვე ავტორი ახსენებს იმასაც, რომ უწინ კახეთში არ იცოდნენ რა იყო ვაჭრის ვალიო და წინ წამოწევს ახლანდელ პრობლემას, ვაჭრების ხელში ჩავარდნილ კახელებს. ბურჟუაზია არ აღმოჩნდა სიკეთისმომტანი საზოგადოებისთვის და მისი მარწუხები ყელში უჭერდა ქვეყანას. ამ თავშივე ვეცნობით ზურაბ ქართველაძეს, „რომელიც განთქმული იყო მთელს კახეთში თავისი სიმდიდრით და პურადობით“. (გოგებაშვილი,1982:416) ავტორი გვაძლევს ცნობებს მისი მეუღლის მაგდანის შესახებაც, რომელიც ოქროს გულის პატრონი იყო. „მათ სახლში ყოველდღე იმდენი საჭმელი კეთდებოდა, რომ ორ-სამს სახლობას ეყოფოდა, მაგრამ ხშირად დააკლდებოდათ ხოლმე საჭმელი და გაუმაძღარნი რჩებოდნენ. ამის მიზეზი იყო მეტად კაცთმოყვარე გული მაგდანისა. ის უხვად უგზავნიდა თავისი სახლიდან სანოვაგეს ყოველს ავადმყოფსა, ღარიბსა და

გაჭირვებულსა. ამასთან მაგდანას ჰქონდა საოცარი ხმა და განთქმული იყო მთელს იმ მხარეში თავისი მშვენიერი სიმღერით“. (გოგებაშვილი,1982:416) სწორედ ეს საოცარი ხმა და სიმღერა ითამაშებს გადამწყვეტ როლს ნაწარმოების ფინალში. დედის იავნანა ძალიან უყვარდა თურმე პატარა ქეთოს, ზურაბისა და მაგდანის სამი წლის გოგონას, რომელიც უმშვენიერესი გახლდათ.

ლეკებისა და ქართველების ურთიერთობის შესახებ ვიღებთ ცნობებს შემდეგი ქვეთავიდან „ლეკები კახეთში“, რომელშიც ნათლად ჩანს, თუ როგორი ახლო და კარგი ურთიერთობა ჰქონდა ამ ორი ეროვნების ხალხს ერთმანეთთან. „ძველის დროიდან დაღესტანსა და საქართველოს შორის ტკბილი განწყობილება არსებობდა, დიდი მეგობრობა სუფევდა. ყოველს საქართველოს მტერს დაღესტანი მტრობას უწევდა; ყოველ საქართველოს მეგობარს მოყვრულად ექცეოდა“. (გოგებაშვილი,1982:416) აი ნათელი მაგალითი იმისა, რომ ლეკნი და ქართველნი ერთმანეთის გვერდში იდგნენ. მაგრამ აქ უკვე იკვეთება ვინ არის მტერი. იგია სპარსეთი, მაჰმადიანური სახელმწიფო, რომელმაც მტრად გადაგვკიდა ლეკებთან. მათი მაჰმადიანობის მიღებით.

ქვეთავი „ქეთოს იტაცებენ“ ეხება ორი, როგორც ავტორი ამბობს ბაჯაჯგუნა, ლეკის მიერ ზურაბისა და მაგდანის გოგონას მოტაცებას. მათ ეს გააკეთეს ანგარების გამო. ქართველაძე მდიდარია და ძვირფასეულობას არ დაიშურებს საკუთარი შვილისთვისო. მათთვის ადამიანის გატაცებით სწრაფად გამდიდრება უფრო მარტივია, ვიდრე ხანგრძლივი შრომა. ლეკები ჩუმად ტყეში მიეპარნენ ქეთოს და მოიტაცეს.

შემდეგი ქვეთავს ეწოდება „მდევარი“. ამ თავში მშობლები უკვე გაიგებენ თავიანთი ერთადერთი ქალიშვილის მოტაცების ამბავს და მდევარს დაადევნებენ გამტაცებლებს, თუმცა ამაოდ. დაღესტნისაკენ მიმავალი გზა საკმაოდ ვიწროა, იქ გამვლელმა გზა კარგად უნდა იცოდეს. ლეკები თვალდახუჭულნიც გაიგნებდნენ გზას, ამიტომაც დიდი მანძილით გაუსწრეს ზურაბსა და მის მდევარს. მათ მეორე დღესვე გადაიყვანეს ქეთო დაღესტანში. გაწბილებულ მამას კი სახლში ხელცარიელი დაბრუნება მოუწია. „ქეთოს ნაიბი ყიდულობს“ ეს ქვეთავი ეხება, დაღესტნის ერთ-

ერთ სოფელში მცხოვრებ მდიდარ ნაიბს და მის მეუღლეს. „ლეკებმა პირველად ქეთო გაატარეს ერთ დიდ დაღესტნის სოფელზე, რომელიც იყო აქეთ ნაპირას, კახეთის საზღვარს ახლო. ამ სოფელში ცხოვრობდა ერთი მდიდარი ნაიბი, რომელსაც ემორჩილებოდ მთელი დასავლეთის მხარე დაღესტნისა. მას ჰყავდა ცოლად ლეკისავე ქალი, შემკული ერთსა და იმავე დროს ვაჟკაცურის გამბედაობითა და მეტად ნაზი გულით. ესენი იყნენ დიდი ხნის ნაქორწილავნი, მაგრამ შვილი კი არ ჰყავდათ და გადაწყვეტილი ჰქონდათ, ვისიმე ბავშვი ეშვილათ“ (გოგებაშვილი,1982:416).

სწორედ აი ამ ოჯახთან ჩაიარეს ლეკებმა და ნაიბმა და მისმა ცოლმაც დაინახეს გუდაში მოქცეული ლამაზი გოგონა, მოუხმეს ლეკებს, გამოკითხეს ბავშვის ამბავი და ამგვარი მანკიერი თვისებებით შემკული ლეკებისგან სხვას რას უნდა მოველოდეთ თუ არა ტყუილს. მათ თქვეს, რომ ბავშვი შემთხვევით იპოვეს ტყეში. ნაიბმა ოქროს სანაცვლოდ დაიტოვა ბავშვი.

თვიდან ქეთო საკმაოდ ცივად ექცეოდა ოჯახს, თუმცა აქ ჩანს თუ რა ძალა აქვს გულწრფელ სიყვარულს. იმდენად დედობრივ-მამობრივი სიყვარულით ექცეოდნენ ბავშვს, რომ მისი გული მალე მოიგეს.

აი ამის შემდეგ ვეცნობით, თუ როგორ იქცა ქართველი გოგონა ლეკ ქალად. შემდეგი ქვესათაურიც ასეთია „ქეთო ლეკ ქალად იქცა“. ახლანდელი რეალობა კი სრული ძალით მოქმედებს მასზე და იჭერს წარსულის ადგილს მთლად განუყოფლად. ქეთომ მიიღო ნაიბი და მისი მეუღლე ნამდვილ მშობლებად. მან დაივიწყა ვაშლოვანი, მხოლოდ ერთ ნაკლოვანებას განიცდის და ესაა ღვიძლი დედის, მაგდანის ხმა. ქართულმა კულტურამ, მშობლის ტკბილმა იავნანამ იმხელა გავლენა მოახდინა ქეთოზე, რომ სამი წლი ასაკში მოსმენილი ხმა წლების შემდეგ ძალიან აკლდა. მაშინ პატარა იყო მაგრამ მის ფსიქიკაზე მისთვის სასიამოვნო მშობლის ხმამ მაინც იმოქმედა. აი მაგალითი იმისა, რომ საწყისი ეტაპიდანვე უნდა დავიყოთ ბავშვის სწორად აღზრდა და სწავლება. იგი ამ ასაკშიც კი იმახსოვრებს მისთვის ღირებულს.

შემდეგი ქევსათაურია „ამაო ცდა ქეთოს მამისა“. ამ თავში ავტორი სვამს კითხვას, თუ რას აკეთებდა ქეთოს დედ-მამა ამ ხნის განმავლობაში. ისინი, სასოწარკვეთილნი დიდხანს დაეძებდნენ ქალიშვილს შუაგულ დაღესტანში. ამ ძიებაში გაიარა წლებმა, ერთი დღეც არ გასულა შვილზე ფიქრის გარეშე. ბოლოს კი ქართველაძემ, თავისი ნაცნობი ლეკისგან შეიტყო ქეთოს ადგილსამყოფელი, რომ იგი მდიდარ ნაიბს ეშვილებინა. შეუთვალა ზურაბმა მას. შენ რომ შვილად ზრდი ეგ ჩემი ქალიშვილია, ოღონდ დამიბრუნე და რასაც გინდა მოგცემო. ნაიბმა კი გულწრფელად უპასუხა, თავდაპირველად რომ გამეგო ეს გოგონა შენი შვილია, აუცილებლად დაგიბრუნებდიო ახლა კი ჩვენ ის ძალიან გვიყვარს და ვერანაირი სიმდიდრის ხარჯზე ვერ დაგიბრუნებთო. რა ექნა ნაიბსაც მოტყუვდა თავის დროზე, ახლა კი შვილივით შეიყვარა ქეთო, მაგრამ რა უნდა ექნა ღვიძლს მამას, რომელსაც გოგონა ხელიდან გამოსტაცეს. სხვა გზა არ იყო ზურაბს ქეთო უნდა მოეტაცა, მაგრამ ნაიბის ხალხის წინააღმდეგობის გამო თავდაპირველად ეს ვერ მოახერხა. ნათქვამია „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო“ და ქართველაძემაც ხერხს მიმართა. ხმა დაყარა თითქოს თავის შვილზე გული აიცრუა. ნაიბი არც დაიჯერებდა ამ ამბავს, მაგრამ ზურაბმა წარმოუდგენელი მოთმინება გამოიჩინა და ორი წელი ელოდა საჭირო მომენტს.

დიდხნიანი ლოდინის შემდეგ მამამ მაინც მოახერხა ღვიძლი შვილის მოტაცება. ამას ავტორი გვიყვება ქვეთავში „ქეთოს მამა იტაცებს“. ქართველაძემ ნაცობი ლეკის მეშვეობით გაიგო ქეთოს განრიგი, დაუდარაჯდა მას ტყეში და დედასთან წაიყვანა. რა თქმა უნდა ახლანდელი ქეთოსთვის, რომელსაც კი არ ამოეშალა, თავის გონებაში დაემარხა წარსული, ეს ყოველივე გაუგებარი იყო. ვერ მიხვდა ვინ იყო ეს კაცი და რას ითხოვდა მისგან. დრო აღარ იცდიდა. ზურაბმა ხელი მოჰკიდა და ძალით წამოიყვანა.

„ქეთო საშინლად იტანჯება“ ნაწარმოების შემდეგი ქვესათაურია, რომლისგანაც უკვე ვიგებთ ქეთოს მდგომარეობას. იგი მიიყვანეს ოჯახში ანახეს ყველაფერი, რასაც შეეძლო მისთვის წრსული მოგონება გაეღვიძებინა, მაგრამ ვერაფერი. გოგონას მჭიდროდ გამოეკეტა მისი წარსული და მხოლოდ აწმყოთი ცხოვრობდა. მშობლად აღიარებდა ნაიბსა და მის მეუღლეს და სხვა არაფერი უნდოდა გარდა თავის

სოფელში, ოჯახთან დაბრუნებისა. გულმოკლულ ღვიძლ მშობლებს, ქეთოს მდგომარეობა კიდევ უფრო უკლავდა გულს. სარკესთანაც დააყენა მეზობლის რჩევით მაგდანმა ქეთო, რათა შეეხედა ჯერ მაგდანისთვის, შემდეგ საკუთარი თავისთვის, მაგდანში ამოეცნო დედა საკუთარ თავში შვილი და ქართველი. მაგრამ ქეთოს სარკისთვის არც შეუხედავს. აქვე იკვეთება მშობლის სიყვარულის ორი სახე. ერთი მამის ზურაბის სიყვარული, რომელიც მზადაა საკუთარი შვილი დაუბრუნოს ნაიბსა და მის ცოლს, ოღონდ კი ბედნიერი იყოს. შვილის ბედნიერებისთვის სწირავს საკუთარ ბედნიერებას და მეორე მაგდანის სიყვარული ცოტა ეგოისტურიც, რომელიც „ესე ადვილად ვერ დასთმობდა ქეთოსა და მზად იყო ისევ თავის ახლო დაემარხა თავისი ერთადერთი შვილი, ვიდრე გაეგზავნა, ხელმეორედ და სამუდამოდ დაღესტანში“. (გოგებაშვილი,1982:425)

მაგდანი იმედს არ ჰკარგავდა და ღვიძლ მშობლებს ბოლოს სურვილი აუხდათ.“იავნანამ რა ჰქმნა“ შემდეგი თავის ქვესათაურიცაა და ამ კითხვაზე პასუხს თვალნათლივ გვიჩვენებს. იავნანამ ბავშვს ცნობიერებაში მივიწყებული წარსული მოაგონა. სხვა ვერაფერმა, მხოლოდ ტკბილხმოვანებამ დააბრუნა ქეთო. დაიწყო თუ არა მაგდანიმ მისი ტკბილი ხმით სიმღერა ქეთოს გონებაში ამოუტივტივდა ყოველივე. გადაეხვია დედას, შემდეგ ოთახში შემოსულ მამას, ჩაიცვა ქართული ტანისამოსი დადგა დედასთან ერთად სარკესთან, დაინახა მაგდანში საკუთარი თავი და ძალიან გაიხარაშვილმაც და მშობლებმაც. აი რა ძალა აქვს ქართულ სიტყვას, ქართულ, მშობლიურ სიმღერას. თუმცა ავტორს ეს ამბავი მოაქვს არა მხოლოდ ქართული კულტურის მნიშვნელობის ნათელსაყოფად, არამედ ბავშვის ფსიქოლოგიაზე, ოდესღაც შეთვისებული და მივიწყებული წარსულის გამოღვიძებაზე.

და მისი დედობილ-მამობილი“. ამ თავში კარგად ჩანს ქეთოსა და მისი მშობლების პატივისცემა ნაიბისა და მისი ცოლის მიმართ. მაგდანის დიდსულოვნებას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ სწორედ მან შესთავაზა ქეთოს დედობილ-მამობილი რთველზე მათთან მიეწვიათ. იგი მიუხვდა შვილს ფიქრებს, თუ როგორ ენატრებოდა თავიანთი გამზრდელნი. თან ქეთოს დამოკიდებულებიდან მიხვდნენ მათ კეთილსინდისიერებას და კახეთში იხმეს. ნაიბმა და მისმა ცოლმა

ძალიან გაიხარეს, როცა მოწვევა მიიღეს. მათ შვილი ძალიან ენატრებოდათ. ეწვივნენ ქართველაძის ოჯახს. დაუმეგობრდნენ ზურაბსა და მაგდანს და ქეთოს ბედნიერებასაც საზღვარი არ ჰქონდა, როცა ოთხ საყვარელ ადამიანს მის გვერდით ხედავდა. იმაზე დიდებული რა უნდა ეთქვა იაკობ გოგებაშვილს, ვიდრე „სიყვარული შობს სიყვარულსაო“. (გოგებაშვილი,1982:429)

და ბოლოს ავტორი ამ ნაწარმოებს ახალგაზრდებისადმი მიმართვით ასრულებს. ისურვებს, რომ მათ გულშიც გაედგას მოყვასთა სიყვარულს ფეხი. იმ პერიოდში ხომ გაუტანლობა ქართველთა შორის ჩვეულ მოვლენად ქცეულიყო და თუ არა ერთმანეთის სიყვარულს, სხვას რას ისურვებდა იაკობ გოგებაშვილი.

ეს ნაწარმოები საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ბავშვს მოყვასი დაანახოს არა მხოლოდ საკუთარი ეროვნების ადამიანში, არამედ სხვა ერის შვილშიც. მთავრი კეთილი გული და გულწრფელი სიყვარულია.

იაკობ გოგებაშვილის „საგანძურში“ საბავშვო ხასიათის ნაწარმოებები დაყოფილია პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

პატარებისთვის ავტორი წერს მცირე ზომის ნაწარმოებს, რომელშიც სულ რამდენიმე წინადადებით ახერხებს მოსწავლეებისთვის გონებრივი საზრდოს გადაცემას. ერთ-ერთი ასეთი ნაწარმოებია „ვანო და ჩიტი“. მასში საუბარია, რომ პატარა ვანომ დაიჭირა ჩიტი, ხეზე თავდაღმა დაკიდა და არც კი შეებრალა, როცა იგი იტანჯებოდა. ამ აბავს შეესწრება კეკე, რომელიც ჩიტს ჩამოხსნის და გაუშვებს. ამის დანახვაზე ვანო იწყებს ღრიალს, თუმცა მას არავინ შეიბრალებს. აი, სულ ესაა ეს მოთხრობა, სულ რამდენიმე წინადადებით ამოიწურება იგი. პატარა მკითხველს მან უნდა გაუღვივოს სიკეთის გრძნობა, სიყვარული ფრინველისადმი და გაჭირვებაში მყოფი არსების დახმარების სურვილი. დასვას თავის თავში კითხვა, რატომ არავინ შეიბრალა ვანო? და მივიდეს იმ პასუხამდე, რომ ვანო ცუდად მოიქცა. დადებითად განეწყოს კეკეს მიმართ, რომელიც კეთილია და ტანჯულ ფრინველს ეხმარება. რამხელა სიბრძნეა ჩადებული ამ მცირე ნაწარმოებში. იაკობი მისთვის დამახასიათებელი მარტივი ენით, მსუბუქად ცდილობს, შეაცნობინოს ბავშვს თუ რა არის არასწორი ქმედება და რა არის სწორი, გააგებინოს ისიც, რომ ვინც არასწორად

იქცევა ის სხვების მხრიდან თანაგრძნობას არ იმსახურებს. ამას ავტორი არ ამბობს თავად. დასკვნის სახით არ უწერს ბოლოს პატარებს, თუმცა მოთხრობის შინაარსი ნათლად გვაგრძნობინებს, ავტორის მთავარ იდეას და იაკობის მიზანიც ესაა -პატარა მკითხველმა თავად ამოიცნობს ნაწარმოების დედააზრი.

ასევე მცირე ზომის ნაწარმოებია „სწავლაზე ზარმაცი, ლეკურზე მამაცი“, რომელშიც საუბარია პატარა ვანოზე. მას ეუბნებიან სკოლაში წადიო, თუმცა იტყუება, რომ თითქოს ფეხები სტკივა, მისი ტყუილი გამოაშკარავდება მაშინ, როცა ეტყვიან მოდი ლეკური დაუარეო და ესეც ტაშის შემოკვრას სთხოვს. აქ პირველ რიგში თვალში გვხვდება ის ფაქტი, რომ ქართული ხალხური ანდაზისა არ იყოს „ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“. ამ მცირე ნაწარმოებით ბავშვი ხდება, რომ ტყუილი მაინც გამოაშკარავდება და სხვების მოტყუება არ ღირს. მით უმეტესს, როცა საქმე სკოლაში წასვლას ეხება. სკოლა ხომ მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო კერაა ბავშვისა. ანუ ამ ნაწარმოების მთავარი იდეაც ისაა, რომ პატარებს შეაგნებინოს ტყუილი, როგორც უარყოფითი მხარე.

ასევე პატარებისთვის ერთ-ერთი მცირე მოცულობის და დიდი აზრის მქონე ნაწარმოებია „ზარმაცი და ბეჯითი“, რომლის მეშვეობითაც ბავშვები იგებენ თუ როგორია ზარმაცი ადამიანი და როგორია ბეჯითი. სანდრო თავის დას, კეკეს, ეუბნება მოდი ჯერ ვითამაშოთ და მერე წავიკითხოთო. კეკე კი მიუგებს, რომ ჯერ ვიკითხოთ და ამის შემდეგ ვითამაშოთო. სათაურიან უკვე ვიგებთ თუ როგორ ადამიანებზე იქნება საუბარი ამ მოთხრობაში, შემდეგ ბავშვი წაიკითხავს სანდროსა და კეკეს შეხედულებებს და დაფიქრდება თუ როგორი ბავშვია ზარმაცი: ის, ვისაც ჯერ თამაში უნდა და მერე წაკითხვა, ანუ სწავლა უკანა პლანზე აქვს გადმოწეული, თუ ის ვინც მეცადინეობას თამაშზე წინ აყენებს. ან რომელია ბეჯითი. ბავშვი თავად უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე და გააცნობიეროს, რომ სანდრო ზარმაცია, კეკე კი ბეჯითი, რომელიც მეცადინეობაზე ფიქრობს და არა თამაშზე. ანუ იმისათვის, რომ ბეჯითები ვიყოთ აუცილებელია ვიფიქროთ ჯერ, პირველ ყოვლისა სწავლაზე და მხოლოდ ამის შემდეგ თამაშზე. აი რა უნდა გააცნობიეროს ბავშვმა.

ზარმაც ადამიანს ეხება შემდეგი ნაწარმოებიც „მუქთამჭამელა“. სათაურიც გვამცნობს თუ როგორ ადამიანზე იქნება საუბარი. ამ მოთხრობას თითქოს ზღაპრული შესავალი აქვს: „იყო ერთი ზარმაცი მუქთამჭამელა ბიჭი“. ამგვარ შესავალს ავტორი ბავშვების დასაინტერესებლად მიმართავს. შემდეგ აგრძელებს, რომ ეს ბიჭი ყველას აბუჩად ჰყავდა აგდებული. ბოლოს მან გამოსავალი ტანისამოსის შეცვლაში ჰპოვა. ჩოხის მაგივრად სერთუკი ჩაიცვა, ეგონა პატივს მოიხვეჭდა, მაგრამ სულ ამაოდ. უფრო მეტად დასცინეს და უთხრეს, რომ პატივს მხოლოდ მაშინ მიაგებდნენ, როცა ტანისამოსის მაგივრად, ხასიათს შეიცვლიდა და გაისარჯებოდა. ამ ნაწარმოებმა უნდა ასწავლოს ბავშვებს, რომ სიზარმაცე მანკიერი თვისებაა და ზარმაცი ადამიანი ხალხის პატივისცემას ვერ დაიმსახურებს. საზოგადოების პატივისცემა მხოლოდ გამრჯე და მშრომელი ადამიანის ხვედრია. ტანისამოსს არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია რას ვაკეთებთ და როგორ ვიქცევით. ამგვარი ნაწარმოებები იყო მცდელობა გამრჯე მომავალი თაობის ჩამოყალიბებისა.

ერთ-ერთი საინტერესო საბავშვო მოთხრობაა „უსუნო ყვავილი“. ეს ნაწარმოები დღესაც გვხვდება დაწყებით კლასებში და ის აზრი რასაც იგი ატარებს დღემდე აქტუალურია. უსუნო ყვავილის მაგალითზე ავტორი გვიჩვენებს კარგი ამხანაგების მნიშვნელობას. ამ ნაწარმოების შინაარსი ასეთია: ყმაწვილი მოგლეჯს მშვენიერ უსუნო ყვავილს და თავის ვარდის კონაში ჩაარჭობს. გარკვეული პერიოდის შემდეგ იგი ისევ ამოაძრობს ამ ყვავილს კონიდან და ნახავს, რომ მას ვარდის სურნელი გადასდებია. ნაწარმოების ბოლოს ყმაწვილი დასკვნის სახით ამბობს: „ ჰო, ახლა კი კარგად მივხვდი, რად მიირჩევს დედაჩემი კარგ ამხანაგებში ყოფნასო“ (იაკობ გოგებაშვილი, „უსუნო ყვავილი“) აი ნაწარმოების მთავარი აზრიც. აქ თითქოს ბავშვებისვის უფრო მარტივადაა საქმე. რად ურჩევს დედა ყმაწვილს კარგ ამხნაგებში ყოფნას? ურჩევს იმიტომ, რომ შვილი მათგან კარგ თვისებებს აიღებს, როგორც უსუნო ყვავილმა მიიღო ვარდის სურნელება, ასევე ბავშვი კარგ ადამიანებთან ურთიერთობით მიიღებს კარგ თვისებებს.

კეთილ საქმეს ასწავლის ბავშვებს მოთხრობა „კატო და კატა“, რომელშიც მოთხრობილია თუ როგორ გადაარჩინა კეთილმა კატომ პატარა ბარტყი, კატის კლანჭებიდან. ბანზე პურის მარცვლები ეყარა, იქვე მშიერი კატა იწვა და თვალები

დახუჭული ჰქონდა. ჩიტის ბარტყს ეგონა კატას სძინავსო და ბანზე მარცვლების ასაკრეფად დაჯდა. ავტორი ამბობს, რომ იქვე კეთილი კატო წინდებს ქსოვდა, მან იცოდა კატის ამბავი. აუქშია გამოუცდელ ბარტყს დააფრთხო და ასე გადაარჩინა სიკვდილს. ამ ნაწარმოებმა ბავშვებს უნდა გაუღიძოს სიკეთის ქმნის სურვილი. განსაცდელში მყოფი, თუნდაც ფრინველის, დახმარების სურვილი. ასევე ასწავლოს პატარებს თუ როგორ ადამიანს ეწოდება კეთილი. ავტორი კატოზე ამბობს, რომ ის კეთილია, ბავშვებს კი გამოაქვთ დასკვნა, რომ კატო კეთილია, რადგანაც იგი პატარა, გამოუცდელ ჩიტს დაეხმარა. ბავშვებსაც უნდა მოუნდეთ სხვების დახმარება.

აზრობრივი თვალსაზრისით საინტერესო ნაწარმოებია „თავისი თავის დასჯა“, რომელშიც ვეცნობით თუ როგორც ცდილობს დაზე გაჯავრებული პატარა ნიკო დის დასჯას. იგი მას ნაცარს ჩაუყრის საჭმელში, თუმცა და შენიშნავს ამ ყოველივეს და ჯამს შეუცვლის. საბოლოო ჯამში გამოვა, რომ სანდრომ მისი და კი არა საკუთარი თავი დასაჯა. აი რა მოსდის სამაგიეროს გადახდის სურვილს და მზაკვრულ ქმედებას, ამით ისევ საკუთარ თავს ვავნებთ და ვაზიანებით. ამ ნაწარმოების მიზანიც ესაა, რომ მოსწავლეებმა გაიაზრონ რა შედეგი მოჰყვება, სამაგიეროს გადახდის სურვილს.

ყბედ ადამიანებს ეხება შემდეგი ნაწარმოები „ყვავი და კაჭკაჭი“, რომელშიც საუბარია კაჭკაჭზე, რომელიც ტოტიდან ტოტზე მოუსვენრად დახტის და ყბედობს და ყვავზე, რომელიც გაჩუმებული ზის. როცა კაჭკაჭი კითხავს რატომაა გაჩუმებული, ნუთუ მისი ნათქვამის არ სჯერა. იგი მიუგებს, რომ მისი არაფერი სჯერა, რადგანაც ვინც შენსავით ყბედობს ის ბევრს ტყუისო. ეს ნაწარმოები პატარებს ასწავლის თუ რას გულისხმობს ყბედობა და როგორი მანკიერი თვისებაა. ლაქლაქა ადამიანი ბევრს იტყუება, მისი არაფერი დაიჯერება და შესაბამისად არც მასთან საუბარი ღირს.

საინტერესო ნაწარმოებია „ოფოფი“, რომელიც აღწერითი ხასიათისაა. იგი მოსწავლეებს ამცნობს თუ როგორია ოფოფი, სად ცხოვრობს იგი და როდის მოდის ჩვენთან. ავტორი ამბობს, რომ ოფოფი ცხოვრობს მინდორსა და ტყეში და ამიტომაც იგი გარეულ ფრინველად ითვლებაო. ანუ აქვე მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას, თუ რას ნიშნავს გარეული ფრინველი. შემდეგ ამბობს, რომ იგი მომცრო ტანისაა, აქვს

ქოჩორი, რომელსაც სავარცხელი ეწოდება, აქვს წვრილი და მოგრძო ნისკარტი. ჩვენთან იგი გაზაფხულზე გვხვდება, ხოლო შემოდგომაზე თბილ ქვეყნებში მიდის. ბავშვი იგებს ინფორმაციას იმის შესახებაც, რომ შემოდგომაზე ფრინველები თბილი ქვეყნებისკენ მიფრინავენ.

იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნის მოთხრობა „თავნება თაგვი“, რომელშიც აღწერილია თუ რა დაემართა ახალგაზრდა, გამოუცდელ თაგვს, რომელმაც უფროსების დარიგება არ დაიჯერა. როგორც ავტორი ამბობს, თაგვებს სორო გაეკეთებინათ ერთ სახლთან ახლოს და ამ სოროდან ყოველ მხარეს თხრიდნენ მიწას. მხოლოდ ერთ მხარეს ერიდებოდნენ ისინი. ამ თაგვებში ერია ერთი თავნება თაგვი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ სწორედ, ამ მხარეს გაეთხარა მიწა იმ იმედით, რომ ქონს მოიპოვებდა. დაარიგა უფროსმა და გამოცდილმა თაგვებმა, მაგ მხარეს ქონის მაგივრად კატას გამოთხრიო, მაგრამ მან არ დაიჯერა. ის კი არა, თქვა რა იციან მაგ ბებრუცუნებმაო და თხრა დაიწყო. საბოლოო ჯამში კატის კლანჭებში ამოჰყო თავი. სიკვდილის პირას მყოფი კი ძალიან ნანობდა თავის შეცდომას, უფროსებმა კარგი დარიგება მომცეს მე კი არ გავუგონეო, თუმცა უკვე გვიანღა იყო. ეს მოთხრობა ბავშვებს ასწავლის, რომ უფროსების, მათზე გამოცდილების რჩევა-დარიგებას უნდა დაუჯერონ, თორემ თუ მათი უმსგავსო ქმედებით თავს საფრთხეში ჩაიგდებენ, მერე უკვე გვიანი იქნება. თავიდანვე უნდა მივაქციოთ უფროსის სიტყვას ყურადღება. წაიკითხავს ამ პატარა ნაწარმოებს ბავშვი და უთუოდ გააცნობიერებს, რომ უფროსის დარიგება აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

თუ რა მოსდის გამოუსადეგარ არსებას ამას კარგად ვიგებთ ნაწარმოებში „მჩხავანა კატა“. ერთ სახლში თაგვები მომრავლდნენ და სწორედ ამის გამო, სახლის პატრონმა კატა მოიყვანა. ეს კატა, როგორც ავტორი ამბობს „ახირებული ზნის გამოდგა“. ისე ფეხს არ მოიცვლიდა, რომ არ დაეჩხავლა, თითქოს თავმომწონედ. მაგრამ ამ თავისი ჩხავილის და ზნის გამო თაგვები ხვდებოდნენ კატის მოახლოებას და შესაბამისად ხელიდან უსხლტებოდნენ. საბოლოოდ პატრონმა კატა სახლიდან გააგდო. აი რა მოსდის უსარგებლო არსებას. ბავშვებიც მიხვდებიან, რომ კატა ზარმაცი იყო, იგი მოიყვანეს გარკვეული საქმის შესასრულებლად, თუმცა არაფერს

აკეთებდა. უმაქნისს არსებას კი ეს ბოლო ელის. აქედან მოსწავლეები გაიაზრებენ გამრჯე არა მხოლოდ ცხოველის, არამედ ადამიანის მნიშვნელობას.

კეთილი საქმის ძალას გვიჩვენებს ნაწარმოები „მეზობლები“. რომელშიც საუბარია, რომ ივანეს ცხენი გადავიდა მეზობლის ყანაში. მეზობელი ერთისამად გადაახდევინებს ზარალს. გარკვეული პერიოდის შემდეგ ივანეს ბოსტანში ჩავა მეზობლის ხბო. სულ აუოხრებს ბოსტანს, თუმცა ივანე დაიჭეს, დაუბრუნებს ხბოს მეზობელს და ეტყვის: „აი, შენი ხბო, ჩემი ბოსტნიდან მოგიყვანე, ჩაიბარე, მეზობლებს ჩხუბი და ჯიბრი არ შეშვენითო! (იაკობ გოგებაშვილი,“მეზობლები“) ეს ქმედება გულს მოულბობს მეზობელს, შერცხვება თავისი საქციელის, შეაქებს ივანეს, ცხენის ფულს უკანვე დაუბრუნებს და გადაწყვეტს, როგორც კარგ მეზობლებს შეშვენის ისე იცხოვრონ, ისე მეგობრულად. ხომ შეეძლო ივანეს სამაგიერო გადაეხადა. ხბომ მთლიანად გაუნადგურა ბოსტანი, თან იმ მეზობლის ხბომ, რომელმაც მას, ცხენის გამო ფული გადაახდევინა. მაგრამ ივანე კარგი ადამიანია. ის რომ ასე არ მოქცეულიყო მეზობელი ვერასდროს გააცნობიერებდა თავის დანაშაულს. ამ ნაწარმოებით ბავშვები სწავლობენ თუ რა ძალა აქვს კეთილ საქმეს. თუ ადამიანი უღირსად იქცევა, ჩვენც მასსავით არ უნდა მოვიქცეთ. სამაგიეროს გადახდით იგი ვერ გააცნობიერებს საკუთარ დანაშაულს, პირიქით უფრო მეტი ქიშპი ჩამოვარდება. მხოლოდ ღირსეული ქმედება დაანახებს ადამიანს თავის შეცდომას. აქვე ბავშვები იგებენ თუ როგორი ურთიერთობა შეჰფერის კარგ მეზობლებს. როგორც ავტორი ამბობს ისინი მეგობრული დამოკიდებულებით უნდა იყვნენ ერთმანეთის მიმართ.

იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნის მოთხრობა „ჩხუბს თავლფიანობა მოსდევს“. სათაურიდანაც ვიგებთ ნაწარმოების მთავარ აზრს. ორმა ბიჭმა გზაზე დამპალი თოკი იპოვა. არცერთმა არ დათმო. ორივე თავისკენ იწევდა თოკს. ბოლოს თოკი გაწყდა და ორივე წუმპეში ჩავარდა. საბოლოოდ თოკით ვერ ისარგებლა ვეცერთმა. მიუხედავად იმისა, რომ თოკი დამპალი იყო მაინც ორივე ჩემულობდა. ჰოდა სწორედ ამგვარ საკითხზე ჩხუბს მოსდევს თავლაფიანობა. ავტორი ბავშვებს ეუბნება, რომ ზოგი რამ უნდა დავთმოთ. არ ღირს ყველაფერზე ჩხუბი, თორემ შესაძლოა ცუდ შედეგამდე მივიდეთ. ანდა რაში ჭირდებოდა ბავშვებს თოკი, რომელიც დამპალი იყო. უაზრო კამათის ბოლო კი ეს არის.

„მელია და ქოთანი“ იაკობ გოგებაშვილის კიდევ ერთი საინტერესო ნაწარმოებია. მასში მოთხრობილია თუ როგორ შეეცდება მელია გლეხის მაწვნის შეჭმას. იგი ჩაყოფს ქოთანში თავს, შეჭამს კიდეც მაწონს, თუმცა თავი გაეჭედება და ველარ ამოიღებს. ეუბნებოდა ქოთანს გამიშვიო, თუმცა ქოთანი არ ეშვებოდა და აი რა მოუტანა საბოლოოდ სიბრაზემ. მელია გაჯავრდა და მისი ჭკუით ქოთნის მდინარეში დახრჩობა გადაწყვიტა. ქოთანი ჩაიძირა და ისიც თან გაიყოლა. აი რა მოჰყვება ცხელ გულზე მიღებულ გადაწყვეტილებას. სიფიცხემ მელია დაღუპა. ამიტომაც ეს ნაწარმოები ბავშვებს ასწავლის პირველ რიგში იმას, რომ სხვისი საკვები არ უნდა მოვიპაროთ და მეორე სიბრაზემ არ უნდა გვიბიძგოს ისეთი ქმედებისკენ, რომელიც ჩვენთვისაც დამღუპველი იქნება.

მეგობრობის და ერთიანობის მნიშვნელობას გვიჩვენებს ნაწარმოები „კოჭლი და ბრმა“. კოჭლი და ბრმა მდინარეს მოადგნენ. გასვლა ვერ მოახერხეს და დაღონდნენ. გამოიარა მესამემ და ამბავი გამოჰკითხა. მათ კი უპასუხეს, რომ ერთს უფეხობა უშლიდა მდინარეზე გასვლას, მეორეს კი უთვალობა. მგზავრმა უთხრა. ერთმა მეორეს ფეხები ათხოვოს მეორემ კი თვალებიო და ასე გახვალთო. დაუჯერეს მგზავრს და მართლაც გადალახეს მდინარე. ერთმანეთის გვერდში დგომით და ერთმანეთის ძლიერი მხარეების გამოყენებით ყველაფერს შევძლებთ. მთავარი მოფიქრება და გვერდში დგომაა. აი რა უნდა ჩაუნერგოს ამ პატარ მოტხრობამ პატარა მკითხველებს.

„თაგვები და კატა“ იაკობ გოგებაშვილის საბავშვო ნაწარმოებთაგან ერთ-ერთია, რომელიც დღემდე გვხვდება სასწავლო სახელმძღვანელოებში. მასში საუბარია, თუ როგორ შეუქმნა პრობლემები კატამ თაგვებს. დღე არ გავიდოდა, რამდენიმე რომ არ მოეგდო კლანჭებში. ამ ამბისაგან დაღონებულმა თაგვებმა გადაწყვიტეს მისგან თავის დასაღწევად რამე მოეფიქრებინათ. ამ დროს ერთი ყმაწვილი თაგვი წამოაყენებს კატისთვის ეჟვანის შებმის იდეას, რათა მისი მოახლოება შეეტყოთ და დამალულიყვნენ. მაგრამ,როცა მოხუცმა თაგვმა იკითხა თუ ვინ აიღებდა საკუთარ თავზე კატისთვის ეჟვანის შებმას, ყველას შეეშინდა და სოროებში მიიმალა. ამ ნაწარმოებიდან ნათლად ჩანს, ბაქიაობა ყველას შეუძლია, თუმცა რეალური საქმის გამკეთებელი არავინაა. შიში აიძულებს თაგვებს

დაემორჩილონ არსებულ რეალობას და კატას, მათზე ძლიერს, წინააღმდეგობას ვერ უწევენ. მართალია ყმაწვილმა თაგვმა თითქოს მოიფიქრა ხერხი კატისგან თავდახსნისა, თუმცა განხორციელება არავის არ შეეძლო.

საბავშვო მოთხრობა „ვანო და ქალაქი“ უფრო ინფორმაციული ხასიათისაა. ბავშვებს აცნობს პატარა ვანოს თვალით დანახულ ქალაქს და სოფელთან შედარებასაც ვხვდებით. ერთ დღეს პატარა ვანო მამას ქალაქში წაყვანას სთხოვს. მამაც დასთანხმდება. ქალაქს, როდესაც მიუახლოვდებიან ბიჭი იკითხავს, ყვითლად და თეთრად რა ბრჭყვიალებსო. მამა მიუგებს, რომ ესაა საყდრები და ბიჭი კიდევ უფრო მეტად გაოცდება, თუ რად უნდათ ამდენი საყდარი, განა ჩვენსავით ერთი საკმარისი არ არისო. მაგრამ მამა აუხსნის, რომ აქ მათ სოფელზე ბევრად მეტი ადამიანი ცხოვრობს და შესაბამისად მეტი ტაძარი სჭირდებათ. როცა ქალაქიდან გამოვლენ ვანოს ჰკითხავს მამა, თუ როგორ მოეწონა ქალაქი. ის კი მიუგებს, რომ მართალია მოეწონა, თუმცა აქ ვერსად დაინახა ბოსტნები, ბოსლები ვენახები. მამა კი აუხსნის, რომ ქალაქში ხალხი სულ სხვა საქმიანობას ეწევა და ფულს შოულობენ ვაჭრობით, ხელოსნობით და სოფლელებისგან ყიდულობენ პურს, საკლავს და სხვა.

ამ ნაწარმოების წაკითხვის შემდგომ მოსწავლეს გაუჩნდება გარკვეული დამოკიდებულება, შეექმნება წარმოდგენა ქალაქის თუ სოფლის მიმართ.

იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნის საბავშვო ნაწარმოები „თხა და გიგო“, რომელშიც კარგად ჩანს თუ რა მოსდის მატყუარა და ზარმაც ადამიანს. პატარა გიგომ ხალხისთვის თვალის ასახვევად გამოიტანა გარეთ წიგნი და ვითომ კითხულობდა, სინამდვილეში კი წიგნი უკუღმა ედო და უბრალოდ შიგნით იცქირებოდა. უნდოდა ყველას ეთქვა რა ბეჯითი ბიჭიაო.მაგრამ სულ ამაოდ. მას მალე ძილი მოერია, თავის ქნევა დაიწო, ამ დროს მეზობლის თხა გამოვიდა, იფიქრა ჭიდაობაში მიწვევსო. დაეტაკა და ააღრიალა ჩვენი ზარმაცი გიგო. აი რა მოსდის თავის მოსაჩვენებლად, ვითომ საქმის კეთებას, ვითომ ბეჯითობას. ამ მოთხრობით იაკობი ცდილობს ბავშვებს გააგებინოს თუ რა შედეგი მოჰყვება მათ სხვის დასანახად მეცადინეობას. ბეჯითი იქნები მაშინ, როცა წიგნს მართლაც წაიკითხავ და არა სხვისთვის, არამედ საკუთარი სიამოვნებისა და ინტერესისთვის.

„საგანძურში“ მოზრდილებისთვის შეტანილია მცირე ზომის მოთხრობა „გულკეთილი ქვრივი“. ამ ნაწარმოებშიც მეორდება აზრი იმის შესახებ, რომ ბოროტებაზე სიკეთით პასუხი მეტად დადებითი შედეგის მომტანია ვიდრე სამაგიეროს გადახდა. იაკობი ასწავლის ბავშვებს, რომ ადამიანმა, რაც არ უნდა გაგვიკეთოს, ჩვენ მაინც კეთილად უნდა მოვექცეთ და ღვთის წინაშე ვიყოთ მართალნი. ნაწარმოების დასაწყისში, ქვრივის დახასიათებისას ავტორი ამბობს: „ქვრივი ბოროტისათვის ბოროტს არას დროს არ უზამდა ადამიანს, პირიქით ცდილობდა, სიკეთე ექმნა და ამ გზიტ მტერი მოყვარედ გადაქცეოდა“ (გოგებაშვილი,1982:31). იგი ღვთისნიერი ადამიანია. იმ სოფელში სადაც ქვრივი ცხოვრობდა გადმოდიოდა მხოლოდ ერთი რუ და სოფლელები რიგრიგობით იყენებდნენ მას ბოტანისა თუ ყანის მოსარწყავად. ქვრივის ჯერიც დადგა, მან წყალი მთელი ღამით მიუშვა და დატოვა თავის სიმინდებზე. ამდროს მეზობელმა წყალს მიმართულება შეუცვალა და ქვრივის ყანის მაგივრად საკუთარი სიმინდები მორწყო. მოზარდი უკვე უნდა მიხვდეს და გააცნობიეროს, რომ მეზობელი არასწორად მოიქცა, მით უმეტესს, როცა ნახავს შედეგს მეზობლის ქმედებისა. ქრივს სიმინდი გაუხმა, ამდენი ნაწვალები წყალში ჩაუვარდა და ეს სულ იმ მეზობლის ბრალი იყო. გადის დრო ამ მეზობლის მეუღლე სახადით დავადდება, მათ ოჯახს არავინ ეკარება და ერთადერთი ადამიანი, რომელიც მეზობლის მეუღლეს უმკურნალებს და გამოაჯანმრთელებს, იქნება, სწორედ ეს ქვრივი. მასაც შეეძლო სხვებივით შეშინებოდა ან სამაგიერო გადაეხადა და გულგრილად მოქცეულიყო, მაგრამ საკუთარი თავი საფრთხეში ჩააგდო და კეთილი საქმე გააკეთა. სწორედ, მისმა გულკეთილობამ მეზობლის სინდისის ქენჯნა გამოიწვია. იგი მიხვდა თავის დანაშაულს და თავისი მოსავალი ქვრივს უწილადა. იგი ასე შეეცადა საკუთარი დანაშაულის გამოსწორებას. ნაწარმოების მიზანიც ესაა, რომ ახალგაზრდებიც, შეცდომის დაშვების შემთხვევაში, მუდმივად ცდილობდნენ მათ გამოსწორებას და რაც მთავარია ბოროტებაზე სიკეთით პასუხს. რადგანაც როგორც იაკობი ამბობს: „სიყვარული შობს სიყვარულსა“. გოგებაშვილი,1982:429).

თავისუფლების მნიშვნელობა სურს გააგებინოს და ჩაუნერგოს ბავშვებს იაკობ გოგებაშვილმა ნაწარმოებით „ვანო და ჩიტი“, რომელშიც საუბარია პატარა ვანოზე,

რომელიც ჩიტებზე ზრუნავს და მათ საკენკს უყრის. ერთი ბეღურა ჩიტი მას განსაკუთრებით მოსწონს. როდესაც ცივი ზამთარი დადგა და პატარა ვანო ხედავდა, სიცივისაგან მოწყენილ თავის ქოჩორა ჩიტს ძალიან სწუხდა. მან გადაწყვიტა, რაღაც ღონით ჩიტუნია ამ განსაცდელისგან ეხსნა. მოიფიქრა მისთვის მახის დაგება, გალიაში ჩასმა და მის სახლში გამოზამთრება. მან განახორციელა კიდეც თავისი გეგმა, ხაფანგის მეშვეობით ბეღურა ჩიტი დაიჭირა და გალიაში შესვა, თან საკენკი და წყალიც დაუდგა. მაგრამ პატარა ბიჭის მოლოდინი არ ასრულდა. ტყვეობაში მყოფმა ჩიტმა თავი უარესად იგრძნო. ვანოს ეგონა, რომ სახლში თბილად ყოფნა მისთვის უკეთესი იქნებოდა, თუმცა ფრინველს, სიცივეში თავისუფლად ყოფნა ერჩივნა. თავისუფლება ყველაფერზე მეტად ღირებულია და ამ ნაწარმოებმა ეს კარგად დაგვანახა. როცა ვანომ ჩიტი გარეთ გაუშვა, ფრინველი მაშინვე გამოცოცხლდა და ვანოც მიხვდა,, რომ ჩიტსაც კი თავისუფლება ყველაფერს ურჩევნია“ (იაკობ გოგებაშვილი, „ვანო და ჩიტი“.

ინფორმციული ხასიათისაა იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობა „ჩიტის ბუდის ფასი“, რომელიც ბავშვებს აცნობს თუ რა სარგებლობა მოაქვს ჩიტებს და ტყუილუბრალოდ არ უნდა მოვაკლოთ ისინი მზის სინათლეს. აქ აღწერილია პატარა კოტეს მიერ ბუდიდან ბარტყების ამოყვანა, რომელსაც მასწვლებელი შეესწრება, კოტეს უსაყვედურებს, ბარტყების უკან, ბუდეში ჩასმას სთხოვს და თვითონ გაკვეთილზე მოუყვება ბავშვებს კოტეს ამბავს და ზოგადად გააცნობს თუ რა სარგებლობა მოაქვს ჩიტს. იგი იკვებება ჭიით და მცენარეებს იხსნის მისგან. აი ბარტყების ფასი. ეს ნაწარმოები ცხოვრების შეცნობის კიდევ ერთი ნათელი საშუალებაა.

ბოროტებაზე სიკეთით პასუხს ეძღვნება იაკობ გოგებაშვილის კიდევ ერთი ნაწარმოები „სიკეთე ბოროტისათვის“. მასში მოთხრობილია პატარ ლამაზი, მაგრამ ბოროტი ვაროს ამბავი, რომელიც ყველას დასცინის, განსაკუთრებით კი ელამ კატოს. მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი წარმავალია. ვაროს სილამაზეც სახადმა შეიწირა. სკოლაში წასვლა აღარ უნდოდა. იცოდა მან საკუთარი დანაშაული და ეგონა, მასაც ისე დასცინებდნენ, როგორც თავად იქცეოდა. მაგრამ არა, ბავშვები სულაც არ იყვნენ მისნაირნი. მათ ძალიან შეებრალათ თვით ბოროტი ვაროც და ძალიან გულთბილად

მიიღეს, განსაკუთრებით ელამმა კატომ. ვაროს სიხარულს კი საზღვარი არ ჰქონდა. აი რა შედეგი მოჰყვება სხვის დაცინვას. ის რაც დღეს გაგვაჩნია შეიძლება ხვალ აღარ გვეკუთვნოდეს, ამიტომაც თავს ნუ წარმოვიდგენთ სხვებზე მაღლა მდგომად და ნუ დავცინებთ, რადგან შეიძლება ცხოვრება უკუღმა შემოტრიალდეს და ჩვენი საქციელის ძალიან შეგვრცხვეს. ვარომ მართალია დაკარგა სილამაზე, თუმცა შეიძინა ამხანაგთა სიყვარული და გულთბილი დამოკიდებულება. მეგობრებმა ვაროს ბოროტებას სიკეთით უპასუხეს.

ბავშვებს ბეჯითობისკენ მოუწოდებს ნაწარმოები „სიზარმაცეს მათხოვრობა მოსდევს“. მასში ავტორს აღწერილი აქვს თუ რა მოსდის ბოლოს ზარმაც ადამიანს და რატომ უნდა ვიყოთ ბეჯითები. მას სურს ზარმაცი სანდროს გაცნობით მოსწავლეებმა დაგმონ სიზარმაცე და მეტი დრო დაუთმონ სწავლა-განათლებას. როგორც იაკობ გოგებაშვილი ამბობს, სანდრო ძალიან ზარმაცი და ცელქი ბიჭი იყო. მას სკოლიდან გარიცხვა ელოდა, რომ არა ერთი შემთხვევა, რომელმაც მას შეხედულებები შეუცვალა. ერთ დღეს მასთან მათხოვარი მივიდა, ისიც უხვად დაეხმარა მას. შემდგომ კი ამბავი გამოჰკითხა, თუ რისთვის მათხოვრობ და რატომ არ მუშაობ. მათხოვარმა კი მიუგო, რომ სკოლაში ძალიან ზარმაცობდა, შემდეგ სკოლიდან გარიცხეს, მშობლები დაეღუპა და არც შრომა და გარჯა ვიცოდი თავი სხვანაირად რომ მერჩინაო. აი ახლა სანდრომ გააცნობიერა თავისი ქმედება, მიხვდა სწავლის ფასს და იმ დღიდან სწავლას აქტიურად მოჰკიდა ხელი. ეს ნაწარმოები იაკობ გოგებაშვილმა დაუწერა ბავშვებს, რათა სიზარმაცე მოესპო მათ შორის და მათაც სანდროს მსგავსად, გაეცნობიერებინათ სწავლის ძალა და მნიშვნელობა.

ძაღლებისადმი სიყვარულს ასწავლის ბავშვებს მცირე ზომის მოთხრობა „ჭკვიანი ძაღლი“, რომელშიც საუბარია ძაღლზე, როგორც საოცრად გონიერ არსებაზე. იგი უვლის და უფრთხილდება საკუთარ თავს და იცავს იმ ოჯახს, რომელშიც ცხოვრობს. ძროხების გამოსარეკადაც მიდის ხოლმე, ძუძუებში და გვერდებში კბილების წავლებას ერიდება, რადგან იცის, რომ ეს დაუშვებელია. ავად ყოფნის დროს საკუთარ თავს თვითონ უწამლებს ხოლმე. აი ასეთი გონიერია ჩვენი ცუგა. ერთ დღეს იგი ფეხს იტკენს, პატრონი სახლში შეიყვანს, უწამლებს და მოარჩენს. რამდენიმე ხნის შემდეგ კი ეს ძაღლი სხვა ფეხნატკენ ძაღლსაც მოუყვანს პატრონს.

იგი მიხვდება ძაღლის სურვილს და მასაც მოარჩენს. აქ იკვეთება არა მხოლოდ გონიერი ძაღლის სახე, არამედ ისიც თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი პატრონი. იგი გულთბილად უნდა ექცეოდეს შინაურ ცხოველს და უფასებდეს მისთვის გაწეულ შრომას.

მერცხლისა და პატარა გოგონას ურთიერთობას, ცხელ გულზე განხორციელებულ ქმედებას ეხება იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოები „მარო და მერცხალი“. პატარა გოგონას თავისმა ძმამ მოუყვანა მერცხლის ბარტყი. მარომ ძლიერ შეიყვარა იგი. კარგადაც უვლიდა და ბარტყმაც შეიყვარა მარო. მთელ დროს ერთად ატარებდნენ. თუმცა მოხდა საბედისწერო რამ. გოგონას სურდა ბანქოს ხუხულა აეწყო. ხშირად ცდილობდა ამის აწყობას, თუმცა ბოლომდე დასრულებას ვერ ახერხებდა და აი ერთ დღეს მან ეს მოახერხა. მისი სიხარულის კარგად საჩვენებლად ავტორი ამბობს, რომ ისე გაუხარდა პატარა მაროს, რომ შეიძლება სვეტიცხოვლის ამგებსაც არ გახარებოდა ასე ტაძრის დასრულებაო. მარო მიდის რათა დედას ანახოს თავისი შედევრი. პატარა, საყვარელი მერცხალიც ძალიან ბედნიერია და სიხარულის ნიშნად სურს გოგონას ხელზე დააჯდეს. აი აქედან იწყება უბედურება. მან შემთხვევით ფრთა გაჰკრა ხუხულას და იგი ჩამოიშალა. მაროს მწუხარების გადმოსაცემად ისევ სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარს ახსენებს იაკობი და ამბობს, რომ ალბათ მას ისე არ ეწყინებოდა ტაძრის დანგრევა, როგორც მაროს ამ ხუხულასი. მას ბრაზი მოერია საბრალო, უდანაშაულო ჩიტს თავში მოსცხო. მან ვერ აიტანა ცემა და სული განუტევა. აი ახლა კი მიხვდა მარო თუ რა იყო ნამდვილად საწყენი და რა დააშავა მან. ტირილი დაიწყო, თუმცა უკვე გვიანღა იყო. ამ უბედურმა შემთხვევამ მაროს სიბრაზე შეაძულა. ავტორიც ბავშვებს ასწავლის, თუ როგორი ცუდი შედეგები შეიძლება მოჰყვეს გაბრაზებას. ბანქოს ხუხულას ისევ აგება შეიძლებოდა, თუმცა პატარა, საბრალო მერცხლის გაცოცხლება არა. იგი მაროს სიბრაზემ შეიწირა. ცხელ გულზე, სიბრაზიზგან მიღებულმა გადწყვეტილებებმა შესაძლოა, საბედისწერო შეცდომა დაგვაშვებინოს.

მშობელთა თავგანწირვას ეხება იაკობ გოგებაშვილის კიდევ ერთი საბავშვო მოთხრობა „კრუხების ბრძოლა ქორთან“. ავტორი აღგვიწერს ერთ მზიან დღეს. კრუხები თავისი წიწილებით საკენკს შეექცეოდნენ. ეს მყუდროება დაარღვია ქორმა,

რომელიც მათ თავს დაესა. აქვე ავტორი ახასიათებს ქათმებს, რომ მათ არც მჭრელი ნისკარტი აქვთ, არც ძლიერი ფრთები ანუ ისეთ მტერთან, როგორიც ქორია სრულიად უსუსურები არიან. ავტორი გვაძლევს ამ დახასიათებას, რათა მოსწავლეებმა გაიაზრონ თუ როგორ უთანასწორო ბრძოლასთან გვაქვს საქმე. ადრე სანამ კრუხებს წიწილები ეყოლებოდათ, ქორის გამოჩენისას მუდმივად იმალებოდნენ. მტაცებელს ახლაც იგივეს იმედი ჰქონდა, ქათმები გაიქცევიან და წიწილებს მშვიდად შევექცევიო, მაგრამ აი თვით ფრინველშიც იქუხა დედობრივმა ინსტიქტებმა. ისინი არა თუ გაიქცნენ, არამედ წინ გადაეფარნენ თავიანთ წიწილებს და მედგრად დაუხვდნენ მტერს. ქორი ხორცს აგლეჯდა კრუხებს, თუმცა ისინი მაინც არ ნებდებოდნენ. აი, უპოვეს ქორს სუსტი წერტილი. ეს იყო მისი თვალები. მათ ნისკარტით მზე უნდა დაებნელებინათ მისთვის. საბოლოოდ ეს მიზანიც ასრულდა, თუმცა კრუხებს ეს თავიანთი სიცოცხლის ფასად დაუჯდათ. აი მშობლის თავდადება. ნაწარმოების ბოლოს ავტორი ამბობს: „მშვიდობით გადარჩენილი წიწილები ერთად მოგროვილიყვნენ. საცოდავი ხმით გასწიოდნენ და გლოვობდნენ თავიანთ თავდადებულს დედებსა, რომელთაც საკუთარი სიცოცხლე შესწირეს მათ და ამითი დაუტოვეს ანდერძი, რომ მათაც თავისი ჩამომავლობა ჰყვარებოდათ თავდავიწყებული სიყვარულითა“. (გოგებაშვილი,1982:52) ეს ნაწარმოები ბავშვებს ასწავლის არა მხოლოდ თავგანწირვას და სიყვარულს თავიანთი შთამომავლობისა, არამედ აცნობს მათ კრუხისა და ქორის სახეს. ბავშვების ცხოვრებაში გარკვევა იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია.

აქ მოყვანილი და განხილული საბავშვო ნაწარმოებებიდანაც თვალნათელი ხდება ზემოთ თქმული მოსაზრება, რომ იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები დიდაქტიკური ხასიათისაა. იგი მოწოდებულია აღზარდოს განათლებული, კეთილშობილი, ბეჯითი, მოყვასი თაობა. სხვადასხვა ამბის მოთხრობით სურს დაარწმუნოს ბავშვები თუ რა მანკიერი გრძნობაა ტყუილი, სიზარმაცე, სამაგიეროს გადახდა და სხვა. იგი თვლიდა, რომ ადამიანის აღზრდა, მისი ცნობიერების ჩამოყალიბება ადრეულ ასაკიდან იწყება და ამიტომაც ხდება ჩვენში საბავშვო მოთხრობების ფუძემდებელი. მას ესმის წიგნისა და განათლების ძალა. შესაძლოა

მშობელმა ვერ დასდოს ბავშვს ისეთი ამაგი, როგორც ეს კარგად და ბავშვისთვის საინტერესოდ შედგენილმა ნაწარმოებებმა.

იაკობ გოგებაშვილის საბავშვო ნაწარმოებები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღმზრდელობით ხასიათს ატარებს. იგი უდიდეს იმედს ამყარებდა მომავალ თაობაზე, რადგანაც ქვეყნის მომავალი სწორედ მათ ხელში იყო და აუცილებლად ეს თაობა უნდა ყოფილიყო განათლებული, უნდა შეეცნო ცხოვრების ავ-კარგი, თანაც ბავშვობიდან უნდა დაწყებულიყო მათი გონების განვითარება. ეს ნაწარმოებები იმ ასაკის ბავშვებისთვისაა, რომლებიც ახლა იწყებენ ცხოვრებას, ახლა ეცნობიან სამყაროს და ავტორსაც სურს მათ გარესამყარო სწორად აღიქვან და იცოდნენ რა არის ცუდი, რა კარგი, რა შედეგების მომტანია სხვადასხვა ავი ქმედება. იაკობს სურდა, მომავალი თაობა ძველზე უკეთესი ყოფილიყო, მტერს ვერ მოეხერხებინა ჩვენთვის გონების არევა და გვყოლოდა გონებრივად, ზნეობრივად ჩამოყალიბებული თაობა.

პიროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში მხატვრული ლიტერატურას სათანადოდ იყენებს ჩვენი დიდი მწერალი. მან ლიტერატურა აქცია მთავარ საშუალებად საზოგადოების გამოღვიძებისა და ბავშვის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში. ლიტერატურა იქცა უმნიშვნელოვანეს ძალად მის ხელში. ნაწარმოებებს ქმნიდა ისე, რომ ბავშვებს თავად უნდა გამოეტანათ დასკვნები, თავად უნდა გაენალიზებინათ საკითხი. ცხოვრებისეული სურათების შექმნით, ბავშვებისთვის მისაღები მარტივი ენით, მას კარგად გამოსდიოდა ნაწარმოებების მეშვეობით ბავშვებთან ურთიერთობა. იგი ტექსტში წამოაყენებს პრობლემას, სვამს კითხვას და მოსწავლემ უნდა გასცეს ამ კითხვას პასუხი და იფიქროს პრობლემის მოგვარების გზებზე. ეს ერთგვარი უკუკავშირი იყო. თავისი შემოქმედების მეშვეობით იგი ამყარეს კავშირს თავის მკითხველთან და თავად ხდება მთავარი აღმზრდელი აღსაზრდელისა. ეს კი მეტად საყურადღებო, საპასუხისმგებლო და მნშვნელოვანი საქმეა, რომელიც საკუთარ თავზე აიღო და ძალიან კარგად გაუძღვა ჩვენი ქვეყნის მოამაგე იაკობ გოგებაშვილი.

ის თემები, რაზეც ავტორი წერდა არასდროს დაკარგავს აქტუალობას. ის რაც მანკიერებად ითვლებოდა ადრე ასევე ითვლება დღესაც და ის რაც დასაფასებელია

ადამიანში, დღესაც ვაფასებთ. ამიტომაც ნებისმიერ ეპოქაში შეგვიძლია ბავშვს თამამად მივაწოდოთ იაკობის მოთხრობები და ეჭვიც არ შეგვეპაროს, რომ ისინი მას სწორ გზას უჩვენებს და ცხოვრებას გააცნობს.

დ ა ს კ ვ ნ ა

იაკობ გოგებაშვილი და მისი შემოქმედება ნამდვილად იყო და დღესაც არის მოზარდი თაობის კარგი აღმზრდელი. ეს ნათლად გამოიკვეთა ჩვენ მიერ განხილულ ნაწარმოებებში. თითოეული მაღგანი აღმზრდელობით ხასიათს ატარებს და მკითხველიც კარგად მიხვდება, რომ ეს მოთხრობები მოწოდებულია, კარგი თვისებები ჩაუნერგოს მოზარდ თაობას. იგი გახლდათ დიდი ჰუმანისტი. მისთვის უმთვრესია ადამიანთა პატივისცემა, პიროვნების ღირსების დაცვა. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და საოცარია, ბავშთა მიმართ მისი გულითადი დამოკიდებულება. მისთვის სწორედ მოზარდი თაობაა მისი საარსებო პირობა, მისი საზოგადოებრივი დანიშნულების მთავარი აზრი.

ნათლად გამოიკვეთა თუ როგორ დაიწყო და როგორ წარიმართა იაკობ გოგებაშვილის მხატვრული აზროვნება. იგი მთლიანად ტრიალებდა ჩვენი ქვეყნის მომავლის და საზოგადოების გამოსწორების ირგვლივ. მწერალმა და დიდაქტიკოსმა თავისი სათქმელი თქვა ქართველი ერის წინაშე და ნამდვილად დაიმსახურა ღირსეული ადამიანის სახელი, რომელიც არასდროს მიეცემა დავიწყებას.

მან, როგორც მწერალმა, ძალიან რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს მოჰკიდა ხელი. ბავშვთა აღზრდა დიდ ყურადღებას მოითხოვს. იგი სუფთა ფურცელია, რომლის ცნობიერებაშიც ავტორი ცდილობს ჩაწეროს ის თვისებები, რომელიც მას ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში დაეხმარება. იაკობი პირდაპირ არ წერს მოთხრობაში ეს კარგია და ის ცუდიო, უბრალოდ სხვადასხვა პერსონაჟთა ქმედებიდან მიღებული შედეგებით, მოსწავლეს გამოაქვს დასკვნა ანუ ავტორი მას ამ მხრივ უვითარებს ლოგიკური და კრიტიკული მსჯელობის უნარსაც. იგი ბავშვებს

უამბობს ამბავს და მათ უყალიბდებათ დამოკიდებულებები. ეს მიდგომა წერის ეს სტილი, ბავშვებს ეხმარება, რომ თავად შეიცნონ თუ როგორია ცხოვრება. ის გარემო პირობები, რომელშიც მოუწევთ არსებობა და წინააღმდეგობებს შეხვდნენ ფსიქიკურად, გონებრივად მომზადებულნი.

იაკობ გოგებაშვილს ქვეყანაში არსებულმა იმდროინდელმა მდგომარეობამ უბიძგა თავისი მხატვრული შემოქმედება ქვეყნის სასარგებლოდ მიემართა. მას დააკისრა უდიდესი მისია. იმ პერიოდში, როცა საქართველოში ქართულად აზროვნებაც კი საზოგადოების დიდ ნაწილს სირცხვილად მიაჩნდა, იგი თავგამოდებით იცავდა ჩვენს ენას, როგორც საწინდარს ჩვენი ქვეყნის სიმტკიცის და ეროვნულობისა. მან იცოდა, რომ ის მშობლები, რომლებიც ქართულად აზროვნებას მოკლებულნი იყვნენ და თაკილობდნენ, ვერ აღზრდიდნენ, ქართულად მოაზროვნე თაობას ამიტომაც ამ მხრივ საბავშვო ნაწარმოებებს უდიდესი როლი უნდა შეესრულებინა. ნაწარმოები თავად გააცნობდა ბავშვს ცხოვრებას. მშობელთა დაკვირვებით კი ისინი სასარგებლოს ვერაფერს ისწავლიდნენ და ჩვენც გადავგვარდებოდით.

მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ისტორიული ხასიათის მხატვრულ ნაწარმოებებს. მათი მიზანი არის, ხელი შეუწყოს უიმედოდ დარჩენილ ქართველებში პატრიოტიზმის გრძნობის გაღვიძებას, მამულიშვილური ვალდებულების გათავისებას და მისი სიყვარულის ჩანერგვას. სწორედ წინაპართა მაგალათის საფუძელზე ცდილობს ქართველთა შორის გმირული სულის ჩადგმა. თუკი პრობლემები მხოლოდ საკუთარით შემიუფარგლება და სამშობლო ღვთის ანაბარად დარეჩება, მტრის ხელში ჩავარდნილ მამულს ძალიან გაუჭირდება. საქართველოს დახმარება სჭირდება შველა და ფიქრისთვის დაკარგული წამიც კი სავალალოდ აისახება ქვეყნის მომავალზე. ამიტომაც მწერალი თავდაუზოგავად შეახსენებს ამას თანამედროვეთ და მიძინებულ ერს გამოღვიძებისკენ მოუწოდეს.

იაკობ გოგებაშვილი თავისი საბავშვო ნაწარმოებებით, აღმზრდელობითი იდეებით გახლდათ პირველი საბავშვო მწერალი ჩვენში. მან დაიწყო გაუკვალავ

გზაზე სიარული. ასევე დარჩა იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების კვალი ჩვენს ცხოვრებაში და იგი არასდროს დაკარგავს აქტუალობას. ყოველთვის გაჩნდება ახალი თაობა, რომელსაც სჭირდება აღზრდა და სად შეიძლება ვიპოვოთ იმაზე უკეთესი აღმზრდელი, ვიდრე ეს იაკობის შემოქმედებაა.

ეროვნულ ღირსებათა დაცვის გარდა იაკობი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ქართული ენას ეარსება და ყოფილიყო ისევ ცოცხალი ენა. იაკობ გოგებაშვილი იყო ერთთაგანი იმ მწერალთა რიგებიდან, რომლებმაც საკუთარი მხრებით ზიდეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტვირთი. შექმნა უკვდავი „დედა ენა“, „ბუნების კარი“ და სხვა მრავალი. მისმა წიგნებმა დიდი გავლენა მოახდინეს ქართულ საზოგადოებაზე. დიდი ხნის განმავლობაში სწორედ მის წიგნებზე იზრდებოდა ახალი თაობა, იკვებებოდნენ ცოდნით და იმ ეროვნულ-პატრიოტული იდეებით, რომელიც ამ წიგნებიდან გამოსჭვიოდა. ამ წიგნების მეშვეობით საზოგადოებამ შეისწავლა ქართული ენა და განავითარა თავისი აზროვნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. “იაკობის სამრეკლო“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი- 1990 ;

2. ბორცვაძე ზ. „იაკობ გოგებაშვილი“, გამომცემლობა „ განათლება“, თბილისი- 1991;

3. მახარაძე აპ., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 3, გამომცემლობა „თბილისი“,1978.

4. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ 4, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი-1974;

5. იაკობ გოგებაშვილი „საგანძური“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი- 1982;

6. ზანდუკეილი მ. თხზულებანი, ტ.,1., თბ.,1972.

6. https://burusi.wordpress.com/2009/09/16/iakob-gogebashvili/

7. https://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=46&id=1985

8. https://www.helloblog.ge/story/SABA-Iakob-Gogebashvili